

## **გ ი ნ ი ს**

## **დ ა ვ ა ბ ი**

კრეპულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:  
[http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

**მინის ნაკვეთის რეგისტრაცია  
მინის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის  
საფუძველი**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-656-642(კ-12)

11 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ახალი ინდივიდუალურ  
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

**აღნერილობითი ნაწილი:**

2012 წლის 7 თებერვალს ზ. შ-ამ სასარჩელო განცხადებით  
მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების –  
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეეს-  
ტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსა-  
ხურის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მან 2011 წლის 10 ოქტომბერს  
განცხადებით მიმართა მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს და  
მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის სარე-  
გისტრაციო მონაცემებში ცვლილებების განხორცილება წარ-  
დგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად. 2011  
წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მცხეთის სარეგისტრა-  
ციო სამსახურმა ზ. შ-ას უარი უთხრ მოთხოვნის დაქმაყოფი-  
ლებაზე იმ მოტივით, რომ მცხეთის სარეგისტრაციო სამსახუ-  
რის უფლებათა რეესტრის ჩანაწერების თანახმად, უფლება რე-  
გისტრირებული არ არის. მითითებული გადაწყვეტილება მოსარ-  
ჩელებ გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში,  
რომელმაც 2011 წლის 15 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით გა-  
აუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გა-  
დაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ.  
მოსარჩელეს აღნიშნული გადაწყვეტილებით დაევალა მოთხოვ-  
ნის დაზუსტება. ამასთან, 9 ნოემბერს განახლდა სარეგისტრა-

ციონ წარმოება მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურში, რომელ-  
მაც იმავე თარიღით მიიღო გადაწყვეტილება №... და განმცხა-  
დებელს უფლების დამდგენი დოკუმენტის წარდგენა და მოთ-  
ხოვნების დაზუსტება დაავალა. განმცხადებელს აგრეთვე გა-  
ნერმარტა, რომ მის მიერ წარდგენილი საკადასტრო მონაცემები  
იქტება უკვე რეგისტრირებული უძრავი ნივთის (საკადასტრო  
კოდი ...) საზღვრებში, რის გამოც მას უნდა წარედგინა კორექ-  
ტირებული აზომვითი ნახაზი.

მოსარჩელის განმარტებით, მცხეთის სარეგისტრაციო სამ-  
სახურში უფლების დამდგენი დოკუმენტი მას უკვე წარდგენი-  
ლი ჰქონდა და გააჩნდა ასევე ამონანერი საჯარო რეესტრიდან,  
ამდენად, მან დამატებით წარადგინა კორექტირებული საკადას-  
ტრო აზომვითი ნახაზი, რომლითაც მომიჯნავე მინის ნაკვეთის  
გადაფარვა აღარ ხდებოდა, მხოლოდ მის საკუთრებაში არსე-  
ბული მინის ნაკვეთი შემცირდა 160 კვ. მეტრით. შესაბამისად,  
მან დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა ახალი ნახაზის მიხედ-  
ვით უკვე რეგისტრირებულ უფლებაში ცელილების განხორცი-  
ელება, რითაც მოსარჩელის განმარტებით, აღმოიფხვრა სარე-  
გისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველი.

მოსარჩელის მითითებით, მცხეთის სარეგისტრაციო სამსა-  
ხურმა 2011 წლის 29 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით ისევ შე-  
აჩერა სარეგისტრაციო წარმოება, ხოლო 2011 წლის 30 დეკემ-  
ბერს მიიღო №... გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების  
შეზღვეტის შესახებ, რაც მან გაასაჩივრა საჯარო რეესტრის  
ეროვნულ სააგენტოში. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-  
ტოს 2012 წლის 18 იანვრის და 25 იანვრის გადაწყვეტილებებით  
არ დაკმაყოფილდა ზ. შ-ას ადმინისტრაციული საჩივარი მცხე-  
თის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 ნოემბრის და  
2011 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებების ბათილად ცნო-  
ბის თაობაზე.

მოსარჩელის მოსაზრებით, გასაჩივრებული ინდივიდუალურ  
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას დარ-  
ღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის  
53.5-ე, 81-ე, 96-ე და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართვე-  
ლოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნები. კერძოდ, ადმინის-  
ტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი  
მნიშვნელობის მქონე გარემოებები და თავისი გადაწყვეტილე-  
ბა დააფუძნა იმ გარემოებებს, ფაქტებსა და მტკიცებულებებს,  
რომლებიც არ იქნა რეალურად შესწავლილი. მოსარჩელეს მი-  
აჩნია, რომ მცხეთის სარეგისტრაციო სამსახური არ იყო უფლე-  
ბამოსილი მისთვის დამატებით მოეთხოვა ისეთი დოკუმენტი,

რომლის წარდგენა მას არ ევალებოდა კანონით გათვალისწინებული წესით. აგრეთვე, მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურმა არ გაითვალისწინა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მიღება-ჩაბარების აქტი მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურში ზ. შ-ამ წარადგინა ჯერ კიდევ 2004 წლის 27 ოქტომბერს, რის საფუძველზეც იმავე დღეს დარეგისტრირდა მისი საკუთრების უფლება. შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის დედანი უნდა ინახებოდეს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურში, ხოლო მოსარჩელეს ხელთ აქვს მისი კანონით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი. მოსარჩელის აზრით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მისი საკუთრების უფლება უკვე რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში და საჯარო რეესტრიდან ამონანერით დასტურდება უძრავ ნივთზე უფლება და მისი წარმოშობის საფუძველი, მცხეთის სარეგისტრაციო სამსახური არ იყო უფლებამოსილი მისთვის ხელმეორედ მოეთხოვა მიღება-ჩაბარების აქტის დედნის წარდგენა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მას არ მოუთხოვია საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაცია უძრავ ნივთზე, არამედ, იგი ითხოვდა უკვე რეგისტრირებულ მონაცემებში მხოლოდ ცვლილების შეტანას.

ამდენად, მოსარჩელემ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 ნოემბრის №... გადაწყვეტილების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ 2011 წლის 30 დეკემბრის №... გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სისი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 18 იანვრის №... და 2012 წლის 25 იანვრის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურისათვის 2011 წლის 10 ოქტომბრის №... განცხადების დაკმაყოფილების შესახებ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცემის დავალდებულება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით ზ. შ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნანილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი სისი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 18 იანვრის №... და 2012 წლის 25 იანვრის №... გადაწყვეტილებები და სისი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 30 დეკემბრის №... გადაწყვეტილება ძალაში შესვლის დღიდან; ამასთან, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სისი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო

სამსახურის 2011 წლის 29 ნოემბრის №... გადაწყვეტილება და მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონით დადგენილ ვადაში გამოცემა დაევალა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 10 ოქტომბერს ზ. შ-ამ განცხადებით მიმართა მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა მის საკუთრებაში არ-სებული უძრავი ნივთის (სარეგისტრაციო კოდი ...) სარეგისტრაციო შონაცემებში ცვლილებების განხორციელება. განცხადებასთან ერთად ზ. შ-ამ სარეგისტრაციო სამსახურს წარუდგინა მომსახურების გადახდის ქვითარი, მინის საკუთრების სარეგისტრაციო მონმობა, მიღება-ჩაბარების აქტის ასლი, საკადასტრო აზომვითი ნახაზი და ამონანერი საჯარო რეესტრიდან. მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით ზ. შ-ას მითითებულ განცხადებაზე შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება და განმცხადებელს დაევალა უფლების რეგისტრაციის განსახორციელებლად მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის დედნის ან/და სათანადო წესით დამოწმებული ასლის წარდგენა.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 30 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით ზ. შ-ას განცხადებაზე შეწყდა სარეგისტრაციო წარმოება, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის გამო. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 18 იანვრის №... გადაწყვეტილებით არ დაქმაყოფილდა ზ. შ-ას ადმინისტრაციული საჩივარი სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის თაობაზე მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 25 იანვრის №... გადაწყვეტილებით არ დაქმაყოფილდა ზ. შ-ას ადმინისტრაციული საჩივარი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების თაობაზე მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის საფუძველზე დაყრდნობით განმარტა, რომ თუ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფ-

ლებამოსილია სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი. სასამართლო ამ გადაუწყვეტილებას იღებს იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, აგრეთვე დღეს მოქმედი „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის საფუძველზე საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმუცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა ან ვიდრე საქართველოს კონონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული მონაცემები ძალადაგარეულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებში წარმოდგენილია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო მონმობა, რომლითაც დასტურდება, რომ 2004 წლის 27 ოქტომბერს განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთის, მდებარე ..., კოდი ..., კვარტლის ნომერი ..., ნაკვეთის №..., ზ. შ-ას საკუთრების უფლების რეგისტრაცია. მასზე მითითებულია რეგისტრატორის ხელმოწერა და ბეჭედი. მეტიც, საქმის მასალებში ასევე წარმოდგენილია მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2011 წლის 9 ნოემბერს მომზადებული ნახაზი, რომელზეც დაფიქსირებულია ზ. შ-ისა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი იმავე საკადასტრო მონაცემებით, რაც მითითებულია საჯარო რეესტრის ამონაწერში და მიწის სარეგისტრაციო მონმობაში.

საქალაქო სასამართლომ მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს ზ. შ-ას განცხადების ხელახლა განხილვისას დაავალ ემსჯელა არა საკუთრების უფლების პირველად რეგისტრაციაზე, არამედ, 2011 წლის 10 ოქტომბერს წარდგენილი განცხადების მიხედვით, რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების განხორციელებაზე, შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა გამოეკვლია არსებობდა თუ არა წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაციის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე ადმინის-

ტრაციული ორგანოს არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურში სააღრიცხვო ბარათზე სათანადო უფლებამოსილი პირის ხელმოწერის არარსებობის გამო, ზ. შ-ას არ წარმოშობია საკუთრების უფლება სადაც უძრავ ნივთზე, რამდენადაც საქმის მასალებში წარმოდგენილი მიწის სარეგისტრაციო მოწმობა გაცემულია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მაისის №327 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, რომლის მე-11 მუხლით ცალსახად იყო განსაზღვრული, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის წაკვეთის პირებელად რეგისტრაციას და სარეგისტრაციო მოწმობის გაცემას უსასყიდლოდ, გამოყოფილი ბიუჯეტის ხარჯზე უზრუნველყოფდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, რაც მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა 2004 წლის 27 ოქტომბერს, ხოლო ამ დოკუმენტის კანონიერება მხარეს სადაცოდ არ გაუხდია კანონით დადგენილი წესით.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. აგრეთვე, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მითითებული ნორმის მოთხოვნა მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ სადაც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას უგულველყოფილი იქნა, რამდენადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ რეალურად იმსჯელა საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე, მაშინ როდესაც, ზ. შ-ა განცხადებით ითხოვდა უკვე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების შეტანას.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზ. შ-ას სარჩელი მოპასუხე მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (რომლითაც მცხეთის სარეგისტრაციო სამსახური მიიღებს გადაწყვეტილებას რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე) გამოცემის დავალების ნაწილში დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი ამ ეტაპზე არ არსებობს, რამდენადაც

ამგვარი გადაწყვეტილების მიღება ცალსახად არის დაკავშირებული მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის-თვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენისა და შეფასების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია რომ, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას დარღვეულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 53-ე, 96-ე და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებებით დადგენილი მოთხოვნები, რის გამოც სახეზე იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის სააპელაციო საჩივარი; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ზ. შ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილია საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობის ქსერო-ასლი, რომლის თანახმად, გრაფა „განაცხადის რეგისტრაციის №“ და გრაფა „თარიღი“ არ არის შევსებული. საკუთრების განყოფილება: სარეგისტრაციო ზონა მცხეთა, კოდი ...; სექტორი ..., კოდი ..., კვარტალი №..., ნაკვეთის №..., ფართობი-0,098ჰა, დაზუსტებული, ქონების ადგილმდებარეობა: მცხეთის რაიონის გლდანის საკრებულო; ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო; მესაკუთრის განყოფილება: ზ. შ-ა. ზონის რეგისტრატორი: ხელმოწერილია და დადასტურებულია მრგვალი ბეჭდით.

გაცემის თარიღი – 27.10.04. საქმეში წარმოდგენილია ქსეროას-ლი ამონანერის საჯარო რეესტრიდან – მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო №..., რომლის თანახმადაც, გრაფები „განცხა-დების რეგისტრაციის №“, „თარიღი“ და „ამონანერის მომზადე-ბის თარიღი“ არ არის შევსებული, ასევე, გრაფა „უფლების რე-გისტრაციის განაცხადის რეგისტრაციის №“ არ არის შევსებუ-ლი. ამასთან, საქმეში წარმოდგენილია მცხეთის რაიონი, სოფ. ... 20.02.1995 წლით დათარიღებული მიწის ნაკვეთის მიღება-ჩა-ბარების №... აქტის ქსეროასლი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტ ზ. შ-ას არ გააჩნია და შესაბამისად ვერ იქნებოდა წარდგენილი ზემოთ მითითებული ქსეროასლების დედანი დოკუმენტები, რომელ-თა წარუდგენლობის გამოც შეწყდა სარეგისტრაციო წარმოება, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხ-ლის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა 1996 წლის „მიწის რე-გისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის (ძალადაკარგუ-ლია საქართველოს 28.12.2005წ. №2635 კანონით) 1-ლ მუხლზე, რომლის თანახმად, „მიწის რეგისტრაცია“ – არის მიწის ნაკვე-თისა და მასთან უძრავად დაკავშირებული ქონების რეგისტრა-ცია; „რეგისტრაცია“ – სააღრიცხვო ბარათში ჩანანერის, შენიშ-ვნის ან აღწერის შეტანა და უძრავი ქონების გრაფიკული ასახ-ვა ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად; „სააღრიცხვო ბარა-თი“ – სარეგისტრაციო ფურცელი, რომელიც დგება თითოეული მიწის ნაკვეთზე და მოიცავს ინფორმაციას ამ ნაკვეთის და მას-ზე არსებული სხვა უძრავი ქონების სამართლებრივი მდგომა-რეობისა და საზღვრების შესახებ, აგრეთვე რეგისტრირებული უფლებების ობიექტის გეგმას. ამავე კანონის 7.1. მუხლით ყო-ველ რეგისტრაციურაში ინახება მიწისა და სხვა უძრავი ქონების სააღრიცხვო ბარათები და სარეგისტრაციო რუკება. სარეგის-ტრაციო ბარათზე მოცემული ჩანანერები არის ამ ქონებასთან დაკავშირებით სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის ძირითადი იურიდიული საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „საჯარო რეეს-ტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 4.2. მუხლის თანახმად, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრი არის უძრავ ნივთებზე უფლებების, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებასთან დაკავ-შირებული ვალდებულებების, მათში ცვლილებების და მათი შეწ-ყვეტის, ასევე უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მოტი-ვების წარმოშობის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. ამავე კა-ნონის მე-5 მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრში რეგისტრი-

რებულ მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმუცია, ვიდრე ისინი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად და არარად არ იქნება ცნობილი. მითითებული კანონის 8.3. მუხლის შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია კონკრეტულ შემთხვევში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული წებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენა, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1. მუხლის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ: а) განცხადებას არ ერთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად, ან/და არ არის გადახდილი სააგენტოს მიერ განცეული მომსახურების საფასური; ბ) განცხადება ან/და თანდართული დოკუმენტი ან ინფორმაცია არ არის წარდგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და წესით; გ) განცხადება ან/და თანდართული დოკუმენტი ან ინფორმაცია არ იძლევა ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებების, მათში ცვლილებების და მათი შეწყვეტის, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის საგნისა და სუბიექტის ან/და საგნის მესაკუთრის ან მართლზომიერი მფლობელის იდენტიფიკაციის საშუალებას; დ) სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობს ინსტრუქციით გათვალისწინებული ზედდება, ან მათში მოცემული უძრავი ნივთის ფართობი, გარდა ინსტრუქციით გათვალისწინებული შემთხვევებისა, აღემატება უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულ უძრავი ნივთის ფართობს; ე) მისთვის ოფიციალურად გახდა ცნობილი სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტის ან მისი წანილის გასაჩივრების ფაქტი და ეს გასაჩივრება აჩერებს სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტის ან მისი წანილის მოქმედებას; ვ) წარმოდგენილია სასამართლოს (არბიტრაჯის) კანონიერ ძალაში შესული აქტი, რომელიც ითვალისწინებს სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებას; ზ) არსებობს ამ კანონის 25-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა; თ) მიწის წაკვეთზე უფლების, მი-

წის ნაკვეთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალ-დებულების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის რეგისტრაციის მოთხოვნისას მარეგისტრირებელ ორგანოში არ არის დაცული მინის ნაკვეთზე საკადასტრო მონაცემები ან მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული საკადასტრო მონაცემები არ შეესაბამება ინსტრუქციით დადგენილ მოთხოვნებს; ი) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადა 30 კალენდარული დღე, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ეს ვადა აითვლება დაინტერესებული პირის მიერ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების ოფიციალურად გაცნობიდან, ხოლო გადაწყვეტილების სააგენტოს შესაბამის ვებგვერდზე გამოქვეყნების შემთხვევაში – გამოქვეყნებიდან. აღნიშნული ვადის გაგრძელება დაუშვებელია. ამავე მუხლის მე-4 ნაწილით, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადში სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი ინფორმაციის ან დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების განახლების შესახებ. ამავე კანონის 22-ე „ბ“ მუხლის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ: ბ) სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი ინფორმაცია ან დოკუმენტი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, ხოლო საქართველოს აღმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3. მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, მოსარჩელის მიერ სააპელაციო ინსტანციაში ვერ იქნა წარდგენილი რაიმე მტკიცება, რომლითაც დადასტურდებოდა უძრავ ნივთზე, მდებარე მცხეთის რაიონის გლდანის საკურებულო, 2004 წლის 27 ოქტომბრიდან ზ. შ-ას საკუთრების უფლების რეგისტრაციის არსებობა. სააპელაციო სასამართლომ ასეთ მტკიცებულებად, სათანადო იურიდიული ძალის არ ქონის გამო არ მიიღინა საქმეში წარმოდგენილ უფლებადამდგენი დოკუმენტის ქსეროასლები.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე, მიიჩნია, რომ საქმეზე ვერ იქნა დადასტურებული, რომ სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას ადგი-

ლი ჰქონდა კანონით დადგენილი ისეთი პროცედურული ნორმების არსებით დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში სადავო საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდებოდა უძრავი ნივთზე მოსარჩელის უფლების რეგისტრაციის ფაქტი, ამდენად, მოთხოვნა რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანის თაობაზე მოკლებული იყო ფაქტობრივი და სამართლებრივ საფუძვლებს.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში ჩამოყალიბებული მსჯელობა და მიიჩნია, რომ არ არსებობდა სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და სარჩელის დაკამაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. შ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმაცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა, ანუ ვიდრე კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული მონაცემები ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი.

კასატორის განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მინის სარეგისტრაციო მოწმობა, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, მიღება-ჩაბარების აქტი) დასტურდება, რომ ზ. შ-ას საკუთრების უფლება მინის ნაკვეთზე რეგისტრირებულია, რის საწინააღმდეგო მტკიცებულებაზე სააპელაციო სასამართლოს არ მიუთითებია.

გარდა აღნიშნულისა, კასატორმა მიუთითა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია ელექტრონული ასლების სახით შეინახოს და გასცეს თავის მიერ შექმნილი ან თავისთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ელექტრონულ ასლებს და მათ ამონაბეჭდებს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც ამ დოკუმენტებს.

კასატორის მითითებით, საქალაქო სასამართლომ სწორად იმსჯელა როდესაც აღნიშნა, რომ ზ. შ-ას საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტის კანონიერება მოპასუხეს სადაცოდ არ გაუხდია, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა. კასატორის განმარტებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ ზ. შ-ა ითხოვდა უფლების რეგისტრაციას და არა რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების შეტანას და საქმის გარემოებების სათანადოდ გამოკვლევის გარეშე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 12 იქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასამვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ზ. შ-ას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განჩინებით ზ. შ-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასამვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2013 წლის 14 თებერვალს 13:30 საათზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. შ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაქმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული არც პროცესუალური და არც მატერიალური თვალსაზრისით. სააპელაციო სასამართლო არასწორად მიუდგა სადაცო საკითხს და არასათანადო სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ოპიექტური შეფასებიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ზ. შ-ამ 2011 წლის 10 ოქტომბერს განცხადებით მიმართა მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული უძ-

რავი ნივთის (საკადასტრო კოდი ...) სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების განხორციელება. განცხადებასთან ერთად ზ. შ-ამ სარეგისტრაციო სამსახურს წარუდგინა მომსახურების გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, მინის (უძრავი ქონების) საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა, მიღება-ჩაბარების აქტის ასლი, საკადასტრო აზომვითი ნახაზი და ამონანერი საჯარო რეესტრიდან. მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით ზ. შ-ას მითითებულ განცხადებაზე შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება და განმცხადებელს დაევალა უფლების რეგისტრაციის განსახორციელებლად მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის დედნის ა/და სათანადო წესით დამოწმებული ასლის წარდგენა. მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით №... ზ. შ-ას განცხადებაზე შეწყდა სარეგისტრაციო წარმოება, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის გამო. აღნიშნული გადაწყვეტილებები ზ. შ-ამ გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რომლის 2012 წლის 18 იანვრის №... და 2012 წლის 25 იანვრის №... გადაწყვეტილებებით ზ. შ-ას უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოების დადგენას, ზ. შ-ას მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია წარმოადგენდა თუ არა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდი ...) სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების განხორციელების საფუძვლად.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, იმის შესახებ, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, მოსარჩელის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ ვერ იქნა რაიმე მტკიცება, რომლითაც დადასტურდებოდა უძრავ ნივთზე 2004 წლის 27 ოქტომბრიდან ზ. შ-ას საკუთრების უფლების რეგისტრაციის არსებობა.

საკასაციო სასამართლო, ასევე, დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეში წარმოდგენილი უფლებადამდგენი დოკუმენტების მტკიცებულებად არ მიჩნევასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას, იმ საფუძვლის

ვლით, რომ მათ არ გააჩნია სათანადო იურიდიული ძალა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2011 წლის 10 ოქტომბერს ზ. შ-ამ განცხადებით მამართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების განხორციელება. განმცხადებელმა სარეგისტრაციო ბარათს დაურთო: ამონანერი საჯარო რეესტრიდან, მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი, მიწის (უძრავი ქონების) საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა, საკადასტრო აზომვითი ნახაზი ელ. ვერსიით; მიღება-ჩაბარების აქტის ასლი; დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ არც ადმინისტრაციულ ორგანოებს და არც სასამართლოს არ უმსჯელია და სათანადოდ არ შეუფასებია ის დოკუმენტაცია, რომელიც არსებობდა სადაც აქტების გამოცემამდე. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ზ. შ-ას უფლება სადაც მიწის ნაკვეთზე დასტურდება 20.02.1995წ. გაცემული №... მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტით, 27.10.04წ. მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობით, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მიწის ნაკვეთის ფართობისა და კონფიგურაციის შესახებ და 27.10.04წ. ამონანერით საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ. აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოშობს ნაკვეთზე რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას, ვინაიდან, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 28.06.1993წ. №503 დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი არის მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო აქტის გაცემის ძირითადი საფუძველი. საკასაციო სასამართლოს მითითებით, მცხეთის რაიონის სოფელი ... 20.02.1995წ. №... მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, ზ. შ-ას კერძო საკუთრებაში, ავშნიანში გადაეცა 0.1 ჰა მიწის ნაკვეთი, აქტი შეიცავს ნაკვეთის პარამეტრებს. ამასთან, სადაც ნაკვეთის ზ. შ-ას საკუთრებაში ყოფნას ადასტურებს

აგრეთვე 27.10.04ნ. მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა, რომელიც იმუამად მოქმედი „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა ოფიციალურ სახელმწიფო საბუთს, რომელშიც აისახებოდა უფლებაზე გაცლენის მქონე ყველა ინფორმაცია. სარეგისტრაციო მოწმობა გაიცემოდა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის გადაუდებელ ღონისძიებათა და საქართველოს მოქალაქისათვის სარეგისტრაციო მოწმობების გაცემის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 16.05.1999წ. №327 ბრძანებულების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზ. შ-ას სახელზე გაცემული სარეგისტრაციო მოწმობა შეიცავს უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიფიკაციო მონაცემებს, რომლის თანახმად, მცხეთის სარეგისტრაციო ზონაში, ... კოდით, ... სექტორში, კოდით ..., №... კვარტალში, №... ნაკვეთი 0.098 ჰა ფართობით, ადგილმდებარეობა - მცხეთის რაიონი, გლდანის საკრებულო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი კერძო საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ზ. შ-აზე. მოწმობაში შეტანილი ჩანაწერები შესრულებული და დადასტურებულია 27.10.04ნ. რეგისტრატორის მიერ. ზ. შ-ას სახელზე მიწის ნაკვეთის სარეგისტრაციო მოწმობა გაცემულია საქართველოს პრეზიდენტის 16.05.1999წ. №327 ბრძანებულების საფუძველზე, რომლის მიხედვით მიწის მიღება-ჩაბარების აქტი საკმარისი იყო მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციისათვის, საკუთრების უფლების დამადასტურებელი სარეგისტრაციო მოწმობის მომზადებისა და გაცემისათვის. აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე მითითებული მონაცემებით საჯარო რეგისტრში განხორციელებულია 0.098 ჰა მიწის ნაკვეთის დაზუსტებული რეგისტრაცია. 27.10.04ნ. საჯარო რეგისტრის ამონაწერით მიწის (უძრავი ქონების) შესახებ დასტურდება, რომ მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო ნომრით ... მესაკუთრედ საჯარო რეგისტრში რეგისტრირებულია ზ. შ-ა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმაცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. აგრეთვე, დღეს მოქმედი „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმაცია, ვიდრე ისინი საქართველოს კანონმდებლობით დადგენი-

ლი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეესტრის ჩანა-ნერების მიმართ მოქმედი უტყუარობის პრეზუმუცია განპირობებულია სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებით. საჯარო რეესტრის სისწორის ვარაუდი გულისხმობს იმას, რომ რეგისტრირებული უფლება არსებობს და იგი ეკუთვნის რეგისტრირებულ უფლებამოსილ პირს. აღნიშნული საჯარო რეესტრს წარმოაჩენს, როგორც უფლებათა უტყუარობისა და სისრულის გარანტს. საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმუციიდან გამომდინარე ითვლება, რომ ზ. შ-ას საკუთრებაში გააჩნია მის სახელზე რეგისტრირებული მინის ნაკვეთი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზ. შ-ას სახელზე 27.10.2004წ. განხორციელებული რეგისტრაცია მხარეების მიერ სადავოდ არ ქცეულა და ძალაშია ზ. შ-ას სახელზე განხორციელებული რეგისტრაციის საფუძველი – 20.02.1995წ. გაცემული №.....მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს 2012 წლის 28 ივნისს სასამართლო სხდომაზე ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის მიერ დაფიქსირებულ პოზიციაზე, რომელმაც განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ იქნა ფოტო, სადაც კოდით ჩანდა ეს მინის ნაკვეთი, რაც გადაიგზავნა კადასტრის სამსახურში და დაისვა ეს კოდი, მაგრამ შემდეგ გაუქმდა ეს მონაცემები. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში არ მოიპოვება ზ. შ-ას სახელზე საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმების დოკუმენტაცია, კერძოდ, უფლების გადასვლის ან შეწყვეტის ფაქტის, ჩანაწერის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობის ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, 1996 წლის „მინის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 7.1. მუხლის თანახმად, ყოველ რეგისტრაცურაში ინახება მინის და სხვა უძრავი ქონების სააღრიცხვო (სარეგიტრაციო) ბარათები და სარეგისტრაციო რუკები. სააღრიცხვო ბარათზე მოცემული ჩანაწერები არის ამ ქონებასთან დაკავშირებით სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის ძირითადი იურიდიული საფუძველი. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურში სააღრიცხვო ბარათის მოუძიებლობა, ზ. შ-ას სახელზე წარმოშობილ საკუთრების უფლებას ეჭვქვეშვერ დააყენებს, რამდენადაც საქმის მასალებში წარმოდგენი-

ლი მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო მოწმობა გაცემულია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მაისის №327 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, რომლის მე-11 მუხლით ცალსახად იყო განსაზღვრული, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის პირველად რეგისტრაციას და სარეგისტრაციო მოწმობის გაცემას უსასყიდლოდ, გამოყოფილი ბიუჯეტის ხარჯზე უზრუნველყოფდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, რაც მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა 2004 წლის 27 ოქტომბერს, ხოლო ამ დოკუმენტის კანონიერება მხარეს სადაცოდ არ გაუხდია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს ზ. შ-ას განცხადების განხილვისას უნდა ემსჯელა არა საკუთრების უფლების პირველად რეგისტრაციაზე, არამედ, 2011 წლის 10 ოქტომბერს წარდგენილი განცხადების შინაარსის მიხედვით, რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების განხორციელების საფუძვლიანობაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით მხარეს ეცნობა, რომ უფლების რეგისტრაციის განსახორციელებლად საჭირო იყო მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის დედნის ან/და სათანადო წესით დამოწმებული ასლის წარდგენა, ხოლო 2011 წლის 30 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით შეწყდა სარეგისტრაციო წარმოება, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ შეჩერების საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტის/ინფორმაციის წარუდგენლობის გამო. მაშინ, როცა ზ. შ-ას მოსაზრებით, მის მიერ წარდგენილი იყო კანონით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირებს მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტებია: ცნობა-დახასიათება თანდართული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საკომლო წიგნიდან ამონაწერი, მებაღის წიგნაკი, „საქართველოს

რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დაწიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილების შესაბამისად სოფლის (დაბის) ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით შექმნილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი და სოფლის (დაბის) ყრილობაზე (საერთო კრებაზე) დამტკიცებული მიწების განაწილების სია თანდართული მიწის გამოყოფის გეგმით ან მის გარეშე, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო დაწიშნულების მიწით სარგებლობისათვის სარეგისტრაციო პერიოდში მოქმედი საგადასახადო სია, „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დაწიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმდებამდე, ხოლო სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში ასევე აღნიშნული კანონის ამოქმდების შემდეგ, დადგენილი წესით, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ გაცემული მიწის ნაკვეთის მიმარტების აქტი ან მიწის ნაკვეთის გეგმა, სასამართლოს აქტი ან/და სხვა დოკუმენტი, აგრეთვე „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის 73-ე მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული პირების მიმართ ამავე პუნქტით განსაზღვრული ვადის დადგომამდე – პრივატიზაციის გეგმა, 1999 წლამდე შედგენილი დროებით სარგებლობის დამადასტურებელი მოქმედი დოკუმენტი, 1999 წლამდე მიწის ნაკვეთის ან/და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის ბალანსზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით არ არის გაუქმებული, ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი, მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის პროექტი.

საქართველო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ზემოაღნიშნული მუხლი არ შეიცავს იმპერატიულად განსაზღვრულ მოთხოვნას თუ რა სახით უნდა იყოს ნარდგენილი მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი სარეგისტრაციო სამსახურში, კერძოდ, მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნარდენა უნდა მოხდეს დედნის თუ ასლის სახით. საკასაციო სასა-

მართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლოში ასლის სახით წარდგენილი დოკუმენტისათვის მტკიცებულების მინიჭების საკითხს წყვეტს სასამართლო, რაც იმას გულის-ხმობს, რომ დოკუმენტის ასლს სასამართლოსათვის გააჩინა მტკიცებულების ძალა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვინაიდან „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით პირდაპირ არ არის განსაზღვრული მინის მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედნის სახით წარდგენის ვალდებულება, დაუშვებელია განმცხადებლისათვის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ ასეთი ვალდებულების დადგენა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურების მიერ ასეთი ვალდებულების დადგენა გამოიწვევს კანონის არასწორ განმარტებას და ხელოვნური ბარიერების შექმნას უფლებათა რეგისტრაციის პროცესში.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 81-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის მოსთხოვოს განმცხადებელს წარადგინოს სხვა რაიმე დამატებითი საბუთი ან ინფორმაცია კანონით გათვალისწინებული საბუთის ან დოკუმენტის გარდა. დაუშვებელია ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საფუძვლით ადმინისტრაციული წარმოების შეჩერება ან განცხადების განხილვაზე უარის თქმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით განმცხადებლისათვის უფლების რეგისტრაციის განსახორციელებლად მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის დედნის წარდგენის დავალებას, ხოლო შემდგომში 2011 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის ფაქტს, მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის დედნის წარუდგენლობის გამო.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადაც აქტების მიღებისას მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ

არ განხორციელებულა ადმინისტრაციული აქტის საფუძვლად არსებული გარემოებების სათანადოდ გამოკვლევა და შეფასება. უფრო მეტიც, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ სადაცო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას უგულველყოფილ იქნა განმიცხადებლის მოთხოვნა, რამდენადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ რეალურად იმსჯელა საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე, მაშინ როდესაც ზ. შ-ა განცხადებით უკვე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილებების შეტანას ითხოვდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ენინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. აღნიშნულ მუხლში მოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სავალდებულო წინაპირობები, რომლებიც მათი რეალიზების თვალსაზრისით, ამ მუხლში არა კუმულაციური, არამედ, ალტერნატიული სახით არის წარმოდგენილი. ამასთან, არსებით დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა, სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებას და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სადაც საკითხის გადაუწყვეტილად ბათილად ცნოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი აქტის გამოცემა დაავალოს.

ამდენად, საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში

არსებობს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 ნოემბრის №... და 2011 წლის 30 დეკემბრის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული მატერიალურ-საპროცესო სამართლებრივი საფუძვლები. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 ნოემბრის №... და სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 30 დეკემბრის №... გადაწყვეტილებები და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს უნდა დაეგალოს რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ზ. შ-ას განცხადებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით, გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ადმინისტრაციულ ორგანოს ეძლევა შესაძლებლობა საქმის-თვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადო გამოკვლევისა და შეფასების შედეგად მიიღოს კონკრეტული შემთხვევისათვის სათანადო გადაწყვეტილება. ამასთან, განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ზ. შ-ა აღნიშნულ მინის ნაკვეთს 1995 წლიდან დაეუფლა მართზომიერად და იმყოფებოდა მის ფაქტობრივ მფლობელობაში (სარგებლობაში); ხოლო 2004 წლიდან იგი ამ ნაკვეთის მე-საკუთრება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაპყრობს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 18 იანვრისა და 25 იანვრის გადაწყვეტილებებზე, რომლითაც ზ. შ-ას უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლება-მოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე, ან ქვემდგომ ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათი-

ლად გამოცხადების, შეცვლის, ან ახალი ადნიმისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტის გამოცემის, ან ადმინისტრაციული ორგა-ნოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქ-მედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რო-მელიც არ გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტის გამოცემას. საკასაციო სასამართლო მიუ-თითებს, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს აქვს ორი ძირითადი ფუნქცია: 1. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც უფლების დაცვის საშუალება; 2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თვით-კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. ადმინისტრაცი-ული საჩივარი, როგორც უფლების დაცვის საშუალება მნიშვნე-ლოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს გააჩნია უპირატესობა, კერძოდ ადმინისტრაციულ საჩივარზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოწმება გადაწ-ყვეტილების მიზანშენონილობა და კანონიერება, მაშინ როდე-საც სასამართლო იფარგლება აქტის, მხოლოდ კანონიერების შემოწმებით. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამარ-თლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალების სრული მასშტაბით გამოყენებას, მხარისთვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. ადმინისტრა-ციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებ-რივი აქტის კანონიერების გადამოწმებას, რომელიც თავის თავში მოიცავს აქტის, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კა-ნონიერების გადამოწმებას. საკასაციო სასამართლო მიუთი-თებს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, როგორც საჩივრის განმხილველ ორგანოს, გასაჩივრებული აქტების კა-ნონიერებისა და მიზანშენონილობის გადამოწმების გალდებუ-ლება წარმოეშვება მაღალი ხარისხით. აღნიშნული კი გულის-ხმობს იმას, რომ საჯარო რეესტრის მიერ გამოკვლეული უნდა ყოფილიყო საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოე-ბა და აღნიშნულის საფუძველზე მიღებული უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილება საჩივრის დაკავილი მოქმედების ან საჩივრის დაკ-მაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს ზო-გადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები. კერძოდ, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენ-ტომ, ისე უთხრა უარი განმცხადებელს საჩივრის დაკავილი-ლებაზე, რომ ფაქტობრივად არც გამოუკვლევია საქმეში არსე-ბული უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებები, არ გაუკეთებია სა-

მართლებრივი შეფასება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად კანონიერად მოხდა მხარისათვის უფლების დამდგენი დოკუმენტების დედნის ან/და სათანადო წესით დამონიშებული ასლის წარდგენის დავალდებულება. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 18 იანვრის და 2012 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებათა დასაბუთება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების და სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებით იდენტურია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 ნოემბრის და 2011 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებებისა, რაც კიდევ უფრო ამყარებს ზემოაღნიშნულ მსჯელობას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს ადმინისტრაციული საჩივრის დაკავშირებულებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 18 იანვრის №... და 2012 წლის 25 იანვრის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის მატერიალურ-საპროცესო სამართლებრივი საფუძვლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების და ზ. შ-ას საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკავშირების საფუძველი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ზ. შ-ას მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა სოლიდარულად უნდა დაეკისროს მოპასუხებას – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ 3 0 ტ ა:**

1. ზ. შ-ას საკასაციო საჩივარი დაკავშირების ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-

ტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ზ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. ბათილად იქნეს ცნობილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 18 იანვრის №... და 2012 წლის 25 იანვრის №... გადაწყვეტილებები;

5. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 ნოემბრის №... და სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 30 დეკემბრის №... გადაწყვეტილებები და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს დაუვალოს საქმის გარემოებების სათანადოდ გამოკვლევის შემდეგ, გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

6. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს ზ. შ-ას სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 500 ლარის (200+300) ანაზღაურება.

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მინის ნაკვეთის რეგისტრაციის საფუძველი

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№პს-651-637(კ-12)

11 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სინოტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

#### აღნერილობითი ნაწილი:

2011 წლის 15 დეკემბერს მ. ს-ემ სასარჩელო განცხადებით  
მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვ-  
ნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული საა-  
გენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მან განცხადებით მიმართა მცხე-  
თის სარეგისტრაციო სამსახურს, რომლითაც მის საკუთრებაში  
არსებულ მინის ნაკვეთზე (მდებარე: მცხეთა, ... ქუჩა) რეგის-  
ტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია მოითხოვა.  
მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურმა სარეგისტრაციო წარმო-  
ება შეაჩერა იმ მოტივით, რომ წარმოდგენილი საკადასტრო  
აზომვითი ნახაზის მიხედვით უძრავი ნივთის მოსაზღვრები  
არ ემთხვევა სარეგისტრაციო სამსახურში არსებულ უძრავ ნივ-  
თზე უფლების დამდგენ დოკუმენტში – 1998 წლის 28 ნოემ-  
ბრის №... მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულ  
მოსაზღვრე პირთა სიას. მოსარჩელის მოსაზრებით, ადმინის-  
ტრაციულმა ორგანომ არსებითი გამოკვლევის გარეშე გამოსცა  
გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები,  
რითაც ზიანი მიადგა მის კანონიერ უფლებასა და ინტერესს.

ამდენად, მოსარჩელემ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერე-  
ბის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს  
მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 6 ოქტომბრის  
№... გადაწყვეტილების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის  
შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხე-  
თის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 7 ნოემბრის №...

გადაწყვეტილებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 15 ნოემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებით მ. ს-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით მ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ს-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მ. ს-ის სააპელაციო საჩივრი; უცვლელად დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1999 წლის 20 მარტის №... მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტით ქ. მცხეთის საკრებულოს 1995 წლის 31 ოქტომბრის №80 დადგენილების (ოქმი №9/4) საფუძველზე ჯ. ხ-ას სარგებლობაში გადაეცა, ... ქუჩაზე მდებარე 0,06 ჰა ფართობის ერთი მიწის ნაკვეთი. აღნიშნული მიწის ნაკვეთის მოსაზღვრედ მითითებულია: ჩრდილოეთით – ქალაქის ფონდის ტერიტორია; სამხრეთით – ქალაქის ფონდის ტერიტორია; აღმოსავლეთით – გზა; დასავლეთით – ქალაქის ფონდის ტერიტორია.

1983 წლის 24 დეკემბერს გაცემული ქორწინების მოწმობის თანახმად, ჯ. ხ-ას დაქორწინების შემდეგ მიეკუთვნა გვარი – მ-ე.

მიწის (უძრავი ქონების) შესახებ საჯარო რეესტრის ამონა-წერის თანახმად, 601 კვ/მ ფართობის (დაზუსტებელი) მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდით: ...; ნინა № ...), უფლების დამდგენი იურიდიული დოკუმენტის – 1999 წლის 20 მარტის №... მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რეგისტრირებულია ჯ. მ-ის საკუთრების უფლება (განაცხადის რეგისტრაციის №...; თარიღი 25.05.00; უფლების რეგისტრაციის თარიღი: 25.05.00).

სასამართლომ 12 მაისის (წელი არ იკითხება) №... მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად დადგენილად მიიჩ-

ნია, რომ ქ. მცხეთის საკურებულოს 1999 წლის 31 ოქტომბრის №101 დადგენილების (ოქმი №104) საფუძველზე, გ. მ-ეს სარგებლობაში გადაეცა, ... ქუჩაზე მდებარე 0,06 ჰა ფართობის ერთი მინის ნაკვეთი. აღნიშნული მინის ნაკვეთის მოსაზღვრედ მითითებულია: ჩრდილოეთით – ქალაქის ფონდის ტერიტორია; სამხრეთით – ქალაქის ფონდის ტერიტორია; აღმოსავლეთით – გზა; დასავლეთით – ქალაქის ფონდის ტერიტორია.

მინის (უძრავი ქონების) შესახებ საჯარო რეესტრის ამონანერის თანახმად, ქ. მცხეთაში, ... ქუჩაზე მდებარე 600 კვ/მ ფართობის (დაუზუსტებელი) მინის ნაკვეთი (საკადასტრო კოდით: ...; წინა № ...), უფლების დამდგენი იურიდიული დოკუმენტის – 12 მაისის №... მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რეგისტრირებულია გ. მ-ის საკუთრების უფლება (განაცხადის რეგისტრაციის №...; თარიღი 16.08.00; უფლების რეგისტრაციის თარიღი: 16.08.00).

1998 წლის 28 ნოემბრის №... მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, ქ. მცხეთის საკურებულოს 1998 წლის 27 ნოემბრის №154 დადგენილების (ოქმი №11/20) საფუძველზე, თ. ზ-ს სარგებლობაში გადაეცა, ... ქუჩაზე მდებარე 0,06 ჰა ფართობის ერთი მინის ნაკვეთი. აღნიშნული მინის ნაკვეთის მოსაზღვრედ მითითებულია: ჩრდილოეთით – თ. ზ-ის ნაკვეთი; სამხრეთით – მ. მ-ის ნაკვეთი; აღმოსავლეთით – ჭ. ხ-ას ნაკვეთი; დასავლეთით – გზა.

მინის (უძრავი ქონების) სააღრიცხვო ბარათის თანახმად, 0,06 ჰა ფართობის (დაუზუსტებელი) მინის ნაკვეთი (სარეგისტრაციო ზონა – მცხეთა, კოდი – ...; სექტორი – მცხეთა, კოდი – ...; კვარტალი – №..., ნაკვეთი – №...), უფლების დამდგენი იურიდიული დოკუმენტის – 1998 წლის 28 ნოემბრის №... მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რეგისტრირებულია თ. ზ-ის საკუთრების უფლება.

2006 წლის 13 ნოემბრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მ. ს-ემ, თ. ზ-ისაგან შეიძინა, უძრავი ქონება, კერძოდ, ქ. მცხეთაში, ... ქუჩაზე მდებარე 0,06 ჰა ფართობის (დაუზუსტებელი) მინის ნაკვეთი (სარეგისტრაციო ზონა – მცხეთა, კოდი – ...; სექტორი – მცხეთა, კოდი – ...; კვარტალი – №..., ნაკვეთი – №...).

მინის (უძრავი ქონების) შესახებ საჯარო რეესტრის ამონანერის თანახმად, 0,06 ჰა ფართობის (დაუზუსტებელი) მინის ნაკვეთი (სარეგისტრაციო ზონა – მცხეთა, კოდი – ...; სექტორი – მცხეთა, კოდი – ...; კვარტალი – №..., ნაკვეთი – №...), უფლების დამდგენი იურიდიული დოკუმენტის – 2006 წლის 13 ნოემ-

ბრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების (რეესტრში რეგისტრაციის №...) საფუძველზე რეგისტრირებულია მ. ს-ის საკუთრების უფლება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, 2011 წლის 30 სექტემბერს მ. ს-ემ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს, რომლითაც ქ. მცხეთაში, ... ქუჩაზე მდებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია მოითხოვა. განცხადებას თან დაურთო: დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი; მიწის (უძრავი ქონების) შესახებ საჯარო რეესტრის ამონანერი (განაცხადის რეგისტრაციის №...; თარიღი: 13.11.06); ი/მ „ა. რ-ის“ მიერ 2011 წლის 30 სექტემბერს შედგენილი 600 კვ/მ ფართობის მინის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი; საკადასტრო აზომვითი ნახაზის ელ. ვერსია. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სარეგისტრაციო ნარმოება შეჩერდა, ვინაიდან, წარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით უძრავი ნივთის მოსაზღვრები არ ემთხვეოდა სარეგისტრაციო სამსახურში არსებულ უძრავ ნივთზე უფლების დამდგენ დოკუმენტში – 1998 წლის 28 ნოემბრის №... მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულ მოსაზღვრე პირთა სიას. შესაბამისად, სარეგისტრაციო ნარმოების განახლებისათვის მოთხოვნილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა. შეჩერების აღნიშნული საფუძვლის აღმისაფხვრელად, დაინტერესებულ პირს განესაზღვრა ვადა – 30 კალენდარული დღით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ 2011 წლის 28 ოქტომბერს, მ. ს-ის წარმომადგენელმა ვ. ს-ემ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურში დამატებით წარადგინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოთხვილი – ...; ... და ... საკადასტრო კოდებზე არსებული სარეგისტრაციო დოკუმენტები, კერძოდ: ჯ. ხ-ას სახელზე გაცემული მიწის (უძრავი ქონების) შესახებ საჯარო რეესტრის ამონანერი (განაცხადის რეგისტრაციის №..., თარიღი: 31.03.08) და 1999 წლის 20 მარტს გაცემული მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი №...; თ. ზ-ის სახელზე გაცემული მიწის (უძრავი ქონების) საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა და 1998 წლის 28 ნოემბერს გაცემული მიწის ნაკვეთის მიღება-ჩა-

ბარების აქტი №...; გ. მ-ის სახელზე 12 მაისს (წელი არ იკითხება) გაცემული მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი №... და 2011 წლის 13 აპრილის ამონანერი საჯარო რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაცია №..., 12/04/2011).

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა, ვინაიდან სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი/ინფორმაცია.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით, მ. ს-ის წარმომადგენელს ვ. ს-ეს უარი ეთქვა 2011 წლის 4 ნოემბრის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე (რომლითაც მოთხოვნილი იქნა მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 6 ოქტომბრის №... სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად (ცნობა), ვინაიდან, მ. ს-ის მიერ წარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით, უძრავი ნივთის მოსაზღვრე პირები არ შეესაბამებოდა უფლების დამდგენ დოკუმენტი – 1998 წლის 28 ნოემბრის №... მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულ მოსაზღვრე პირთა სიას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 12 აპრილის წერილით დადგენილია, რომ მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის საკადასტრო რუკის მონაცემებით მ. ს-ის მიერ 2011 წლის 30 სექტემბრის №... განაცხადით წარმოდგენილი საკადასტრო აზომვით ნახაზზე მოცემული მინის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ზედდება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებთან არ გამოვლინდა. რაც შეეხება ინფორმაციას მ. მ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, ... ქუჩაზე ან მის მიმდებარედ, უძრავი ნივთის იდენტიფიკაცია ვერ ხდება. ქ.მცხეთის სარეგისტრაციო სექტორში მდებარე რაიმე უძრავ ნივთზე მ. მ-ის საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

2012 წლის 22 მაისის ამონანერით საჯარო რეესტრიდან დადგენილია, რომ ქ.მცხეთაში, ... ქუჩაზე მ. მ-ის სახელზე რეგისტრირებულია 600.00 კვ.მ დაუზუსტებელი ფართობის მინის ნაკვეთი. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს: 1. ცნობა №08-2/46, დამოწმების თარიღი 02.09.2005, 2. მცხე-

თის რაიონის საკრებულოს გამგეობის გადაწყვეტილება №90, დამოწმების თარიღი 22.05.1992 და 3. მიღება-ჩაბარების აქტი №79, დამოწმების თარიღი 26.10.1999.

მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი №79, დამოწმების თარიღი 26.10.1999-ით, დადგენილია, რომ მ. მ-ს გამოეყო საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 0,06 ჰა, (20X30) ... ქუჩაზე, მოსაზღვრებს წარმოადგენ - სამხრეთით გზა, ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით - ქალაქის ფონდის ტერიტორია. მიღება - ჩაბარების აქტს მეორე გვერდზე ერთვის მიწის ნაკვეთის ნახაზი, რომლის მიხედვითაც მოსაზღვრებად მითითებულია - გზა, ორი მხრიდან ქალაქის ფონდის ტერიტორია და ერთ-ერთი მხრიდან გ. ხ-ის ნაკვეთი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო საჩივრის პრეტენზიები და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ჯეროვნად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სასამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უძრავი ქონების საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესს და პირობებს განსაზღვრავს ქონების სარეგისტრაციო წარმოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ პუნქტის თანახმად, რეგისტრაცია არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ამ კანონით განსაზღვრული უფლების, საჯარო-სასამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების წარმოშობის, მათშიც ცვლილების და მათი შეწყვეტის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიზოვების, მიწის მიზნობრივი დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის, ტყის ფონდის საზღვრის დადგენის და მასშიც ცვლილებების შეტანის, ასევე ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემთა აღრიცხვა შესაბამის რეესტრში, რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება“. მე-2 ნაწილის თანახმად, განცხადებას უნდა ერთვოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია. მე-3 ნაწილის თანახმად, „მარეგისტრირებელი ორგანო უფლება-

მოსილია კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სა-რეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დო-კუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებე-ლია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მი-საღებად.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, მარეგისტრირე-ბელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარ-მოების შეჩერების შესახებ, თუ: „განცხადებას არ ერთვის სა-ქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვ-ნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად...“

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს მსჯელობა, რომ ცვლილების რეგისტრაცია გულის-ხმობს მინის ნაკვეთის საზღვრის, კონფიგურაციის და ადგილ-მდებარეობის დადგენას. მოცემულ შემთხვევაში, მ. ს-ეზე რე-გისტრირებული უძრავი ქრონების დაუზუსტებელი ფართის დად-გენა უნდა განხორციელდეს პირველადი რეგისტრაციის იური-დიული საფუძვლით – მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული მოსაზღვრე მინის ნაკვეთის შესაბამისობაში მოყვანილი საკა-დასტრო აზომვითი ნახაზით, სადაც ადგილმდებარეობა და მო-საზღვრე მინის ნაკვეთები დადგენილია.

მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურმა 2011 წლის 30 სექტემ-ბერს მ. ს-ის მიერ წარდგენილ განცხადებაზე დართული სარე-გისტრაციო დოკუმენტები მიიჩნია არასაკმარისად ცვლილების რეგისტრაციის განხორციელებისათვის, იმ მოტივით, რომ წარ-მოდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით ნივთის მოსაზღვრეები არ ემთხვეოდა სარეგისტრაციო სამსახურში არ-სებულ უძრავ ნივთზე უფლების დამდგენ დოკუმენტში (მიღე-ბა-ჩაბარების აქტი №... 28.11.1998წ) მითითებულ მოსაზღვრე პირთა სიას. აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამარ-თლომ მიიჩნია, რომ მცხეთის სარეგისტრაციო სამსახური ვალ-დებული იყო „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კა-ნონის 21-ე მუხლის „ა“ პუნქტის და მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, შეეჩერებინა სარეგისტრაციო წარმოება დამატები-თი სარეგისტრაციო დოკუმენტის, კერძოდ, 1998 წლის 28 ნო-ემბრის №... მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული მოსაზღვრე მინის ნაკვეთის შესაბამისობაში მოყვანილი საკადასტრო აზომ-ვითი ნახაზის მოთხოვნის გამო.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალების თანახმად, მ. ს-ის წარმომადგენელმა ვ. ს-ემ სარეგისტრაციო

წარმოების შეჩერების აღმოფხვრის მიზნით თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს წარუდგინა ...; ... და ... საკადასტრო კოდებზე არსებული სარეგისტრაციო დოკუმენტები, კერძოდ: ჯ. ხ-ას სახელზე გაცემული მიწის (უძრავი ქონების) შესახებ საჯარო რეესტრის ამონაწერი (განაცხადის რეგისტრაციის №..., თარიღი: 31.03.08) და 1999 წლის 20 მარტს გაცემული მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი №94; თ. ზ-ის სახელზე გაცემული მიწის (უძრავი ქონების) საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა და 1998 წლის 28 ნოემბერს გაცემული მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი №...; გ. მ-ის სახელზე 12 მაისს (წელი არ იკითხება) გაცემული მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი №... და 2011 წლის 13 აპრილის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაცია №..., 12/04/2011).

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლომ შეისწავლა და გაანალიზა აპელანტი მხარის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები, მათ შორის მ. მ-ის სახელზე აღრიცხულ მიწის ნაკვეთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ ქ.მცხეთაში, ... ქუჩაზე მ. მ-ის სახელზე რეგისტრირებულია 600.00 კვ.მ დაუზუსტებელი ფართობის მიწის ნაკვეთი. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს: 1. ცნობა №08-2/46, დამოწმების თარიღი 02.09.2005, 2. ძცხეთის რაიონის საკრებულოს გამგეობის გადაწყვეტილება №90, დამოწმების თარიღი 22.05.1992 და 3. მიღება-ჩაბარების აქტი №79, დამოწმების თარიღი 26.10.1999. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების №79 აქტს, რომლის მიხედვითაც მ. მ-ის საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მოსაზღვრეებს წარმოადგენენ – სამხრეთით – გზა, ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით – ქალაქის ფონდის ტერიტორია, ხოლო მიღება – ჩაბარების აქტის მეორე გვერდზე დართულ მიწის ნაკვეთის ნახაზზე წინა გვერდისაგან განსხვავებული ინფორმაცია მოსაზღვრეებთან დაკავშირებით, კერძოდ, ერთი მხრიდან მითითებულია – გზა, ორი მხრიდან ქალაქის ფონდის ტერიტორია და ერთ-ერთი მხრიდან გ. ხ-ის ნაკვეთი.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებული ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ: „სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი ინფორმაცია ან დოკუმენტი“. აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე,

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელმა სა-რეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში ვერ წარადგინა მოთხოვილი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძ-ვლის აღმოფხვრის შესაბამისი დამადასტურებელი ინფორმა-ცია. ამდენად, მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურმა მართე-ბულად შეწყვიტა სარეგისტრაციო წარმოება მ. ს-ის განცხადე-ბაზე ცვლილების რეგისტრაციის თაობაზე.

იქედან გამომდინარე, რომ აპელანტის მიერ ვერ იქნა და-დასტურებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხე-თის სარეგისტრაციო სამსახურის სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ 2011 წლის 6 ოქტომბრის №... გადაწყვეტი-ლების და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის სარეგისტრაციო წარმოების შეწ-ყვეტის შესახებ 2011 წლის 7 ნოემბრის №... გადაწყვეტილების კანონინააღმდეგობრიობა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩ-ნია, რომ არ არსებობდა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყო-ფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნუ-ლი სააგენტოს 2011 წლის 15 ნოემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტან-ციის სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი საპროცესო დარ-ლგევების გარეშე, სწორად დაადგინა საქმეზე ფაქტობრივი გა-რემოვებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. შე-საბამისად, სახეზე არ იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებ-რივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ს-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინე-ბის გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმა-ყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ და შემდეგ სასამართლომ არასაკმარისად ჩათვალა უდავოდ დად-გენილი ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მის მიერ წარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით მ. ს-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს აღმოსავლეთით ჯ. მ-ის (ხ-ა) მიწის ნაკვეთი ესაზღვრება, ხოლო დასაცავითით გზა.

კასატორის მითითებით, მას კანონიერი ნდობა აქვს ადმი-ნისტრაციული ორგანოს მიმართ, რომ მისი საკუთრების უფლე-ბა აღრიცხულია (რეგისტრირებულია) კანონის მოთხოვნათა

დაცვით; საჯარო რეესტრის მონაცემების მიმართ კი მოქმედებს უტყუარობის პრეზუმაცია.

კასატორი მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არაჯეროვნად გამოიკვლია საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებები და დოკუმენტაცია. კასატორის მითითებით, არ მოხდა თავად სარეგისტრაციო სამსახურში დაცული დოკუმენტების მოძიება, კერძოდ, საჯარო რეესტრს თვითონვე უნდა დაედგინა, რომ მ. ს-ის მიერ წარდგენილ მინის საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით, აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ჯ. მ-ე (ხ-ა) და ასევე, სამხრეთით დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრირებული იყო მ. მ-ის საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთი.

კასატორის მითითებით, ფაქტობრივად სასამართლომ მტკიცებულებები ფორმალურად დაურთო საქმეს და მათ არ მისცა სამართლანი შეფასება. კასატორმა აღნიშნა, რომ მტკიცებულებების ერთ-ერთი სახეა მოწმის ჩვენება, თუმცა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა მოწმის დაკითხვის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. ს-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განჩინებით მ. ს-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2013 წლის 7 თებერვალს 13:00 საათზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2006 წლის 13 ნოემბრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მ. ს-ემ თ. ზ-ისაგან შეიძინა უძრავი ქონება, ქ. მცხეთაში, ... ქუ-

ჩაზე მდებარე 0,06 ჰა ფართობის (დაუზუსტებელი) მიწის ნაკვეთი (სარეგისტრაციო ზონა – მცხეთა, კოდი – ...; სექტორი – მცხეთა, კოდი – ...; კვარტალი – №..., ნაკვეთი – №...). მიწის (უძრავი ქონების) შესახებ საჯარო რეესტრის ამონანერის თანახმად, 0,06 ჰა ფართობის (დაუზუსტებელი) მიწის ნაკვეთზე (სარეგისტრაციო ზონა – მცხეთა, კოდი – ...; სექტორი – მცხეთა, კოდი – ...; კვარტალი – №..., ნაკვეთი – №...), უფლების დამდგენი იურიდიული დოკუმენტის – 2006 წლის 13 ნოემბრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების (რეესტრში რეგისტრაციის № 1/2857) საფუძველზე რეგისტრირებულია მ. ს-ის საკუთრების უფლება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2011 წლის 30 სექტემბერს მ. ს-ემ განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს, რომლითაც ქ. მცხეთაში, ... ქუჩაზე მდებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია მოითხოვა. განცხადებას თან დაურთო: დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი; მიწის (უძრავი ქონების) შესახებ საჯარო რეესტრის ამონანერი (განაცხადის რეგისტრაციის №...; თარიღი: 13.11.06); ი/მ „ა. რ-ის“ მიერ 2011 წლის 30 სექტემბერს შედგენილი 600 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი; საკადასტრო აზომვითი ნახაზის ელ. ვერსია. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა, იმ მოტივით, რომ წარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით უძრავი ნივთის მოსაზღვრეები არ ემთხვეოდა სარეგისტრაციო სამსახურში არსებულ უძრავ ნივთზე უფლების დამდგენ დოკუმენტში – 1998 წლის 28 ნოემბრის №... მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულ მოსაზღვრე პირთა სიას. შესაბამისად, სარეგისტრაციო წარმოების განახლებისათვის მოთხოვნილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა, რისთვისაც მ. ს-ეს განესაზღვრა ვადა – 30 კალენდარული დღით.

2011 წლის 28 ოქტომბერს, მ. ს-ის წარმომადგენელმა ვ. ს-ემ მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურში დამატებით წარადგინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილი – ...; ... და ... საკადასტრო კოდებზე არსებული სარეგისტრაციო წარმოების განახლებისათვის მოთხოვნილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა, რისთვისაც მ. ს-ეს განესაზღვრა დადა – 30 კალენდარული დღით.

რავი ქონების) შესახებ საჯარო რეესტრის ამონაწერი (განაცხადის რეგისტრაციის №..., თარიღი: 31.03.08) და 1999 წლის 20 მარტს გაცემული მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი №94; თ. ზ-ის სახელზე გაცემული მიწის (უძრავი ქონების) საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა და 1998 წლის 28 ნოემბერს გაცემული მიწის ნაკვეთის №... მიღება-ჩაბარების აქტი; გ. მ-ის სახელზე 12 მაისს (წელი არ იკითხება) გაცემული მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი №... და 2011 წლის 13 აპრილის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაცია №..., 12/04/2011). საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სარეგისტრაციო წარმომება შეწყდა იმ მოტივით, რომ სარეგისტრაციო წარმომების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი/ინფორმაცია.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით, მ. ს-ის წარმომადგენელს ვ. სეს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე (რომლითაც მოთხოვნილ იქნა მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 6 ოქტომბრის №... სარეგისტრაციო წარმომების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად (ცნობა), ვინაიდან, მ. ს-ის მიერ წარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით, უძრავი ნივთის მოსაზღვრე პირები არ შეესაბამებოდა უჯლების დამდგენ დოკუმენტი – 1998 წლის 28 ნოემბრის №... მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულ მოსაზღვრე პირთა სიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 12 აპრილის წერილზე, რომლის მიხედვით, მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის საკადასტრო რუკის მონაცემებით მ. ს-ის მიერ 2011 წლის 30 სექტემბრის №... განაცხადით წარმოდგენილ საკადასტრო აზომვით ნახაზზე მოცემული მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ზედდება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებთან არ გამოვლინდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორი მ. ს-ე საკასაციო საჩივარში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივნისის განჩინებასთან ერთად მოწმის დაკითხვაზე უარის შესახებ მცხეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 16 იანვრის საოქმო განჩი-

ნების ბათილად ცნობაზე მიუთითებდა. 2011 წლის 11 აპრილს სასამართლო სხდომაზე კასატორის წარმომადგენელმა მოხსნა მოთხოვნა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 16 იანვრის საოქმო განჩინების ბათილად ცნობის ნაწილში და საბოლოოდ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივნისის განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საკასაციო სასამართლო მიჩნევს, რომ გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივნისის განჩინება არ არის დასაბუთებული არც პროცესუალური და არც მატერიალური თვალსაზრისით. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს სადაც საკითხს და ისე მიიღეს გადაწყვეტილება განსახილველ საქმეზე, რომ არ იმსჯელეს მოსარჩელის არგუმენტებზე და ვერ დაასაბუთეს მ. ს-ის მოთხოვნის უსაფუძვლობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან მ. ს-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთადერთ მოტივად ის გარემოება იქცა, რომ საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით უძრავი ნივთის მოსაზღვრეები არ ემთხვეოდა სარეგისტრაციო სამსახურში არსებულ უძრავ ნივთზე უფლების დამდგენ დოკუმენტში – 1998 წლის 28 ნოემბრის №... მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულ მოსაზღვრე პირთა სიას. ამასთან, როგორც ადმინისტრაციული ორგანოები, ასევე, ქვედა ინსტანციის სასამართლოები განსახილველ საკითხს ფორმალურად მიუდგნენ და გასაჩივრებული აქტების კანონიერის დასაბუთებისას შემოიფარგლნენ მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ მ. ს-ის მიერ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე მიიღო. კასატორი მიუთითებს, რომ არ მოხდა თავად სარეგისტრაციო სამსახურში დაცული დოკუმენტების მოძიება და ურთიერთშეფასება. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მ. ს-ეს ისე ეთქვა უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათი ობიექტური შეფასების საფუძველზე არ მიიღო გადაწყვე-

ტილება. სარეგისტრაციო სამსახურს არ დაუდგენია მ. ს-ის საკუთრების დაზუსტებით და ახალი წესის შესაბამისად საკუთრების უფლების რეგისტრაციით ვისი უფლებები ილაშებოდა; სახეზე ხომ არ იყო ინტერესთა კონფლიქტი; ადმინისტრაციულ ორგანოს ფაქტობრივად ადმინისტრაციული წარმოება არ ჩაუტარებია, რა დროსაც მას შესაძლებლობა და ვალდებულებაც ჰქონდა მიერვია ყველა დაინტერესებული პირი, ვის ინტერეს-საც შესაძლოა შეხებოდა გადაწყვეტილება. სარეგისტრაციო სამსახურმა ფაქტობრივად ეჭვს ქვეშ დააყენა მ. ს-ის საკუთრების უფლება. განმცხადებელს იმ გარემოებების დოკუმენტურად დადასტურება მოსთხოვა, რაც მისი კვლევის საგანი უნდა ყოფილიყო. აღნიშნულის საპირისპიროდ კი საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მ. ს-ე 2006 წლიდან ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე სადაც უძრავი ქონების მესაკუთრეა და მისი საკუთრების უფლება დღემდე ძალაშია და სადაც არავის გაუხდია.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმუციიდან გამომდინარე ითვლება, რომ მ. ს-ეს საკუთრებაში გააჩნია ქ. მცხეთაში, ... ქუჩაზე მდებარე 0,06 ჰა ფართობის (დაუზუსტებელი) მიწის ნაკვეთი (სარეგისტრაციო ზონა – მცხეთა, კოდი – ...; სექტორი – მცხეთა, კოდი – ...; კვარტალი – №..., ნაკვეთი – №...).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეესტრის ჩანაწერის მიმართ მოქმედი უტყუარობის პრეზუმუცია განპირობებულია სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებით. საჯარო რეესტრის სისწორის ვარაუდი გულისხმობს იმას, რომ რეგისტრირებული უფლება არსებობს და იგი ეკუთვნის რეგისტრირებულ უფლებამოსილ პირს. აღნიშნული საჯარო რეესტრის წარმოაჩნის, როგორც უფლებათა უტყუარობისა და სისრულის გარანტის. საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმუციიდან გამომდინარე ითვლება, რომ მ. ს-ეს საკუთრებაში გააჩნია მის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის განხილვის მთელ ეტაპზე მ. ს-ე საქმის გარემოებების დასადგენად მოწმის დაკითხვას ითხოვდა, თუმცა მოსარჩელის შეამდგომლობა რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა, ხოლო საპელაციო სასამართლოს არც უმსჯელია აღნიშნულის თაობაზე. ამდენად, არც ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა შეუწყეს ხელი საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დადგენას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, რო-

დესაც სათანადოდ არ არის დადგენილი საქმის ფაქტობრივი გა-  
რემოვებები, შეუძლებელია საქმეზე ობიექტური და კანონიერი  
გადაწყვეტილების მიღება.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მიხედვით, რე-  
გისტრაციისა და რეგისტრირებული მონაცემების ხელმისაწ-  
ვდომობის საკითხზე მარეგისტრირებელი ორგანო გამოსცემს  
გადაწყვეტილებას. ამავე ინსტრუქციით განსაზღვრულია გა-  
დაწყვეტილების მიღების, ძალაში შესვლისა და გასაჩივრების  
წესი. რაც ნიშნავს იმას, რომ მარეგისტრირებელი ორგანო ვალ-  
დებული დაიცვას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გან-  
საზღვრული ადმინისტრაციული წარმოების სახე და გადაწყვე-  
ტილების მიღებისას სპეციალურ ნორმებთან ერთად იხელ-  
მძღვანელოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულე-  
ბებთ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.5  
მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამო-  
სიღი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემო-  
ებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რო-  
მელიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაცი-  
ული წარმოების დროს.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს მითითებით, მართალია  
„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხ-  
ლის მე-6 პუნქტის თანახმად მარეგისტრირებელი ორგანო და  
მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარე-  
გისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, მაგრამ ამავე  
ნორმის მიხედვით მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამ-  
შრომელი პასუხისმგებელი არიან რეგისტრირებული მონაცე-  
მების და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენ-  
ტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს  
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნა-  
წილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბა-  
თილია, თუ იგი ენინაალმდეგება კანონს ან არსებითად დარღვე-  
ულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დად-  
გენილი სხვა მოთხოვნები. აღნიშნულ მუხლში მოცემულია ად-  
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სა-  
ვალდებულო წინაპირობები, რომელებიც მათი რეალიზების  
თვალსაზრისით, ამ მუხლში არა კუმულაციური, არამედ, ალ-  
ტერნატიული სახით არის წარმოდგენილი. ამასთან, არსებით  
დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რომელსაც შეეძლო  
არსებითი გავლენა მოეხდინა ადმინისტრაციული ორგანოს მი-

ერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოყვლევა, სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სადაც საკითხის გადაუწყვეტილად ბათილად ცნოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი აქტის გამოცემა დაავალოს.

ამდენად, საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 6 ოქტომბრის №... და 2011 წლის 7 ნოემბრის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული მატერიალურ-საპროცესო სამართლებრივი საფუძვლები. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სადაც საკითხის გადაუწყვეტილად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 6 ოქტომბრის №... და სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 7 ნოემბრის №... გადაწყვეტილებები და მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს უნდა დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ კანონმდებლობის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით, გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლო დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებით მნიშვნელობას ანიჭებს საქმეზე ფაქტობრივი გარე-

მოებების სრულყოფილ გამოკვლევას და თვლის, რომ მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურმა, ორგორც ადმინისტრაციულმა ორგანომ, რომელსაც აქტის გამოცემის პროცესში მინიჭებული აქვს ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების ვალდებულება, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები, რაც მისცემს ადმინისტრაციულ ორგანოს შესაძლებლობას საქმეზე მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება. სადაც საკითხის ხელახალი განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სრულფასოვნად გამოიყენოს მისთვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება და გადაწყვეტილება მიიღოს დაინტერესებულ მხარეთა მოსმენისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის ჩატარების მეშვეობით. ამასთან, განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილების მიღებასას უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ მ. ს. ე 2006 წლიდან ქ. მცხეთაში, ... ქუჩაზე მდებარე 0,06 ჰა ფართობის (დაუზუსტებელი) მინის ნაკვეთის მესაკუთრეა და ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ის ფაქტობრივადაც ფლობს ამ მინის ნაკვეთს. აქევ საკასაციო სასამართლო მიუთითებს თავად საჯარო რეესტრის მიერ მოძიებულ ინფორმაციაზე (სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 12 პრილის წერილი), რომლის თანახმად, განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს ზედდება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაპყრობს ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 15 ნოემბრის №... გადაწყვეტილებაზე და განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საჩივრი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადნიმისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ საჩივრს აქვს ორი ძირითადი ფუნქცია: 1. ადმინისტრაციული საჩივრი, როგორც უფლების დაცვის საშუალება; 2. ადმინისტრაციული ორგანოს

მიერ თვითკონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. ად-  
მინისტრაციული საჩივარი, როგორც უფლების დაცვის საშუა-  
ლება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ადმინისტრა-  
ციულ საჩივარს გააჩნია უპირატესობა, კერძოდ, ადმინისტრა-  
ციულ საჩივარზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში  
მოწმდება გადაწყვეტილების მიზანშენონილობა და კანონიე-  
რება, მაშინ როდესაც სასამართლო იფარგლება აქტის მხოლოდ  
კანონიერების შემონმებით. აღნიშნულიდან გამომდინარე სა-  
კასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ სა-  
ჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალების სრულ მასშტა-  
ბით გამოყენებას, მხარისთვის განსაკუთრებული ინტერესი გა-  
აჩნია. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივარ-  
თან დაკავშირებით გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრა-  
ციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებას, რო-  
მელიც თავის თავში მოიცავს აქტის, როგორც ფორმალური, ისე  
მატერიალური კანონიერების გადამოწმებას. საკასაციო სასა-  
მართლო მიუთითებს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ საა-  
გნენტოს, როგორც საჩივრის განმხილველ ორგანოს, გასაჩივრე-  
ბული აქტების კანონიერებისა და მიზანშენონილობის გადამოწ-  
მების ვალდებულება წარმოეშვება მაღლალი ხარისხით. აღნიშ-  
ნული კი გულისხმობს იმას, რომ საჯარო რეესტრის მიერ გა-  
მოკვლეული უნდა ყოფილიყო საქმისთვის მნიშვნელობის მქო-  
ნე ყველა გარემოება და აღნიშნულის საფუძველზე მიღებული  
უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილების  
ან საჩივრის დაკავშირებილებაზე უარის თქმის შესახებ. საკასა-  
ციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სა-  
ჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დარღვეულ იქნა  
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხ-  
ლით დადგენილი მოთხოვნები. კერძოდ, იმ პირობებში, როდე-  
საც მოსარჩელე ადმინისტრაციულ საჩივარში დამატებით გა-  
ნუმარტავდა და მოახსენდდა სააგენტოს მოსაზღვრე პირების  
შესახებ, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, ისე უთ-  
ხრა უარი განმცხადებელს საჩივრის დაკმაყოფილებაზე, რომ  
ფაქტობრივად არც გამოიყევლებია საქმეში არსებული მტკიცე-  
ბულებები, დამატებით არ შეუფასებია საქმის ფაქტობრივი გა-  
რემოებები და არ უმსჯელია მ. ს-ის არგუმენტებზე. მით უფრო  
იმ პირობებში, როდესაც კანონი საჯარო რეესტრს აძლევს  
სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შესაძ-  
ლებლობას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ  
შემთხვევაში არსებობს ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყო-

ფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 15 ნოემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მატერიალურ-საპროცესო სამართლებრივი საფუძვლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების და მ. ს-ის საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ნ. ჩ-ის მიერ მ. ს-ის საქმეზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა (პირველი ინსტაციის სასამართლოში – 100 ლარის ოდენობით; საპელაციო სასამართლოში – 150 ლარის ოდენობით; საკასაციო სასამართლოში – 300 ლარის ოდენობით; სულ – 550 ლარი) სოლიდარულად უნდა დაეკისროთ მოპასუხეებს – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. მ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. ბათილად იქნეს ცნობილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 15 ნოემბრის №... გადაწყვეტილება;

5. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრა-

ციონ სამსახურის 2011 წლის 6 ოქტომბრის №... და სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 7 ნოემბრის №... გადაწყვეტილებები და მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკლევის შემდეგ კანონმდებლობის შესაბამისად გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

6. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს 6. ჩ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ მის მიერ მ. ს-ის საქმეზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 550 ლარის (100+150+300) ანაზღაურება;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ერთი მინის ნაკვეთის მიმართ ორი ურთიერთსანიანალებები ჩანაწერის დაუშვებლობა

### განხილვა

№ბს-468-463(კ-12)

30 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათიალდ ცნობა

#### აღნერილობითი ნაწილი:

ნ. ლ-ზა 04.03.116. სარჩელი ალძრა მცხეთის რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამსარეო სამმართველოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ. მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შედეგად მოითხოვა სამხა-

რეო სამმართველოს 28.01.11 წ. №3/6 წერილის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 14.06.10 წ. №2/346 მიმართვის, 28.01.11 წ. №3/6 წერილის ბათილად ცნობისა და საჯარო რეესტრისთვის მოსარჩევის სახელზე დაზუსტებული მონაცემების რეგისტრაციის მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 01.03.2005 წ. ო-ისგან და ა. ჟ-ისგან შეიძინა მცხეთის რაიონის სოფ. ... მდებარე 0,214 ჰა მიწის ნაკვეთი. საჯარო რეესტრის 24.03.2008 წ. ამონაწერის თანახმად, 0,214 ჰა მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: ...) მესაკუთრედ აღნიშნულია მოსარჩელე. 26.03.08 წ. სს ბანკი „...“ ცენტრალურ ფილიალსა და ნ. ლ-ს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მიწის ნაკვეთი იპოთეკით დაიტვირთა. ნ. ლ-მა მონაცემების დაზუსტების მოთხოვნით მიმართა მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს, რა დროსაც აღმოჩნდა, რომ მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის 1560 კვ.მ-ზე რეგისტრირებულია სახელმწიფოს საკუთრების უფლება. სახელმწიფოს საკუთრებაში აღნიშნული მიწის აღრიცხვის საფუძვლად მითითებულია მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 14.06.2010 წ. მიმართვა. 20.01.2011 წ. ნ. ლ-მა წერილობით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს და მოითხოვა სახელმწიფოს სახელზე განხორციელებული რეგისტრაციის ბათილობა, რაზეც მოპასუხის 28.01.2011 წ. წერილით ეთქვა უარი. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ აღნიშნული პასუხი ზღუდავს მის კანონიერ ინტერესებს.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 30.05.11 წ. განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი ნ. ლ-ის სასარჩელო მოთხოვნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების თაობაზე და ადმინისტრაციულ საქმეზე ნანილობრივ შეწყდა ნარმოება, ხოლო მოპასუხეთა წრიდან ამორიცხულ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახური.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 30.05.11 წ. განჩინებით საქმეში მესამე პირებად ჩაერთვნენ სს „...“ და ო. ქ-ი.

ნ. ლ-მა 29.03.11 წ. სარჩელით მიმართა მცხეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხების მცხეთის მუნიციპალიტეტის საკ-

რებულოსა და ი. ქ-ის მიმართ მცხეთის მუნიციპალიტეტის სა-კუთრების უფლების აღიარების კომისიის 24.02.11წ. №05 გა-დაწყვეტილების, 05.02.11წ. №05 ოქმის, 26.06.09წ. გაცემული №759 საკუთრების მონმობის ბათილად ცნობის და საჯარო რე-ესტრში ი. ქ-ის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ჩა-ნაწერის გაუქმების მოთხოვნით.

მოსარჩელის მითითებით, 01.03.2005წ. მ. ო-ისგან და ა. ჟ-ის-გან შეიძინა მცხეთის რაიონის სოფ. ... მდებარე 0,214 ჰა მიწის ნაკვეთი. საჯარო რეგისტრის 24.03.2008 წ. ამონაწერის თანახ-მად, 0,214 ჰა მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: ...) მესაკუთ-რედ აღნიშნულია მოსარჩელე. 6. ლ-მა მონაცემების დაზუსტე-ბის მოთხოვნით მიმართა მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს, რა დროსაც აღმოჩნდა, რომ მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის 800 კვ/მ-ზე რეგისტრირებულია ი. ქ-ის საკუთრების უფლება. 6. ლ-მა 20.01.2011წ. საჩივრით მიმართა მცხეთის მუ-ნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარე-ბის კომისიის ი. ქ-ის სახელზე გაცემული 26.06.2009წ. №759 სა-კუთრების უფლების მონმობის ბათილად ცნობის მოთხოვნით, რაც კომისიის 24.02.2011წ. გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილ-და. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ი. ქ-ზე არ ვრცელდება „ფიზი-კური და კერძო სამართლის იურიდიული პირების შფლობელო-ბაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონი, ვინაიდან მან 2008 წელს შემოლობა მოსარჩელის საკუთრებაში არსებუ-ლი მიწის ნაკვეთი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული აქტებით შეიზღუდა მისი რო-გორც მესაკუთრის ინტერესები.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 03.06.11 წ. განჩინებით დაზუსტდა მოპასუხეთა წრე და მოპასუხებად მითითებულ იქ-ნენ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღია-რების კომისია და სსიპ საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენ-ტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახური. ამავე განჩინებით საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ ი. ქ-ი და სს „...“.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 27.06.11 წ. განჩინებით ზემოაღნიშნულ ორ სარჩელზე მიმდინარე სამართალნარმოე-ბები გაერთიანდა ერთ წარმოებად.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიის 19.08.11წ. გადაწყვეტილებით 6. ლ-ის სასარჩე-ლო განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ სააპე-ლაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.02.12წ. განჩინებით

სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა რაიონული სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ 09.09.2005წ. 2140 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთზე ნ. ლ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველზე, დაუზუსტებელი მონაცემებით. პალატამ დადგენილად ცნო, რომ ნ. ლ-ის მიერ 21.12.2010წ. განცხადებით წარდგენილი 2 140 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზის საფუძველზე, საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის მონაცემებით დაფიქსირდა ზედდება ნ. ლ-ის დაუზუსტებელი მონაცემებით საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მცხეთის რაიონის სოფ. ...., დაზუსტებული მონაცემებით სახელმწიფოს საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ 1560 კვ/მ ფართობის მიწის ნაკვეთზე (ს. კ.: ...) და ი. ქ-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ 800 კვ/მ ფართობის მიწის ნაკვეთზე (ს.კ....). სასამართლო დაეყრდნო მოსარჩელის მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ რეგისტრაციის (09.09.2005წ.) პერიოდისათვის მოქმედ „მინის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლს და აღნიშნა, რომ ნ. ლ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ ჩანაწერი განხორციელებულია დაუზუსტებელი მონაცემებით, ხოლო საკადასტრო რუკის საზღვარი ფიქსირებულია. პალატამ მიუთითა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 04.08.2011წ. ექსპერტიზის დასკვნაზე და აღნიშნა, რომ მართალია მიწის ნაკვეთის მდებარეობა შეესაბამება საჯარო რეგისტრის ამონაწერში მითითებულ მიწის ნაკვეთის მისამართს და მიწის ნაკვეთის ფართს – 2140 კვ.მ-ს და დგინდება, რომ გაერთიანებული მიწის ნაკვეთი სამი მხრიდან შემოსაზღვრულია გზით, თუმცა ექსპერტიზის დასკვნაში, ასევე აღნიშნულია, რომ სარეგისტრაციო მოწმობებზე არ არის დატანილი UTM საერთაშორისო სისტემის კოორდინატები, რის გამოც მათი ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა შეუძლებელია.

პალატამ ყურადღება გაამახვილა მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების მუდმივ-მოქმედი კომისიის 05.02.2011წ. №5 ოქმზე, სადაც მოცემულია ი. ქ-ის განმარტება, რომლის თანახმადაც ი. ქ-მა 2003 წელს, შეიძინა მიწის ნაკვეთი ვ. ლ-ისაგან. პრეზიდენტის თვითხებურად დაკავებული მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ძალაში

შესვლის შემდეგ, ჯერ შემოლობა მისი ნაკვეთის მომიჯნავედ არსებული 500 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ შეეძლო დაერეგისტრირებინა მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ნაკლები მიწის ნაკვეთი, დამატებით შემოლობა კიდევ 300 კვ.მ მიწის ნაკვეთი. სააპელაციო პალატა დაეყრდნო „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლ მუხლს, მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტს, მე-9 მუხლის 1-ლ პუნქტს და აღნიშნა, რომ იმისათვის რომ ზემოაღნიშნული კანონის შესაბამისად, მიწის ნაკვეთი ჩაითვალოს თვითნებურად დაკავებულად, უნდა დადგინდეს თვითნებურად დაკავების ფაქტის კანონის ამოქმედებამდე არსებობა. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად არ მიიჩნია მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირების ფაქტი, შესაბამისად, არ იმსჯელა აღიარების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნა, რომ სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ხანილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. სასამართლოს მითითებით, როგორც წესი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელი, შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელსაც კონკრეტული ფაქტების მეშვეობით შეუძლია დაამტკიცოს, რომ მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები დაირღვა ამ აქტით. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შეთხვევაში, მოსარჩელემ ვერ მიუთითება თუ რა უფლება ან რა კანონიერი ინტერესი დაირღვა აღიარების კომისიის მიერ მიღებული გასაჩივრებული გადაწყვეტილებებით. აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ აღარ იმსჯელა აღიარების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონშესაბამისი გადაწყვეტილები.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანოებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილებების მიღებისას გამოიკვლიერს ფაქტობრივი გარემოები, სწორად შეაფასეს ისინი და მითითებული ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით მიიღეს კანონშესაბამისი გადაწყვეტილებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.02.2012ნ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა 6. ლ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა. კასატორმა მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი 1997 წელს გაცემული მიღება-ჩაბარების აქტებით უტყუარად დასტურდება 6. ლ-ის შეძენილი მინის ნაკვეთის გეოგრაფიული მდებარეობა. 2005 წლამდე მინის ნაკვეთების საკადასტრო კოდები განისაზღვრებოდა სხვა ციფრობრივი მონაცემებით, კერძოდ, კვარტლის აღმნიშვნელი იყო 00 კოდი. „უტეებ“ სისტემის შემოღების შემდეგ კვარტალი 00 გადაკეთდა 09 (ნოლ ცხრად). 2006 წელს 6. ლ-ის მინის ნაკვეთი იპოთეკით დაიტვირთა ბანკი „...“ აღებული სესხის უზრუნველსაყოფად, რაც ადასტურებს მინის ნაკვეთის გეოგრაფიულ მდებარეობას. ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნით დგინდება ა. უ-ისაგან ნაყიდი მინის ნაკვეთის იდენტიფიცირება ი. ქ-ის მიერ ლეგალიზებულ მინის ნაკვეთან, თუმცა ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, „უტეებ“ სისტემაში შეუსრულებლობის გამოზუსტად ვერ დადგინდა აღნიშნული მინის ნაკვეთის საზღვრები, ამდენად, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, დგინდება მინის ნაკვეთის მდებარეობა, მაგრამ ვერ დგინდება საზღვრები. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას (ბს-680-674(კ-11)). სააპელაციო სასამართლომ, ერთის მხრივ არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და მეორეს მხრივ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს არ მისცა სათანადო სამართლებრივი შეფასება. სასამართლოს უნდა გამოეკვლია: სახეზე იყო თუ არა სადაცო აქტების მატერიალური და ფორმალური კანონიერების საფუძვლები და წარმოადგენდა თუ არა მოსარჩელე სადაცო აქტების ბათილად ცნობაზე უფლებამოსილ სუბიექტს. სააპელაციო სასამართლოს მიერ არ მიეცა სათანადო სამართლებრივი შეფასება იმ გარემოებას, რომ ი. ქ-ს სადაცო მინის ნაკვეთი დაკავებული ჰქონდა 2007 წლის 1 იანვრის შემდეგ. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების აღიარების კომისიამ ი. ქ-ს საკუთრებაში გადასცა მინის ნაკვეთი, რომელიც 6. ლ-ის საკუთრებას წარმოადგენდა. 6. ლ-ის მინის ნაკვეთის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის საფუძველზე კომისიას ჰქონდა შესაძლებლობა გაერკვია დაინტერესებული პირის ვინაობა, რომლის სამართლებრივი მდგომარეობაც გაუარესდებოდა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემით. კასატორმა მიუთითა სზაკ-ის 95.2 მუხლზე, რომელიც

ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს თუ ინდივიდუალური-ადმინისტრაციული აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. ალიარების კომისიის მიერ საქმისათვის მნიშვნელოვან გამოსაკვლევ გარემოებებს წარმოადგენდა ი. ქ-ის განცხადებაში მითითებული მინა წარმოადგენდა თუ არა სახელმწიფოს ქონებას, მინის დაუფლება განხორციელებული იყო თუ არა 2007 წლის 1 იანვრამდე და დაინტერესებული პირის ვინაობა, რომლის სამართლებრივი მდგომარეობაც შეიძლება გაუარესებულიყო გამოცემული აქტით. 6. ლ-მა აღნიშნა აგრეთვე, რომ მინის ნაკვეთი პირს საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს როგორც დაზუსტებული, ასევე დაუზუსტებელი მონაცემებით. საქართველოს არცერთ ნორმატიულ აქტში არ არის დანაწესი იმის თაობაზე, რომ პირი არ წარმოადგენს მესაკუთრეს, რომელსაც აღრიცხული აქვს მინის ნაკვეთი დაუზუსტებელი მონაცემებით. იურიდიულ ინტერესთან დაკავშირებით კასატორმა მიუთითა, რომ საკურებულოს მიერ გაცემული საკუთრების მონაცემები ი. ქ-ის მინის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე, გამოიწვევს საჯარო რეესტრის ჩახანერების ბათილობასაც და 6. ლ-ის მიერ განაცხადის ხელახლა შეტანის შემთხვევაში სახეზე არ იქნება ზედდება, რაც მისცემს უფლებას დაირეგისტრიროს მინის ნაკვეთი დაზუსტებული მონაცემებით. სასამართლოებმა არ მისცეს სათანადო შეფასება იმ გარემოებას, რომ მინის ნაკვეთის რეგისტრაცია „უტეებ“ კოორდინატთა სისტემაში ტექნიკურ ნოვაციას წარმოადგენს და ხორციელდება 2005 წლიდან. 6. ლ-ს მინის ნაკვეთზე უფლება წარმოეშვა „უტეებ“ სისტემის შემოღებამდე, შესაბამისად, მასზე ახალი ნორმის სამართლებრივი შედეგის გავრცელება ვერ მოხდება (სკ-ის მუხ.6). პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები ხელყოფს კასატორის კონსტიტუციურ უფლებას, ვინაიდან საჯარო რეესტრში არსებული ჩანანერი, რომლის მიხედვით 6. ლ-ი წარმოადგენს მესაკუთრეს, იქნებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს, რადგან იგი ფაქტობრივად ვერ ხორციელდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.12.126. განჩინებით 6. ლ-ის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.04.136. საოქმო განჩინებით საქმეში მონინაადმდეგე მხარის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვი-

სა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს უფლებამონაც-  
ვლედ ჩაერთო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვი-  
თარების სამინისტრო იმ საფუძვლით, რომ ეკონომიკისა და  
მდგრადი განვითარების მინისტრის 11.09.12ნ. №1-1/1742 ბრძა-  
ნებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს ეკონო-  
მიკური განვითარების მინისტრის 11.01.07ნ. №1-1/24 ბრძანე-  
ბა, რომლითაც გაუქმდა სამინისტროს სახელმწიფო ქონების  
აღრიცხვისა და პრივატიზების ტერიტორიული ორგანოს ტიპი-  
ური დებულება, მოხდა სამინისტროს ტერიტირიული ორგანოე-  
ბის – სახელმწიფო აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართვე-  
ლოების ლიკვიდაცია.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორის წარმომადგენ-  
ლებმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და მოითხოვეს მი-  
სი დაკმაყოფილება. მონინააღმდეგე მხარეების – ეკონომიკისა  
და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მცხეთის მუნი-  
ციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების აღიარების კომისიი-  
ს წარმომადგენლებმა საკასაციო საჩივრის საფუძვლები არ  
ცნეს და მოითხოვეს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე  
უარის თქმა, სააპელაციო პალატის განჩინების უცვლელად და-  
ტოვება. მესამე პირმა ი. ქ-მა და მისმა წარმომადგენელმა საკა-  
საციო საჩივარი არ ცნეს, ხოლო მესამე პირმა სს ბანკი „...“ წარ-  
მომადგენლებმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხა-  
რეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული განჩი-  
ნებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების კანონიერების შე-  
მოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკ-  
მაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 377.1 მუხლის თანახმად, სააპელაციო ინსტანციაში  
მართლმსაჯულება ხორციელდება გასაჩივრებული გადაწყვე-  
ტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სა-  
აპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების გზით, რაც გულის-  
ხმობს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შე-  
ფასებასაც. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო პალატის გა-  
საჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილი შედგება მხო-  
ლოდ ნორმების ციტირებისაგან, განჩინება არ შეიცავს სადაც  
სამართალურთიერთობების მიმართ ციტირებული ნორმების გა-  
მოყენების რამე არგუმენტაციას. ამდენად, საკასაციო სასა-  
მართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთე-  
ბელია, სახეზეა სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვა-

ლისწინებული დარღვევა ანუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონმება შეუძლებელია, რაც საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას ნ. ლ-ის სახელზე რეგისტრირებული 0,214 ჰა და ი. ქ-ის სახელზე რეგისტრირებული 800 კვ.მ სადაცო მინის ნაკვეთების იდენტიფიცირების შეუძლებლობის, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სადაცო გადაწყვეტილებების მიღებისას ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი გამოკვლევის საფუძველზე მიღების შესახებ. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ 01.03.05ნ. ნ. ლ-მა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მ. ო-ისგან და ა. ჟ-ისგან შეიძინა სოფ. ... მდებარე მინის ნაკვეთები. საჯარო რეესტრის 02.09.05ნ. ამონაწერის თანახმად, ნ. ლ-ი 0, 214 ჰა დაუზუსტებელი ფართობის მინის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: ...) მესაკუთრედ არის აღრიცხული. დადგენილია აგრეთვე, რომ 08.12.1998ნ. №1453 მინის მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, მცხეთის რაიონის სოფ. ... საკრებულოს 29.01.1997ნ. დადგენილების (ოქმი №1) საფუძველზე, მ. ო-ეს გადაეცა მინის ნაკვეთი (მარანთან), მიღება-ჩაბარების აქტი შეიცავს მითითებას ნაკვეთის ოდენობის, ადგილმდებარეობის, გამოყოფილი ნაკვეთის მოსაზღვრე ნაკვეთების შესახებ, რაც იძლეოდა ნაკვეთის იდენტიფიცირების საკმარის შესაძლებლობას. მ. ო-ის სახელზე გაცემული 09.08.02ნ. მინის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობის საფუძველზე დგინდება მინის ნაკვეთის სხვა მაიდენტიფიცირებელი ნიშნებიც: სარეგისტრაციო ზონა, კოდი, სექტორი, კვარტლისა და ნაკვეთის ნომერი, უძრავი ქონების ადგილმდებარეობა.

საქმეში დაცული 08.12.1998ნ. №1454 მინის მიღება-ჩაბარების აქტისა და 29.01.1997ნ. დადგენილების (ოქმი №1) თანახმად, სოფ. ... მინის ნაკვეთი გადაეცა ასევე ა. ჟ-ს. ხსენებული მიღება - ჩაბარების აქტისა და 09.08.02ნ. მინის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობის საფუძველზე დგინდება ა. ჟ-ის კუთვნილი მინის ნაკვეთის საიდენტიფიკაციო მონაცემები, კერძოდ, - მოსაზღვრე მინის ნაკვეთები, სარეგისტრაციო ზონა, კოდი, სექტორი, კვარტლისა და ნაკვეთის ნომერი, ქონების ადგილმდებარეობა. მ. ო-ისა და ა. ჟ-ის სახელზე გაცემული მინის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობები ნაკვეთების ხსენებული საიდენტიფიკაციო ნიშნების გარდა შეიცავენ აგრეთვე ნაკვეთის საკადასტრო ნახაზს, ნაკვეთის კონფიგურაციის, მოსაზღვრე ნაკვეთების ჩვენებით. ამდენად, მ. ო-ისა და ა. ჟ-ის უფ-

ლებები მინის ნაკვეთებზე, რომელიც ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა ნ. ლ-ს, დასტურდება მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტებით, მინის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობებით. აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოშობს ნაკვეთზე რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას, ვინაიდან მინისტრთა კაბინეტის 28.06.1993წ. №503 დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი არის მინათსარგებლობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო აქტის გაცემის ძირითადი საფუძველი. თავისმხრივ მინის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა იმჟამად მოქმედი „მინის რეგისტრაციის შესახებ“ 14.11.96წ. კანონის მე-19 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა ოფიციალურ სახელმწიფო საბუთს, რომელშიც აისახებოდა უფლებაზე გავლენის მქონე ყველა ინფორმაცია. სარეგისტრაციო მოწმობა გაიცემოდა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის გადაუდებელ ღონისძიებათა და საქართველოს მოქალაქისათვის სარეგისტრაციო მოწმობების გაცემის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 16.05.99წ. №327 ბრძანებულების საფუძველზე, მ. ო-ისა და ა. ჟ-ის სახელზე გაცემული სარეგისტრაციო მოწმობები შეიცავენ უფლების სუბიექტის და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს. ნ. ლ-ის სახელზე გაცემული საჯარო რეესტრის 02.09.05წ. ამონანერი თავისმხრივ შეიცავს მინის ნაკვეთის მაიდნენტიფიცირებელ მონაცემებს, კერძოდ, სარეგისტრაციო ზონას და სექტორს კოდების მითითებით, ნაკვეთისა და კვარტლის ნომრებს, ფართობს, მისამართს. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს საქმეში დაცულ ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემულ დასკნას, რომლის მიხედვით სადაც მინის ნაკვეთის ადგილმდებარეობა დგინდება, თუმცა ვინაიდან სარეგისტრაციო მოწმობებზე არ არის დატანილი UTM საერთაშორისო სისტემის კოორდინატები, არ ხდება ნაკვეთის ზუსტი საზღვრებს დადგენა. ამდენად, მიუხედავად დაუზუსტებელი რეგისტრაციისა, ნ. ლ-ის სახელზე დარეგისტრირებული 0,214 ჰა მინის ნაკვეთის იდენტიფიცირება, მისი ადგილმდებარეობის დადგენა შესაძლებელია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ი. ქ-ის სახელზე დარეგისტრირებული 800 კვ.მ მინის ნაკვეთის ადგილმდებარეობის ზუსტი განსაზღვრა შესაძლებელია (საკადასტრო კოდი: ...), რამდენადაც რეგისტრაცია განხორციელდა დაზუსტებული მონაცემებით UTM პროექციაში შესრულებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის საფუძველზე. ნაკვეთების ადგილმდებარეობის საკითხის გარკვევისას საპე-

ლაციო სასამართლომ არ შეაფასა 6. ლ-ის წარმომადგენლის მითითება იმის შესახებ, რომ UTM სისტემის შემოღების შემდეგ კვარტლის ნომერი 00 შეიცვალა 09-ით. სასამართლოს შეფასების მიღმა დარჩა აგრეთვე წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზე დგინდება, რომ 6. ლ-სა და ი. ქ-ს შესაძლოა ჰყავდეთ საერთო მეზობელი თ. ლ-ს სახით.

საკასაციო პალატა მიუთითებს „მინის რეგისტრაციის შესახებ“ 14.11.1996წ. კანონზე, რომელიც ითვალისწინებდა რეესტრში ფიქსირებული და მიახლოებითი საზღვრების აღრიცხვას, თუ ადგილი არ ჰქონდა მოსაზღვრე მხარეებს შორის შეთანხმებას და სათანადო წესით შესრულებული კადასტრული სამუშაოების მონაცემების რეესტრში შეტანას, ყველა სხვა სახის საზღვარი მიახლოებით საზღვრად ითვლებოდა (მე-13.1 მუხ.). „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ 28.12.05 წ. კანონი ასევე ითვალისწინებდა უძრავი ნივთის სააღრიცხვო ბარათში დაუზუსტებული ან დაუზუსტებელი ფართობის მითითებას (8.3. მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ კანონის 33.4 მუხლის თანახმად, „მინის რეგისტრაციის შესახებ“ კანონის შესაბამისად, ყოფილი მინის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ზონის რეგისტრატურაში რეგისტრირებული უფლებები მიიჩნეოდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებულად. „საჯარო რეესტრის შესახებ“ 19.12.08წ. კანონის საფუძველზე მიღებული იუსტიციის მინისტრის 15.01.10წ. ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 8.7, 31.4 მუხლები ასევე ითვალისწინებენ დაუზუსტებელ რეგისტრაციას. ამდენად, მინა შეიძლება არსებობდეს საკუთრებაში, როგორც დაზუსტებული, ასევე დაუზუსტებელი მონაცემებით. კანონმდებლობა არ შეიცავს დაუზუსტებელი მონაცემებით მინის ნაკვეთის სუბიექტზე აღრიცხვის გამომრიცხავ დანაწესს. ამასთანავე, პირველად დაუზუსტებელ რეგისტრაციას არ აქვს მხოლოდ საცნობარო მნიშვნელობა, უმართებულო მისი დაყვანა მხოლოდ ფაქტობრივ აღრიცხვამდე, რომელიც აღრიცხვის ობიექტის მიმართ არ ინვეცირამიერ სამართლებრივ შედეგს. სააღრიცხვო მონაცემებს იურიდიული მნიშვნელობა გააჩნია, სარეგისტრაციო აღრიცხვის ოფიციალობა უზრუნველყოფილია საჯარო რეესტრით. სარეგისტრაციო პროცედურას შედეგად მოსდევს უფლებადამდგენი დოკუმენტის გაცემა, რომელიც ადასტურებს იურიდიული ფაქტების კანონიერბას. მართალია, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ

აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, მაგრამ ამავე ნორმის მიხედვით მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხისმგებელი არიან რეგისტრირებული მონაცემების და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე. ამავე კანონის 23-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეგისტრაციაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველს სარეგისტრაციო მოთხოვნის რეგისტრირებულ მონაცემებთან იდენტურობა წარმოადგენს. ვინაიდან უძრავ ნივთზე რეგისტრირებული უფლება გამორიცხავს იმავე ნივთზე სარეგისტრაციოდ წარდგენილი უფლების რეგისტრაციას, მარეგისტრირებელი ორგანო ასეთ შემთხვევაში უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოებაზე უარის თქმის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ უფლების დამდგენ დოკუმენტად წარდგენილი იყო მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა, საჯარო რეესტრს აქვს ვალდებულება, არ დაუმდგას სარეგისტრაციის ჩანაწერების კონკურენცია. ამდენად, ადმინისტრაციულ ორგანოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს ი. ქ-ის სახელზე ნაკვეთის რეგისტრაციამდე უნდა გამოეკვლია ნაკვეთის სხვა პირის სახელზე რეგისტრაციის არსებობა, შეედარებინა სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ქაღალდზე შესრულებულ საკადასტრო მონაცემებთან თუ სააღრიცხვო ბარათებთან და ამონაწერებთან, დაედგინა სადაცო მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთების კოდები, მესაკუთრეები, გეოგრაფიული მდებარეობა, რათა სარწმუნოდ დაედგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტები და არ დაეშვა ერთი ნაკვეთის მიმართ ორი ურთიერთსანინაალმდეგო ჩანაწერის არსებობა. გადამოწმების ვალდებულება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უფრო მაღალი ხარისხით წარმოეშობა იმის გათვალისწინებითაც, რომ უპირატესად სახელდობრთავად მარეგისტრირებელი ორგანოსათვის არის ცნობილი რეესტრში რეგისტრირებული ყველა მიწის ნაკვეთის ელექტრონული სისტემით აღურიცხაობის შესახებ. პალატა მიიჩნევს, რომ სწრაფი რეგისტრაციის პრინციპის გატარება საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს სხვა სუბიექტების საკუთრების კონსტიტუციურ უფლებას.

მხედველობაშია მისაღები, აგრეთვე, ის გარემოება, რომ ნ. ლ-ის სახელზე რეგისტრაციის განხორციელების დროს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა რეგისტრაციისთვის

განმცხადებლის მიერ ელექტრონული საკადასტრო-აზომვითი ნახაზის წარდგენის ვალდებულებას. საქართველოს პრეზიდენტის 30.04.1999წ. №206 ბრძანებულებით განისაზღვრა, რომ ახალი გეოდეზიური ქსელით შექმნილი ტოპოგრაფიული რუკებით თანდათანობით დაფარვამდე პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო მანამდე არსებული გეოდეზიური ქსელები და ტოპოგრაფიული რუკები. ხსენებული ბრძანებულების შემდგომ გამოცემული „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის გადაუდებელ ღონისძიებათა და საქართველოს მოქალაქი-სათვის სარეგისტრაციო მოწმობების გაცემის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 16.05.1999წ. №327 ბრძანებულება არ ითვალისწინებდა საკადასტრო აზომვითი ნახაზის შედეგენას ელექტრონულ კოორდინატთა სისტემაში. საკადასტრო აღნერის შედეგების (საკადასტრო აზომვითი ნახაზის) WGS 84 კოორდინატთა სისტემაში და UTM პროექციაში წარმოდგენა პირველად, ნ. ლ-ის სახელზე ნაკვეთის რეგისტრაციის შემდეგ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 13.12.2006წ. №800 ბრძანებით დამტკიცებული „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის 48-ე მუხლით დადგინდა (ანალოგიურ ნორმას შეიცავს ამჟამად მოქმედი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 15.01.10წ. №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 26.1 მუხლი). ამასთანავე, ამჟამად არ არსებობს მესაკუთრისათვის ადრე განხორციელებული რეგისტრაციის განახლების, რეგისტრაციის მოქმედების გაგრძელებისათვის ელექტრონული აზომვითი ნახაზის UTM პროექციაში წარდგენის ვალდებულების დამდგენი რაიმე ნორმა. საკასაციო პალატა თვლის, რომ ახლად შემოღებული კოორდინატთა ელექტრონული სისტემით მინის ნაკვეთის საზღვრების დაუზუსტებლობა, არ ნიშნავს მინის ნაკვეთზე უკვე წარმოშობილი საკუთრების უფლების ჩამორთმევას. ახალი კოორდინატთა სისტემის შემოღება იუსტიციის მინისტრის 15.01.10წ. №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 26-ე მუხლის თანახმად, საკადასტრო აღნერის ტექნიკური პირობაა. საკასაციო პალატა თვლის, რომ გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემის შეცვლა ტექნიკური საკითხთა და მას არ უნდა ეწირებოდეს რეესტრში ასახული უფლებები, რეგისტრაციის ახალი სისტემის დანიშნულება სანივთო უფლებების უკეთესი დაცვა და არა საკუთრების უფლების შეზღუდვა. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ საქართველოს პრეზიდენტის 16.05.1999წ. №327 ბრძანებულების მე-

5 პუნქტით გათვალისწინებული პირველადი რეგისტრირებული მონაცემების აუცილებელი დაზუსტების მოთხოვნა გულის-ხმობდა მიწის აგეგმვის შედეგად შედგენილი საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების საფუძველზე ნაკვეთის მონაცემების დაზუსტებას და არა ნაკვეთის სხვა სუბიექტზე აღრიცხვით პირველადი რეგისტრაციის გაუქმდას. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მიღება – ჩაბარების აქტები, სარეგისტრაციო მოწმობები და ნ. ლ-ის სახელზე განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერი (მიუხედავად დაუზუსტებელი რეგისტრაციის) იძლეოდა ნაკვეთის ადგილმდებარეობის დადგენის საკმარის შესაძლებლობას. საჯარო რეესტრის მონაცემი შეიცავდა 6. ლ-ის კუთვნილი ნაკვეთის მაიდანტიფიცირებელ ნიშნებს (სარეგისტრაციო ზონის და სექტორის კოდები, ნაკვეთის ნომერს, კონტურს), ამასთანავე, სარეგისტრაციო სამსახურის სადავო გადაწყვეტილების გამოცემის დროს მოქმედი „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 7.3 მუხლის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო ნარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის ნარმოდება, რომელიც აუცილებელია განაცხადით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად. შესაბამისად დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის დასკვნა იმის შესახებ, რომ ვერ ხერხდება ნაკვეთის იდენტიფიცირება. მით უფრო, რომ სასამართლო ვერ უთითებს 6. ლ-ის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნაკვეთის რაიმე სხვა ადგილმდებარეობას. გადამოწმების გარეშე რეგისტრაციის განხორციელებით სახეზეა არა უბრალოდ მიწის ნაკვეთის გადაფარვა, არამედ მთლიანად საკუთრების უფლების ხელყოფა. მოსარჩევეს ფაქტობრივად წაერთვა საკუთრების უფლება სადავო ნაკვეთზე (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე „სპორონგი და ლონორთი შვედეთის წინააღმდეგ“ აღინიშნა, რომ საკუთრების უფლება ფაქტობრივად ჩამორთმეულად შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახელმწიფო უარყოფს ქონების ექსპორტიაციის ფაქტს და ქონების ფლობის სამართლებრივი უფლება ფორმალურად პირველად მესაკუთრეს რჩება, თუმცა მისით სარგებლობა შეუძლებელი ან მნიშვნელოვნად გართულებულია. გვ. 60, 63). ამასთან, საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმაციიდან გამომდინარე ითვლება, რომ 6. ლ-ს საკუთრებაში გააჩნია მის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (0,214 ჰა), რამდენადაც 6. ლ-ის სახელზე 02.09.056. განხორციელებული რე-

გისტრაცია არ გამხდარა სადავო, ძალაშია და მოქმედებს. დავის საგანი არ ყოფილა აგრეთვე ა. უ-ისა და მ. ო-ის სახელზე საჯარო რეესტრის რეგისტრაციები, აგრეთვე ა. უ-სა და ნ. ლ-ს შორის, აგრეთვე მ. ო-ესა და ნ. ლ-ს შორის 01.03.056. დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებები. საქმეში არ მოიპოვება ნ. ლ-ზე საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმების დოკუმენტაცია, კერძოდ, უფლების გადასვლის ან შეწყვეტის, ჩანაწერის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობის ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკუთრება არის ფაქტი და დაუშვებელია ბუნებაში მისი აბსტრაქტული სახით არსებობა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის წინააღმდეგობრივი, ის ერთის მხრივ აღიარებს მინის ნაკვეთის მოსარჩელისადმი კუთვნილებას ფორმალურად (ე.ი. ეთანხმება რეესტრის ჩანაწერს), ხოლო მეორეს მხრივ სასამართლო თავის გადაწყვეტილებით გამორიცხავს, ფაქტობრივად უარყოფს საკუთრებას, ვინაიდან არც სასამართლო და არც საჯარო რეესტრის სამსახური არ უთითებს ნ. ლ-ის საკუთრებაში მყოფი ნაკვეთის რაიმე სხვა ადგილმდებარეობას. საკასაციო პალატა თვლის, რომ საგანთა ნამდვილი მდგომარეობა და რეგისტრირებული მონაცემები უნდა იყოს თანხვედრაში, ხოლო დუბლირების და პარალელიზმის გამოვლენის შემთხვევაში უნდა გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, თუ რომელს გააჩნია უკეთესი სამართლებრივი საფუძველი. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე რეგისტრირებულ უფლებათა რიგოთობა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სახელმწიფოსა და ო. ქ-ის სახელზე სადავო რეგისტრაციების განხორციელების დროს მინის ნაკვეთი საჯარო რეესტრის ჩანაწერის შესაბამისად ნ. ლ-ის სახელზე იყო რეგისტრირებული. საერთო წესის მიხედვით ბოლო ჩანაწერი ძალას უკარგავს ადრინდელ ჩანაწერს. როდესაც სახეზეა ერთი და იგივე ობიექტზე ორი ჩანაწერის კონკურენცია, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ უფლებას, რომელიც ქრონოლოგიურად უფრო ადრე არის რეგისტრირებული, ვინაიდან წინამდები რეგისტრაციის ჩანაწერის მოქმედება გამორიცხავს შემდეგი ჩანაწერის კანონიერებას. „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 12.1 მუხლის შესაბამისად, თუ სარეგისტრაციო ობიექტზე მოთხოვნილია რამდენიმე ისეთი უფლების რეგისტრაცია, რომლებიც თავიანთი შინაარსით გამორიცხავს ერთმანეთს, მაშინ რეგისტრირდება მხოლოდ ის უფლება ან უფლებები, რომელიც (რომლებიც) სხვა უფლებაზე ან უფლებებზე ადრე იქნა ნარდგენილი სარეგისტრაციოდ.

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება ნ.

ლ-ის კანონიერი ინტერესის არარსებობის თაობაზე, ვინაიდან 6. ლ-სა და ი. ქ-ზე რიცხული მიწის ნაკვეთების ზედღების ფაქტის დადგენის შემთხვევაში, ცხადია, საკუთრების აღიარების კომისიის მიერ ი. ქ-ის სახელზე გაცემული საკუთრების მოწმობის და მის საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაციის 6. ლ-ის უფლების ხელმყოფი ხასიათი. ზედღების ფაქტის გამოვლენისადმი ზედაპირული, ფორმალური მიდგომა დაუსაბუთებელს ხდის სააპელაციო პალატის მოსაზრებას დავის მიმართ მოსარჩელის კანონიერი ინტერესის არარსებობის შესახებ.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ი. ქ-მა 21.07.08წ. განცხადებით მიმართა მცხეთის მუნიციპალიტეტის საკურებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და მოითხოვა ს. .... მდებარე 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკურებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გაცემული 26.07.09წ. საკუთრების უფლების მოწმობის თანახმად, ი. ქ-ს საკუთრებაში გადაეცა ს. .... მდებარე 800 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. „ფიზიკური და იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის მიხედვით, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის ფიზიკურ პირს 2007 წლის 1 იანვრამდე უნდა ჰქონოდა დაკავებული სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (მუხ. 2 პ. „თ“). ამდენად, ხსენებული კანონის მიზნებისთვის, მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის კუმულატიურად სახეზე უნდა იყოს ორი წინაპირობა: მიწა უნდა იყოს სახელმწიფო საკუთრებაში და თვითნებურად დაკავების ფაქტს ადგილი უნდა ჰქონდეს 2007 წლის 1 იანვრამდე. საქმეში ნარმოდგენილია ტ. ს-ას, ზ. ს-ისა და დ. ქ-ის ნოტარიულად დამოწმებული განცხადება, რომელშიც მითითებულია, რომ ი. ქ-ს მცხეთის რაიონის ს. .... 2003 წლიდან დაკავებული აქვს 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელსაც დღემდე უვლის და ამუშავებს. განცხადება არ შეიცავს ინფორმაციას მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის შესახებ, ამასთანავე, ი. ქ-მა საკუთრების უფლების აღიარების კომისიის სხდომაზე თავადვე აღიარა, რომ სადაც მიწის ნაკვეთი შემოლობა 2008 წელს, „ფიზიკური და იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ. მიუხედავად ამისა, საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ ამ გარემოების გამოკვლევის გარეშე გასცა საკუთრების მოწმობა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების აღიარების კომისიის მიერ 26.06.09წ. ი. ქ-ის სახელზე გაცემული №... საკუთრების მოწმობის ბათილად ცნობის შესახებ, უკავშირდება აღიარების კომისიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, რის გამო დაზუსტებას საჭიროებს დავის საგანი. ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 15.09.07წ. №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ 17.1 მუხლის თანახმად, კომისია გასცემს საკუთრების უფლების მოწმობას მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, სასამართლოს განხილვის და შეფასების საგნად უნდა იქცეს აღიარების კომისიის ის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტი – კომისიის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც გაიცა საკუთრების მოწმობა. აღნიშნული შესაძლებელია არა დავის საგნის გაზრდის, არამედ მისი დაზუსტების გზით.

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ლ-ის ერთ-ერთი სასარჩელო მოთხოვნა ეხება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამსარეო სამმართველოს 14.06.10წ. მიმართვისა და სახელმწიფოს სახელზე რეგისტრირებული საკუთრების უფლების გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ 28.01.11წ. აქტის ბათილად ცნობას, გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს მსჯელობას სახელმწიფოს სახელზე 1560 კვ.მ. მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის კანონიერებასთან დაკავშირებით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ 14.06.10წ. სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების მცხეთა-მთიანეთის სამსარეო სამმართველომ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს და მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ... საზღვრებში 1560 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირება მოითხოვა. განმცხადებლის მიერ ნარდგენილ იქნა მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის ელექტრონული ვერსა. მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 21.06.10წ. გადაწყვეტილებით დაკავილფილდა მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამსარეო სამმართველოს მოთხოვნა. 21.06.10წ. ამონანერით დასტურდება, რომ უძრავი ქონება მდებარე მცხეთა, სოფ. ..., ნაკვეთი ..., და-

ზუსტებული ფართობი 1560 კვ.მ აღირიცხა სახელმწიფო საკუთრებად. 14.06.10ნ. სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამმართველოს მიმართვა თავისი არსით ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტია. „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 8.1 მუხლის თანახმად, უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველი. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა აკმაყოფილებდეს ადმინისტრაციული აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის საჭირო სზაკ-ით დადგენილ მოთხოვნებს. სზაკ-ის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე (სზაკ-ის 96-ე მუხ.). სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამმართველოს საქირო სამმართველოს გადაწყვეტისას მტკიცებულებათა მოპოვების გზით უნდა დაედგინა საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოები, ამდენად, სახელმწიფოს სახელზე ქონების აღრიცხვის თაობაზე მომართვის წარდგენა, საჭიროებდა საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევას. ვინაიდან კერძო პირის სახელზე არსებული რეგისტრაცია გამორიცხავს სახელმწიფო რეგისტრაციის განხორცილებას, შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს, მის საკუთრებად უძრავი ქონების აღრიცხვის თაობაზე სარეგისტრაციო სამსახურისადმი მიმართვის გადაწყვეტილების მიღებისას, ხელთ უნდა ჰქონოდა საჯარო რეესტრში არსებული ინფორმაციი ნაკვეთთან დაკავშირებით, მათ შორის ნაკვეთის დაუზუსტებელი რეგისტრაციის რეკვიზიტების შესახებ. რამდენადაც ნ. ლ-ის სახელზე დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა დაუზუსტებელი რეგისტრაციის მიუხედავად დადგენადია, სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამმართველოს ჰქონდა შესაძლებლობა გაერკვია დაინტერესებული პირის ვინაბაზა, რომლის სამართლებრივი მდგომარეობაც გაუარესდებოდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით. აღნიშნულის შესაძლებლობას ქმნის არა მხო-

ლოდ საჯარო რეესტრი, რომლის მონაცემები „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ კანონის 12.6 მუხლის, „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის თანახმად საჯარო და ხელმისაწვდომია, არამედ მიღება-ჩაბარების აქტები და მინის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობები. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გაარკვიოს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამმართველოს მიერ სადავო აქტის გამოცემისას ხსენებული მოთხოვნების დაცულობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სამართლებრივი შეფასება, განჩინება მოვლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრის აპსოლუტურ საფუძველს ქმნის, აღნიშნული თავის მხრივ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სათანადო შეფასება უნდა მისცეს შეკრებილ მტკიცებულებებს და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაემაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.02.126. გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

6. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობ-

რივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.02.2012წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მინის ნაკვეთის რეგისტრაცია

### გადაწყვეტილება საკართველოს სახელით

№ბს-671-657(კ-12)

16 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

6. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალურ აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და ქმედების განხორციელების დავალება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 4 აგვისტოს ვ. მ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მას ქ. რუსთავში, ... (...) ქუჩა №22-1-ში არსებული ბინა ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა. ამასთან, ქ. რუსთავის მერიის 2000 წლის 31 იანვრის №22-2 დადგენილების თანახმად, ... ქუჩა №22-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში მცხოვრებ მესამე პირსა (თ. ბ-ი) და მას დაუმაგრდათ მიწის ნაკვეთი, რომელიც 2000 წლის 30 ივნისს დარეგისტრირდა საერთო საკუთრებად. 2000 წლის 10 ოქტომბერს მოსარჩელესა და მესამე პირს შორის მოხდა აღნიშნული მიწის ფარ-

თის (ეზოს) გამიჯვნა (გაყოფა), რაზეც შეთანხმების ნიშნად ორივე მხარის მიერ დაწერილ იქნა განცხადებები, სადაც მითი-თებულ იქნა, რომ თითოეული მათგანი თანახმა იყო მიწის ფარ-თი (მდებარე – ქ. რუსთავი, ... ქ. №22) გაყოფილიყო საკადას-ტრო რუკაში არსებული ნახაზის მიხედვით. 2000 წლის 26 დე-კემბერს, შეთანხმების საფუძველზე, მოსარჩელემ საკუთრე-ბის უფლებით დაირეგისტრირა 265.5 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მისა-მართზე ქ. რუსთავი, ... ქუჩა №22-1.

ამასთან, 2011 წლის 22 ივნისს თ. ბ-მა მიმართა რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურს და მის საკუთრებაში არსებული უძ-რავი ქონების (მდებარე – ქ. რუსთავი, ... ქუჩა №22-2) ჩანაწე-რებში ცვლილების შეტანა მოითხოვა. მან აღნიშნულ მოთხოვ-ნასთან დაკავშირებით ნარადგინა განცხადება და აზომვითი ნა-ხაზი, რომელიც მოსარჩელის განმარტებით მათი შეთანხმების დარღვევით არის შედგენილი, რის საფუძველზეც მის საკუთ-რებაში არსებული ფართიდან 4.82 კვ.მ. იქნა მითვისებული.

მოსარჩელე მიუთითებს, რომ სარეგისტრაციო წარმოების დროს წარდგენილ საკადასტრო აზომვით ნახაზს არ ერთვოდა იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის ბრძანების შესა-ბამისად დამტკიცებული ინსტრუქციის 26-ე მუხლის მე-5 პუნ-ქტის შესაბამისი ინფორმაცია დაინტერესებული პირის შესა-ხებ, უძრავი ნივთის მოსაზღვრე უძრავი ნივთის მესაკუთრის არსებობის თაობაზე.

მოსარჩელის განმარტებით, მან ქ. რუსთავი, ... ქ. №22-1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე გააკეთა აზომვითი ნახაზი (დაზუს-ტებული ფართით 265.40 კვ.მ.) და რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურში ნარადგინა განცხადება, რომლითაც უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილებების რეგისტრაცია მო-ითხოვა. რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 4 ივლისის №... გადაწყვეტილებით „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძ-ველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარ-მოების შეჩერების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება ვ. მ-ემ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გაასაჩივრა და რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებული ინდი-ვიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა (რომლის საფუძველზეც მოქალაქე თ. ბ-ის სახელზე სა-კუთრების უფლებით აღირიცხა ქონება, მდებარე ქ. რუსთავი, ... ქუჩა №22-2-ში, საკადასტრო კოდით 02.05.07.032.) მოითხო-ვა. 2011 წლის 22 ივლისს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სა-ჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლის შესაბამისად მას არ მიეცა საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების უფლება; შესაბამისად, ხელყოფილია მისი კანონით დაცული ინტერესები, როგორც რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურში, ასევე, მის ზემდგომ ორგანოში, რადგან მათ შორის არც ერთი არ დაინტერესდა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენით.

ამდენად, მოსარჩელემ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ სისპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 4 ივლისის №... გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სისპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების, თ. ბ-ის სახელზე ქ. რუსთავი, ... ქ. №22-ში მდებარე უძრავი ქონების რეგისტრაციის თაობაზე საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა და რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურისათვის მხარეთა შორის დადგებული 2000 წლის 10 ოქტომბრის წერილობითი შეთანხმებისა და 2011 წლის 30 ივნისს შედგენილი საკადასტრო აღწერის აზომვითი ნახაზის შესაბამისად 265.40 კვ.მ. ფართზე რეგისტრაციის განხორციელების დავალდებულება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით ვ. მ-ის სარჩელი მოპასუხების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ქმედების განხორციელების თაობაზე განსჯადობით გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 11 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება თ. ბ-ი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით ვ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნა, რომ ქ. რუსთავში, (...) ქუჩა №22-1-ში მდებარე უძრავი ქონება ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე ეკუთხოდა ვ. მ-ეს. ხოლო ქ. რუსთავში, (...) ქუჩა №22-2-ში მდებარე უძრავი ქონება ეკუთხოდა მესამე პირს თ. ბ-ს, პრივატიზაციის ხელშეკრულების

## საფუძველზე.

საქალაქო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ქ. რუსთავის მერიის 2000 წლის 31 იანვრის დადგენილების მიხედვით ქ. რუსთავში ... (...) ქუჩა №22-ში მცხოვრებ მოქალაქეებს თ. ბ-ს და ვ. მ-ეს დაუმაკრდათ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი თითოეულს 325 კვ.მ. ოდენობის ფართი. 2000 წლის 30 ივნისს მხარეებმა 650 კვ.მ. მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში საერთო საკუთრებად დაარეგისტრირეს, დაუზუსტებელი ფართობით თითოეულისთვის.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეებმა შეადგინეს შეთანხმება საერთო სარგებლობის ნაკვეთის გამიჯვნის შესახებ. აღნიშნული შეთანხმება და საკადასტრო აზომვითი ნახაზი თ. ბ-ის მიერ საჯარო რეესტრში წარდგენილ იქნა 2000 წლის 20 ოქტომბერს, ხოლო ვ. მ-ის მიერ იმავე წლის 20 დეკემბერს. მხარეთა შეთანხმების შესაბამისად ვ. მ-ის სახელზე დარეგისტრირდა 265.5 კვ.მ მიწის ნაკვეთი (დანიშნულება – არასასოფლო-სამეურნეო), ხოლო თ. ბ-ის სახელზე დაუზუსტებელი ფართობით 262 კვ.მ მიწის ნაკვეთი. 2011 წლის 22 ივნისს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილ იქნა თ. ბ-ის განცხადება უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებების ცვლილებების რეგისტრაციის მოთხოვნით. 2011 წლის 23 ივნისს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ განხორციელდა უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების დაზუსტება.

2011 წლის 1 ივლისს ვ. მ-ემ რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურს მიმართა და ... ქ. №22-1-ში მდებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებებში (ცვლილებების რეგისტრაცია მოითხოვა. ვ. მ-ის განცხადებასთან დაკავშირებით სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2011 წლის 4 ივლისს მიღებულ იქნა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება რეგისტრირებულ მონაცემებთან ზედდების არსებობის მოტივით. აღნიშნული გადაწყვეტილება ვ. მ-ემ გაასაჩივრა საჯარო რეესტრში და რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა (რომლის საფუძველზეც მოხდა თ. ბ-ის სახელზე საკუთრების უფლების აღრიცხვა ქონებაზე, მდებარე ქ. რუსთავი, ... ქუჩა №22-2-ში) მოითხოვა. 2011 წლის 22 ივლისს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადასტურებულად მიიჩნია, რომ სადაც მიწის ნაკვეთზე მოთავსებულია საერთო სარგებ-

ლობის დამხმარე ნაგებობა და, რომ საჯარო რეესტრში სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებას არ მოჰყოლია მეზობლებს შორის სასაზღვრო მიჯნის შეცვლა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტზე, რომლის თანახმად, რეგისტრაციის მიზნებისთვის უძრავი ნივთის დაზუსტებული საკადასტრო მონაცემები ნიმნავს ამ ინსტრუქციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილ, საჯარო რეესტრში დაცულ საკადასტრო ინფორმაციას. სხვა შემთხვევაში უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემები მიიჩნევა დაუზუსტებლად.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. ბ-მა სარეგისტრაციოდ წარადგინა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 26-ე მუხლით გათვალისწინებული წესების შედეგად შედგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზი. აღნიშნული ნორმის მიხედვით 1. საკადასტრო აღწერის შედეგი (საკადასტრო აზომვითი ნახაზი) წარმოდგენილ უნდა იქნეს სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემაში, კერძოდ WGS 84 კოორდინატთა სისტემასა და UTM პროექციაში. 2. საკადასტრო აღწერისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ობიექტების აზომვისა და გამოსახვის სიზუსტე 0.15 მ-ისა. 3. აზომვის ზედდება დასაშვებია რეგისტრირებულ მონაცემებთან 0.3 მ-ით. 4. საკადასტრო აზომვით ნახაზზე, ამ ინსტრუქციის მოთხოვნების გათვალისწინებით, წარმოდგენილ უნდა იქნეს ობიექტთა შემდეგი ტიპები: ა) მინის ნაკვეთი; ბ) შენობა-ნაგებობა; გ) ცალკე უფლების ობიექტი; დ) უფლებრივი შეზღუდვის ან/და დატვირთვის საზღვრები; ე) წერტილოვანი ობიექტი; ვ) სხვა ტოპოგრაფიული ელემენტები. 5. საკადასტრო აზომვით ნახაზს თან უნდა ერთვოდეს წერილობითი ინფორმაცია საკადასტრო აღწერის უფლებამოსილი პირის, უძრავი ნივთის და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების აღწერილობის და დაინტერესებული პირის შესახებ. დამსწრეთა და უძრავი ნივთის მოსაზღვრე უძრავი ნივთის (ნივთების) მართლზომიერი მფლობელის ან მესაკუთრის არსებობის შესახებ. 6. საკადასტრო აზომვითი ნახაზი დამონტებული უნდა იყოს საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „დ“ პუნქტის მიხედვით, სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდება თუ სარეგის-

ტრაციოდ წარმოდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობს ინტრუქციით განსაზღვრული ზედდება ან მათში მოცემული უძრავი ნივთის ფართობი, გარდა ინსტრუქციით გათვალისწინებული შემთხვევებისა, აღემატება უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულ უძრავი ნივთის ფართობს.

განსახილველ შემთხვევაში, საქალაქო სასამართლომ დადგინდლად მიიჩნია, რომ თ. ბ-ის მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით არ დაფიქსირებულა სხვა მომიჯნავე ნაკვეთთან ზედდება და, შესაბამისად, არ არსებობდა თ. ბ-ის განცხადების გამო დაწყებული სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველი. სასამართლომ განმარტა, რომ ასეთი საფუძველი გამოიყენეთა უკვე თავად მოსარჩელის მიერ წარდგენილ განცხადებაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებისას. ვ. მ-ის მიერ წარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით მიწის ნაკვეთის საზღვრები იქრებოდა უკვე დაზუსტებული საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთში.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული შეთანხმების მიხედვით, ორივე მხარეს საჯარო რეესტრში მონაცემები დარეგისტრირებული ჰქონდა დაუზუსტებელი სახით, ანუ არცერთ მხარეს არ ჰქონდა ზუსტად განსაზღვრული ფართობის ოდენობა; ზუსტი ფართობი არ არის ალნიშნული არც 2000 წლის 10 ოქტომბრის შეთანხმებით. 2000 წლს შედგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზი კი შესაძლებელია შეიცავდა რაიმე მინიმალურ ცდომილებას, სწორედ ამიტომ იქნა გათვალსწინებული კანონმდებლის მიერ საკადასტრო აზომვითი ნახაზების ქრჩ 84 კორდინატთა სისტემასა და UTM პროექციაში მომზადება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ საჯარო რეესტრში მონაცემების დაზუსტების შედეგად მხარეთა ფაქტობრივი მდგომარეობა არ შეცვლილა, რაც იმას გულისხმობს, რომ არ შეცვლილა მხარეთა შორის არსებული სასაზღვრო მიჯნა. მესამე პირი წარმოდგენილი შესაგებლით კი დასტურდება, რომ ის ეთანხმება 2000 წლს მხარეთა შორის განხორციელებულ გამიჯვნას.

ამასთან, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აკმაყოფილებდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია რომ, არც თ. ბ-ის სახელზე რეგისტრირებულ საკუთრების უფლების სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების განხორციელებისას საკადასტრო მონაცემების დაზუსტების მიზნით და არც ვ. მ-ის მიერ წარდგენილ განცხადებაზე სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას, რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ არ დარღვეულა „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონით, საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციით და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული დებულებები.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. მ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 29 მაისის განჩინებით ვ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიუთითა მათზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ ვერ იქნა გაბათილებული პარველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები, რისი გათვალისწინებითაც არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 29 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. მ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და ასევე არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და საქართველოს ოუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანება. კასატორის მითითებით, არასწორი განმარტება გადაწყვეტილებაში ასახულია იმ

სახით, რომ იგი გაგებულია ცალმხრივად.

კასატორის განმარტებით, სასამართლო ფართოდ მსჯელობს იმ საკითხზე, რომ მოპასუხეს ჰქონდა ცდომილების უფლება, მაგრამ რატომდაც ცდომილების უფლებაზე სასამართლომ იმსჯელა განყენებულად და დაავიწყდა, რომ მოპასუხის ყველა უფლება-მოვალეობა გამომდინარეობს იქნება, რომ დაიცვას მოქალაქის უფლებები, კონკრეტულად კი საკუთრების უფლება, რომელიც დაცულია საქართველოს ძირითადი კანონით.

გარდა აღნიშნულისა, კასატორმა მიუთითა, რომ მოპასუხებდაარღვია რა კანონმდებლობის იმპერატივული მოთხოვნები, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილებების ძალაში დატოვებამ დაარღვია არა მარტო მისი უფლებები, არამედ, აქეზებს მოპასუხეს სხვა მოქალაქეების საკუთრების უფლების ხელყოფისაკენ.

კასატორის განმარტებით, კანონი ნებისმიერ შემთხვევაში იცავს მესაკუთრეს, აქეს მას ქონება დარეგისტრირებული სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემაში თუ აქვს რეგისტრირებული ძველი წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასამვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ვ. მ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განჩინებით ვ. მ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არ-სებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2011 წლის 1 ივლისს ვ. მ-ემ განცხადებით მიმართა რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურს და ქ. რუსთავი, ... ქუჩა №22-1-ში მდებარე უძრავ ნივ-

თზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია მოითხოვა. რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება, რეგისტრირებულ მონაცემებთან ინსტრუქციით გათვალისწინებული ზედდების არსებობის მოტივით. ვ. მ-ემ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებისა და რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 23 ივნისის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, სარეგისტრაციო ჩანაწერის, ბათილად ცნობა მოითხოვა, რომლითაც მესამე პირის თ. ბ-ის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე – ქ. რუსთავი, ... ქუჩა №22-ში, განხორციელდა უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების დაზუსტება. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა ვ. მ-ის ადმინისტრაციული საჩივარი; ხოლო ვ. მ-ეს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე რეგისტრაციის შესახებ რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 23 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2011 წლის 22 ივნისს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილ იქნა თ. ბ-ის განცხადება უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილებების რეგისტრაციის მოთხოვნით; ხოლო 2011 წლის 23 ივნისას რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ განხორციელდა უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების დაზუსტება, რის საფუძველზეც თ. ბ-ის საკუთრებად დარეგისტრირდა 264.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის დავას 4.82 კვ.მ. მიწის ფართი იწვევს, რაც 2011 წლის 23 ივნისს განხორციელებული სადაცო რეგისტრაციით მესამე პირის თ. ბ-ის საკუთრებაში მოექცა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას გასაჩივრებული აქტების კანონიერების თაობაზე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ როგორც ადმინისტრაციული ორგანოები, ასევე, ქვედა ინსტანციის სასამართლოები განსახილველ საკითხს ფორმალურად მი-

უდგნენ და არ იმსჯელეს მოსარჩელის არგუმენტებზე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 29 მაისის განჩინება არ არის დასაბუთებული არც პროცესუალური და არც მატერიალური თვალსაზრისით. სააპელაციო სასამართლო არასწორად მიუდგა სადაცო საკითხს და არასათანადო სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს; სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საკადასტრო მონაცემების დაზუსტების მიზნით თ. ბ-ის სახელზე რეგისტრირებულ საკუთრების უფლების სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების განხორციელებისას რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ არ დარღვეულა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით, საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციით და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული დებულებები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე მიიღო. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ვ. მ-ეს ისე ეთქვა უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათი ობიექტური შეფასების საფუძველზე არ მიიღო გადაწყვეტილება. სარეგისტრაციო სამსახურს არ დაუდგენია სადაცოდ ქცეული – მესამე პირის თ. ბ-ის სახელზე განხორციელებული საკუთრების დაზუსტებით და ახალი წესის შესაბამისად საკუთრების უფლების რეგისტრაციით ვისი უფლებები ილახებოდა; სახეზე ხომ არ იყო ინტერესთა კონფლიქტი. ადმინისტრაციულ ორგანოს ფაქტობრივად ადმინისტრაციული წარმოება არ ჩაუტარებია, რა დროსაც მას შესაძლებლობა და ვალდებულებაც ჰქონდა მიეწვია ყველა დაინტერესებული პირი, ვის ინტერესსაც შესაძლოა შეხებოდა გადაწყვეტილება. აღნიშნულის საპირისპიროდ კი კასატორი ვ. მ-ე მიუთითებს, რომ რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურმა თ. ბ-ის სახელზე ისე განხორციელა საკუთრების უფლების დაზუსტება, რომ იგი, როგორც დაინტერესებული მხარე არ ყოფილა ადმინისტრაციულ წარმოებაში მიწვეული, მას მონაწილეობა არ მიუღია ადმი-

ნისტრაციულ წარმოებაში და საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების შესაძლებლობაც არ მისცემია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ვ. მ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად ის გარემოება იქცა, რომ სახეზე იყო რეგისტრირებულ მონაცემებთან ინსტრუქციით გათვალისწინებული ზედდება. ამასთან, საკასაციო სასამართლოებმა ისე გაიზიარეს მოპასუხე მხარის აღნიშნული მსჯელობა, რომ ფაქტობრივად არ შეფასებულა რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიერთ. ბ-ის სახელზე 2011 წლის 23 ივნისს განხორციელებული რეგისტრაციის კანონიერება, იმ პირობებში, როდესაც ვ. მ-ე სადაც ვოდებით და აღნიშნულ რეგისტრაციას და ერთერთ სასარჩელო მოთხოვნას სწორედ სარეგისტრაციო ჩანაწერის ბათილად ცნობა წარმოადგენს, რომლითაც თ. ბ-ის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე – ქ. რუსთავი, ... ქუჩა №22-ში, უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების დაზუსტება განხორციელდა. სასამართლომ გასაჩივრებული რეგისტრაციის კანონიერება მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით დაასაბუთა, რომ სარეგისტრაციო სამსახურს აქვს ცდომილების უფლება და არ იმსჯელა იმ უმნიშვნელოვანეს გარემოებაზე, ჰქონდა თუ არა ადმინისტრაციულ ორგანოს ისეთი ცდომილების დაშვების უფლება, რომელიც ლახავს სხვის საკუთრების უფლებას და სასამართლოს შეფასება არ მიუცია იმ გარემოებისთვის, შეიძლება თუ არა ცდომილებაში უძრავი ნივთი მოექცეს. აქვე საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებით დადგენილ იმ უდავო ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ სადაც ქცეული თ. ბ-ის სახელზე 2011 წლის 23 ივნისს განხორციელებული რეგისტრაციით მესამე პირის თ. ბ-ის საკუთრებაში საერთო სარგებლობის დამხმარე ნაგებობა მოექცა, რომელსაც მოსარჩელის მტკიცებით იგი წლების განმავლობაში როგორც საკუთარს ისე ფლობდა.

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს აპელირებას „საჯარო რეგისტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტზე, ვინაიდან, აღნიშნული წორმა, შინაარსობრივი განმატრებიდან გამომდინარე, მიზნად არ ისახავს კონკრეტული სამართალურთიერთობის მოწესრიგებას სხვათა უფლებების შეზღუდვის საფუძველზე. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მართალია „საჯარო რეგისტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს რეგისტრაციის წარმოებას ბოლო საკადასტრო აღ-

წერის შედეგად დადგენილი ფართობის შესაბამისად, თუ საკა-დასტრო აღწერის შედეგებით მიწის ნაკვეთის ფართობი, კონ-ფიგურაციის მიუხედავად, სარეგისტრაციო დოკუმენტში მითი-თებულ ფართობზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რე-გისტრირებულ ან ტექნიკური აღრიცხვის არქივის სააღრიცხვო ბარათში დაფიქსირებულ დაზუსტებებულ ფართობზე მეტია (5 ჰა-მდე ან 50 000 კვ.მ-მდე არა უმეტეს 1 პროცენტისა, ხოლო 5 ჰა-ზე ან 50 000 კვ.მ-ზე ზევით – არა უმეტეს 0.5 პროცენტისა) ან ნაკლებია, მაგრამ არა სხვისი საკუთრების უფლების შეზ-ღუდვის ხარჯზე. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლება, ერთის მხრივ, არის სა-კუთრების როგორც ინსტიტუტის, ასევე საკუთრების, როგორც პიროვნების უფლების გარანტი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2011 წლის 23 ივნისს განხორციელებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების დაზუსტებამ (რომლის საფუძველ-ზეც თ. ბ-ის სახელზე დაზუსტებული მონაცემებით საკუთრე-ბის უფლებით 264 კვ.მ. მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა) უდა-ვოდ გავლენა იქონია ვ. მ-ის საკუთრების კონსტიტუციურ უფ-ლებაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კანონი ნებისმიერ შემთხვევაში იცავს მე-საკუთრეს, ახალი ნესით აქვს მას ქონება დარეგისტრირებული თუ ძველი წესით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მიწა სა-კუთრებაში შეიძლება არსებობდეს, როგორც დაზუსტებული, ასევე დაუზუსტებელი მონაცემებით; მიწის ნაკვეთზე არსებუ-ლი დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრაციას არ აქვს მხო-ლოდ საცნობარო მნიშვნელობა. სააღრიცხვო მონაცემებს კი, იქნება ეს დაზუსტებული თუ დაუზუსტებელი მონაცემების სა-ხით, იურიდიული მნიშვნელობა გააჩინია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემ-თხევები რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების დაზუსტება განხორციელ-და ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილ და დაცულ ინფორ-მაციათა სათანადო შეფასების გარეშე. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სარეგისტრაციო სამსახურს უძრავ ნივთზე სა-კადასტრო მონაცემების დაზუსტებამდე უნდა გამოეკვლია ნაკვეთის სხვა პირის სახელზე რეგისტრირდის არსებობა-არა-სებობის ფაქტი, შეეძარებინა სარეგისტრაციოდ წარდგენილი

დოკუმენტაცია მასთან დაცულ მონაცემებთან, დაედგინა მინის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე მინის ნაკვეთის კოდები, მესაკუთრეები, გეოგრაფიული მდებარეობა, რათა არ დაეწვა ერთი ნაკვეთის მიმართ ურთიერთსანინააღმდეგო ჩანაწერების არსებობა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მართალია „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებს ნარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, მაგრამ ამავე ნორმის მიხედვით მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხისმგებელნი არიან რეგისტრირებული მონაცემების და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებას რეგისტრირებულ მონაცემებთან ზედდების არსებობის მოტივით სარეგისტრაციო ნარმობების შეჩერების შესახებ. უფრო მეტიც, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეიზღუდა კასატორის საკუთრების უფლება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებისას არც ადმინისტრაციულ ორგანოებს და არც ქვედა ინსტანციის სასამართლებს არ გაუმახვილებიათ ყურადღება მხარეთა შორის გაფორმებულ შეთანხმებაზე და შეფასების საგნად არ ქცეულა მოცემულ შემთხვევაში სადაცვოდ ქცეული რეგისტრაციით დარღვეულია თუ არა მხარეთა შორის არსებული შეთანხმების პირობები. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ 2000 წლის 10 ოქტომბერს მოსარჩელე – ვ. მ-ემ და მესამე პირმა – თ. ბ-მა შეადგინეს შეთანხმება საერთო სარგებლობის მინის ნაკვეთის გამიჯვნის შესახებ. აღნიშნული შეთანხმება და საკადასტრო აზომვითი ნახაზი ნარდგენილ იქნა საჯარო რეესტრში. შეთანხმების შესაბამისად ვ. მ-ის სახელზე დარეგისტრირდა 265.5 კვ.მ. მინის ნაკვეთი (დანიშნულება – არასასოფლო-სამეურნეო), ხოლო თ. ბ-ის სახელზე – დაუზუსტებელი ფართობით 262 კვ.მ. მინის ნაკვეთი.

ამასთან, საკასაციონ სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, როგორც ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს გასაჩივრებული აქტის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების ვალდებულება წარმოეშვება მაღალი ხარისხით, იმის გათვალისწინებით, რომ თავად მარეგისტრირებელი ორგანოსთვის არის ცნობილი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ყველა მინის ნაკვეთის ელექტრონული სისტემით აღურიცხაობის შესახებ. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ კი, ისე უთხრა უარი განმცხადებელს საჩივრის დაკავყოფილებაზე, რომ ფაქტობრივად არც გამოუკვლევია საქმეში არსებული მტკიცებულებები, დამატებით არ შეუფასებია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, არ უმსჯელია ვ. მ-ის არგუმენტებზე და არ გაუკეთებია დასაბუთებული სამართლებრივი შეფასება რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებასთან დაკავშირებით. ამასთან, საკასაციონ სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ წარმოების ფარგლებში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ახორციელებს შიდა კონტროლს და სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებაში უზუსტონის შემთხვევაში მას უფლება აქვს თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების არაჯეროვანი განხორციელება და დაწვებული ხარვეზების გამოუსწორებლობა კი ახდენს სამართლებრივი დავების პროცესირებას, რაც პირდაპირ ენინააღმდეგება როგორც ადმინისტრაციული ორგანოს ძირითად დანიშნულებას, ასევე სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის.

საკასაციონ სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ენინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვები. აღნიშნულ მუხლში მოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სავალდებულო წინაპირობები, რომლებიც მათი რეალიზების თვალსაზრისით, ამ მუხლში არა კუმულაციური, არამედ, ალტერნატიული სახით არის წარმოდგენილი. არსებით დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ამასთან, საქართველოს ადმინის-

ტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ენინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩევის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდვას მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

ამდენად, საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ განსახილველ შემთხვევაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 23 ივნისის სარეგისტრაციო ჩანაწერი, რომლითაც თ. ბ-ის სახელზე განხორციელდა საკადასტრო მონაცემების დაზუსტება უძრავ ქონებაზე მდებარე ქ. რუსთავი, ... ქუჩა №22-ში; ასევე, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკავშირებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება და სარეგისტრაციო ნარმოების შეჩერების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 4 ივლისის №... გადაწყვეტილება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურს უნდა დაევალოს საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით, რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ვ. მისა და თ. ბ-ის განცხადებებთან დაკავშირებით სადავო ფართზე განახორციელოს რეგისტრაცია. მას შემდეგ, რაც სადავოდ ქცეული აქტების გაუქმების პირობებში აღდგება პირვანდელი მდგომარეობა (რაც დავას არ იწვევდა და არსებობდა მხარეთა შეთანხების საფუძველზე), სარეგისტრაციო სამსახურს ეძღვა შესაძლებლობა იმსჯელოს მხარეთა მიერ ნარდგენილ განცხადებებზე და მხოლოდ საქმის გარემოებათა არსებითად გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიიღოს კონკრეტული შემთხვევისათვის სათანადო გადაზყვეტილება. ამასთან, განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაითვალისწინოს ფაქტობრივი მდგომარეობა, მხედველობაში უნდა მიიღოს მხა-

რეთა შორის არსებული შეთანხმება და მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით მიიღოს გადაწყვეტილება.

სადავო საკითხის ხელახალი განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სრულფასოვნად გამოიყენოს მისთვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მიწიჭებული უფლება-მოსილება და გადაწყვეტილება მიიღოს დაინტერესებულ მხარეთა მოსმენისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის ჩა-ტარების მეშვეობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გა-საჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ვ. მ-ის საკასაციო სა-ჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქარ-თველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხ-ლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ვ. მ-ის მიერ სახელმწიფო პა-ჟის სახით გადახდილი თანხა (პირველი ინსტანციის სასამარ-თლოში – 100 ლარის ოდენობით; სააპელაციო სასამართლოში – 150 ლარის ოდენობით; საკასაციო სასამართლოში – 300 ლარის ოდენობით; სულ – 550 ლარი) სოლიდარულად უნდა დაეკისროთ მიპასუხებს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და სა-ჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრა-ციონ სამსახურს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ უ ვ ი ტ ა:**

1. ვ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობ-რივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-ტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 29 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 23 ივნისის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სარეგის-

ტრაციო ჩანაწერი, რომლითაც თ. ბ-ის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე – ქ. რუსთავი, ... ქუჩა №22-ში, განხორციელდა უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების დაზუსტება;

5. ბათილად იქნეს ცნობილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკავშირების უზრის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 22 ივლისის №... გადაწყვეტილება;

6. ბათილად იქნეს ცნობილი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 4 ივლისის №... გადაწყვეტილება;

7. რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალოს საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ სადავო ფართზე განახორციელოს რეგისტრაცია;

8. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურს ვ. მ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 550 ლარის (100+150+300) ანაზღაურება.

9. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საკუთრების უფლებით მიწის რეგისტრაციის საფუძვლი

### გადაცევაფილება საქართველოს სახელით

№ბს-439-434(კ-12)

6 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სინოტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების  
ბათილად ცნობა

#### აღნერილობითი ნაწილი:

2011 წლის 9 ნოემბერს პ. თ-ამ სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა ზუგდიდის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე – სისი  
საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოს ზუგდიდის სარეგის-  
ტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2011 წლის 16 სექტემბერს მან  
განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-  
ტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურს ქ. ზუგდიდში, ... ქუ-  
ჩა №39-ში მდებარე, მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებ-  
ლობაში) არსებულ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რე-  
გისტრაციის მოთხოვნით. განცხადებასთან ერთად მიწის ნაკ-  
ვეთის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დასადას-  
ტურებლად განცხადებელმა ნარადგინა ზუგდიდის მერის 1996  
წლის 16 თებერვლის №51 განკარგულება, რომლითაც მოსარ-  
ჩელეს პურის საცხობის მშენებლობისათვის გამოეყო დანგრე-  
ული შენობა, ასევე წარდგენილ იქნა ზუგდიდის რაიონის მთა-  
ვარ არქიტექტორთან შეთანხმებული მშენებლობის პროექტი.

ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 22 სექ-  
ტემბრის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შე-  
ჩერდა უძრავ ნივთზე მართლზომიერი მფლობელობის ან სა-  
კუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგე-  
ნის მოთხოვნით.

მოსარჩელის მითითებით, აღნიშნული გადაწყვეტილების მი-  
ღების შემდეგ, სარეგისტრაციო სამსახურში მან ნარადგინა სა-  
კუთრების უფლების აღიარების კომისიის წერილი, რომლის თა-

ნახმად, მოსარჩელის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვე-  
თი არ განეკუთვნებოდა თვითნებურად დაკავებული მიწების  
კატეგორიას. მიუხედავად ამისა, სარეგისტრაციო სამსახურმა  
დადგენილ ვადაში არ მოახდინა საკუთრების უფლების რეგის-  
ტრაცია.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სარეგისტრაციო წარმოების შე-  
ჩერების შესახებ გადაწყვეტილებაზე ადმინისტრაციული სა-  
ჩივარი შეიტანა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მაგ-  
რამ ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ამდენად, მოსარჩელემ მოითხოვა სარეგისტრაციო წარმოე-  
ბის შეჩერების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-  
ტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 22 ოქ-  
ტომბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და პ. თ-ასათ-  
ვის მის მფლობელობაში არსებულ 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მარ-  
თლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) უფლების აღიარე-  
ბა.

მოსარჩელემ დააზუსტა სასაარჩელო მოთხოვნა და თავდა-  
პირველ მოთხოვნებთან ერთად ასევე მოითხოვა ადმინისტრა-  
ციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სისპ  
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 18 ოქტომ-  
ბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 ნოემბრის  
საოქმო განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეში თანამოპასუხედ  
ჩაება სისპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 2011 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით პ.  
თ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1996  
წლის 16 თებერვალს პ. თ-ას ზუგდიდის მერის №51 განკარგუ-  
ლებით ნება დაერთო ქ. ზუგდიდში, ... ქუჩაზე მდებარე, ქალა-  
ქის ყოფილი ... ნახევრად დანგრეული შენობის ნანილში პურის  
საცხობის მოწყობაზე. ზუგდიდის მერის №51 განკარგულების  
საფუძველზე მომზადდა პურსაცხობი საამქროს სიტუაციური  
გეგმა, სარეკონსტრუქციო შენობის აზომვითი ნახაზი, რომე-  
ლიც შეთანხმდა ზუგდიდის მთავარ არქიტექტორთან. 2011  
წლის 14 ოქტომბერს შედგა ქ. ზუგდიდში, ... ქ. №39-ში არსებუ-  
ლი 500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის საკადას-  
ტრო აზომვითი ნახაზი.

რაიონული სასამართლოს მითითებით, „საჯარო რეესტრის  
შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის თანახმად, სარეგისტრაციო წარ-  
მოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი

ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციი დოკუმენტაცია და ინფორმაცია.

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანს წარმოადგენს მართლზომიერ მფლობელობაში (სარგელობაში) არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფო საკუთრების მიწაზე ფიზიკური, კერძო სამართლის იურიდიული პირების ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნების საკუთრების უფლების აღიარებით (შემდგომში – საკუთრების უფლების აღიარება) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფონდის ათვისება და მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა. ამავე კანონის მიხედვით, მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწა არის სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიზანს ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დაგრეული) ან მის გარეშე, რომელზედაც ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს ან კანონით გათვალისწინებულ სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნებაში მართლზომიერი მფლობელობის უფლება წარმოეშვა ამ კანონის ამოქმედებამდე, ასევე ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხული, 1994 წლამდე თვითნებურად დაკავებული მიწა.

რაიონული სასამართლოს განმატებით, კანონის ეს რეგულაცია შეეხება სამი სახის ურთიერთობას, კერძოდ, ურთიერთობას, რომელიც გამომდინარებას მიწის მართლზომიერი მფლობელობიდან, მიწათსარგებლობიდან და მიწის თვითნებურად დაკავებიდან. განსახილველ შემთხვევაში, მოთხოვნა უკავშირდებიდა მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) ფაქტს, კერძოდ მოსარჩელე პ. თ-ამ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურს მიმართა მიწის ნაკვეთის მის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის მოთხოვნით.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ყველა ზემოაღნიშნული ტერმინის საერთო მახასიათებელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს ფლობის ფაქტი, იმ განსხვავებით, რომ ერთ შემთხვევაში საუბარია მართლზომიერ მფლობელობაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში არამართლზომიერ მფლობელობაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მფლობელობა არის ფაქტი და იმის მიხედვით, თუ რა სამართლებრივ საფუძველს ემყარება

იგი, ერთმანეთისაგან გამიჯნავენ არამართლზომიერ და მართლზომიერ მფლობელობას. მართლზომიერ მფლობელობად ითვლება ყველა პირი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე ახორციელებს ნივთის მიმართ ფაქტობრივ ბატონობას. არამართლზომიერი მფლობელობის დროს ნივთზე ბატონობა ხორციელდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. ორივე შემთხვევაში საგადაფლებულოა, რომ პირი დაუფლებული იყო ნივთს და ახორციელებდეს მასზე ფაქტობრივ ბატონობას.

რაიონულმა სასამართლოს მითითებით, იმისთვის, რომ პირმა დაამტკიცოს მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) ფაქტი, ვალდებულია დაადასტუროს, რომ სამართლებრივი საფუძვლით ის ფლობს და სარგებლობს ამ მიწის ნაკვეთით, ანუ კანონიერად დაუფლებულია მიწას და ახორციელებს მასზე ფაქტობრივ ბატონობას. სასამართლოს მოსაზრებით, სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა ის, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტმა მიწის მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტში მოიაზრა – ცნობა-დახასიათება თანდართული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საკომლო წიგნიდან ამონანერი, მებალის წიგნაკი, „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგინდების შესაბამისად სოფლის (დაბის) ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით შექმნილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი და სოფლის (დაბის) ყრილობაზე (საერთო კრებაზე) დამტკიცებული მიწების განაწილების სია თანდართული მიწის გამოყოფის გეგმით ან მის გარეშე, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობისათვის სარეგისტრაციო პერიოდში მოქმედი საგადასახადო სია, „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმდებამდე, ხოლო სახელმწიფოს მიერ დაფუძვნებული კერძოს სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში ასე-

ვე აღნიშნული კანონის ამოქმედების შემდეგ, დადგენილი წე-სით, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ გაცემული მიწის ნაკვეთის მიმაგრების აქტი ან მიწის ნაკვეთის გეგმა, სასამართლოს აქტი ან/და სხვა დოკუმენტი, აგრეთვე „ფიზიკური და კერძო სამარ-თლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგბლობაში)“ არ-სებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შე-სახებ“ საქართველოს კანონის 73-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გან-საზღვრული პირების მიმართ ამავე პუნქტით განსაზღვრული ვადის დადგომამდე – პრივატიზაციის გეგმა, 1999 წლამდე შედ-გენილი დროებით სარგებლობის დამადასტურებელი მოქმედი დოკუმენტი, 1999 წლამდე მიწის ნაკვეთის ან/და მასზე გან-თავსებული შენობა-ნაგებობის ბალანსზე ყოფნის დამადასტუ-რებელი დოკუმენტი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით არ არის გაუქმებული, ტექნიკური ინვენტარიზაციის არ-ქივში აღრიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი, მიწის ნაკ-ვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის პროექტი.

რაიონულმა სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ პ. თ-ამ მარეგისტრირებელ ორგანოს ვერ წარუდგინა ქალაქ ზუგდიდში, ... ქ. №39-ში არსებულ 500 კვ.მ. არასასოფლო-სამე-ურნეო მიწის ნაკვეთზე მართლზომიერი მფლობელობის დამა-დასტურებელი დოკუმენტი. სასამართლოს შეფასებით, საქმის მასალებში არ არის დაცული დოკუმენტი, რომელიც დაადას-ტურებდა მოსარჩელის უფლების არსებობას მითითებულ მი-ნის ნაკვეთზე.

რაიონულმა სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩე-ლის პოზიცია იმის თაობაზე, რომ სარჩელზე თანდართული დო-კუმენტები განხილულ უნდა იქნეს სწორედ იმ „სხვა დოკუმენ-ტებად“, რაც მითითებულია საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ პ. თ-ს მიერ წარდგენილი დოკუ-მენტები არ იძლეოდა იმის ვარაუდის საკმარის საფუძველს, რომ იგი მართლზომიერად ფლობდა მიწის ნაკვეთს და იყენებდა მას როგორც საქუთარს, რაც სასამართლოს მოსაზრებით, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევდა საკმარის საფუძველს უა-რი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლით განსაზღვრულია სარეგისტრა-ციონ წარმოების შეჩერების საფუძველი, რომლის თანახმად წარ-მოების შეჩერების საფუძველს წარმოადგენს გარემოება, რო-

დესაც განცხადებას არ ერთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად, ან/და არ არის გადახდილი სააგენტოს მიერ განცხადების საფასური.

რაომ ნულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სადაცო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სწორად მიიღო გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, უძრავ ნივთზე მართლზომიერი მფლობელობის ან საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის მოთხოვნით.

რაომ ნულმა სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამებოდა მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძველს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან. სადაცო გადაწყვეტილება მიღებული იყო საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე, აგრეთვე დაცული იყო ადმინისტრაციული აქტის მომზადებისა და გამოცემისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესი.

რაომ ნულმა სასამართლომ, ასევე, უსაფუძვლოდ მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების შესახებ.

სასამართლომ განმარტა, რომ ამ სახის სარჩელი წარმოადგენდა მავალდებულებელი სარჩელის ერთ-ერთ სახეს და სამართლებრივად რეგულირდებოდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ენინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალოდ, ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო, ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით, გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმი-

ნისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა სადავო ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები, შესაბამისად, სასამართლო ვერ დააკმაყოფილებდა მოთხოვნას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა პ. თ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მარტის განჩინებით პ. თ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან მიმართებით და დამატებით განმარტა, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ცალსახად ითხოვდა მითითებული ნორმის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტის წარდგენას, რომელიც იქნება უდავო დასტური იმისა, რომ პირი წამდვილად მართლზომიერად ფლობდა (სარგებლობს) მინის ნაკვეთს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა პ. თ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შოითხოვა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ მიიღო უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება. კერძოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით (საქმე №ბს-859-853(კ-12)) უფლების დამდგენ დოკუმენტად მიჩნეულ იქნა დოკუმენტი (ნასყიდობის ხელშეკრულება), რომელიც მინის ნაკვეთზე უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად კანონმდებლობაში სახელდებით არ არის მითითებული. ასევე, საქართველოს უზენა-

ესი სასამართლოს განჩინებით (საქმე №ბს-1524-1485(კ-10)) მიწის ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტად მიჩნეულია საიჯარო ხელშეკრულება.

კასატორის მითითებით, მოცემული პრაქტიკიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს უნდა მიეჩნია, რომ პურის საცხობის მოწყობისა და სათანადო მშენებლობის განხორციელების ნებართვა და მშენებლობის შეთანხმებული პროექტი ერთობლიობაში წარმოადგენდა იმ სხვა დოკუმენტს, რომელიც მიწის ნაკვეთის მართლზომიერ მფლობელობას ადგენდა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს შემაჯამებელი დასკვნა დაუსაბუთებელია, ვინაიდან სასამართლოს იურიდიულად არ დაუსაბუთებია, ნახევრად დანგრეულ შენობაში პურის საცხობის მოწყობის ნებართვის არსებობის პირობებში, რატომ ჩაითვლებოდა ამ პურის საცხობის ქვეშ არსებული მიწის ნაკვეთის მფლობელობა არამართლზომიერად. ადგილობრივი თვითმმართველობის განკარგულების საფუძველზე არქიტექტორთან შეთანხმებული პროექტის შესაბამისად ამენებული შენობის პირობებში, რატომ ჩაითვლებოდა ამ შენობის ქვეშ არსებული მიწის ნაკვეთის მფლობელობა არამართლზომიერად; ადგილობრივი თვითმმართველობის კომისიის მიერ მიწის ნაკვეთის არათვითნებურად დაკავებულად მიჩნევის პირობებში, რატომ ჩაითვლებოდა, რომ მიწის ნაკვეთის მფლობელობა (სარგებლობა) არამართლზომიერია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასამვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული პ. თ-ას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 19 სექტემბრის განჩინებით პ. თ-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივარის საფუძვლიანობის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ პ. თ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2011 წლის 16 სექტემ-

ბერს პ. თ-ამ განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა ქ. ზუგდიდში, ... ქ. №39-ში მდებარე, მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია. განმცხადებლის მიერ სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა შემდეგი დოკუმენტაცია: ქ. ზუგდიდის მერის 1996 წლის 16 თებერვლის №51 განკარგულება, რომლის თანახმად, პ. თ-ას ნება დაერთო ქ. ზუგდიდში, ... ქუჩაზე მდებარე, ქალაქის ყოფილი ... ნახევრად დანგრეული შენობის ნანილში მოეწყო პურის საცხობი. სარეგისტრაციო სამსახურს, ასევე, წარედგინა ზუგდიდის რაიონის მთავარ არქიტექტორთან შეთანხმებული მშენებლობის პროექტი, რომლის მიხედვით, ასაშენებელი შენობის ფართი შეადგენდა 200 კვ.მ-ს.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 22 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პ. თ-ას განცხადებასთან დაკავშირებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა და განმცხადებელს დაევალა წარედგინა უძრავ ნივთზე მართლზომიერი მფლობელობის ან საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

აღნიშნულის შესაბამისად, პ. თ-ამ სარეგისტრაციო სამსახურს წარუდგინა დამატებითი დოკუმენტაცია, კერძოდ, საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართვა, რომლის თანახმად, პ. თ-ას ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი არ განეკუთვნებოდა თვითონებურად დაკავებული მიწების კატეგორიას, რის გამოც მისი დაკანონება არ განეკუთვნებოდა კომისიის უფლებამოსილებას. სარეგისტრაციო სამსახურს ასევე წარედგინა სსიპ შემოსახვების სამსახურის 2011 წლის 1 ნოემბრის №21-11/42563 მიმართვა, რომლის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს ელექტრონულ ბაზაში არსებული ინფორმაციის შესაბამისად, პ. თ-ას პირადი აღრიცხვის ბარათზე ერიცხებოდა ქ. ზუგდიდში, ...ა და ახალგაზრდობის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე, პურის საცხობად გამოყენებულ შენობაზე დამაგრებული 500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის გადასახადი, რომლის დარიცხვა ხორციელდებოდა შესაბამისი რაიონის მინის მართვის სამმართველოს მიერ წარდგენილი საგადასახადო სიების საფუძველზე. ასევე, ფოთის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 26 თებერვლის მიმართვის თანახმად, საგადასახადო კოდექსის 274-ე მუხლის მე-11 ნაწილის შესაბა-

მისად, ქონების გადასახადით დასაბეგრი მიწის ფართობი მოცავდა შენობა-ნაგებობით დაკავებულ, ასევე მათი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ მიწის ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობის სანიტარულ-ტექნიკურ ზონას. შესაბამისად, პ. თ-ა მიწის გადასახადით იბეგრებოდა არა მარტო უშუალოდ მისი შენობის ქვეშ არსებული 200 კვ.მ. მიწაზე, არამედ პურის საცხობის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი (მისასვლელი გზები, სანიტარულ-ტექნიკური ზონა) ფართობით. ამავე მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ პ. თ-ას მიწის გადასახადი ერიცხებოდა 1998 წლიდან და გადასახადის დარიცხვის საფუძველს წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ წარდგენილი მონაცემები.

საქმის მასალებით ასევე დასტურდება და მხარეები სადაც ვოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ სარეგისტრაციო სამსახურისათვის მითითებული დოკუმენტების წარდგენის მიუხედავად, მარეგისტრირებელ ორგანოს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 22-ე მუხლის შესაბამისად, რამე აქტი - წარმოების განახლების, ან შეწყვეტის შესახებ არ გამოუცია.

პ. თ-ამ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, მაგრამ 2011 წლის 18 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაცმაყოფილდა. უარის თქმის საფუძვლად მიეთითა იმ გარემოებაზე, რომ პ. თ-ას მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტად.

სასამართლოებმა მოცემული საქმის განხილვისას ფაქტორივად გაიზიარეს ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია და მიზნიეს, რომ პ. თ-ამ მარეგისტრირებელ ორგანოს ვერ წარუდგინა ქ. ზუგდიდში, ... ქ. №39-ში არსებულ 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მართლზომიერი მფლობელობის ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი და მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არ ქმნიდა საკმარის საფუძველს ვარაუდისათვის, რომ იგი მართლზომიერად ფლობდა (სარგებლობდა) სადაც მიწის ნაკვეთით და იყენებდა მას, როგორც საკუთარს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ როგორც ადმინისტრაციული ორგანოს, ასევე სასამართლოთა პოზიცია ემყარება ნორმის არასწორ განმარტებას, ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის განხილვისას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, სრულყოფილად არ გამო-

უკვლევია საქმის გარემოებები და განცხადებლის მიერ წარ-  
დგენილი მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ფიზიკური და კერ-  
ძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებ-  
ლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების  
აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“  
პუნქტის შესაბამისად, მართლზომიერ მფლობელობაში არსე-  
ბული მინა განიმარტება, როგორც სახელმწიფო საკუთრების სა-  
სოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკ-  
ვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული,  
მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე, რომელზედაც (მინის  
ნაკვეთზე ან შენობა-ნაგებობაზე) ფიზიკურ ან კერძო სამარ-  
თლის იურიდიულ პირს ან კანონით გათვალისწინებულ სხვა ორ-  
განიზაციულ წარმონაქმნების მართლზომიერი მფლობელობის უფ-  
ლება წარმოეშვა ამ კანონის ამოქმედებამდე, ასევე ტექნიკუ-  
რი ინვენტარიზაციის არქიტექტონიკული, 1994 წლამდე თვით-  
ნებურად დაკავებული მინა. ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-2  
ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მართლზომიერ მფლო-  
ბელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფ-  
ლების აღიარების შესახებ მოთხოვნის დასადასტურებლად და-  
ინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს მინის მართლზომიე-  
რი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუ-  
მენტი.

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო  
სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლო-  
ბაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღია-  
რების წესის“ მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში მითი-  
თებულია იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებითაც უნ-  
და იქნეს დადასტურებული მართლზომიერი მფლობელობის  
ფაქტი, თუმცა კანონმდებელი არ იძლევა ამ დოკუმენტების  
ამომწურავ ჩამონათვალს და სარეგისტრაციო სამსახურს ანი-  
ჭებს უფლებამოსილებას დაეყრდნოს მართლზომიერი მფლო-  
ბელობის ფაქტის დამადასტურებელ სხვა დოკუმენტაციისაც.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ვერ გაი-  
ზიარებს ადმინისტრაციული ორგანოს მითითებას, რომ პ. თ-ას  
მიერ წარდგენილი დოკუმენტები არ ქმნიდა საკმარის საფუძ-  
ველს მისი სადაცო მინის მართლზომიერ მფლობელად მიჩნევი-  
სათვის.

სადაცო არ არის ის გარემოება, რომ ქ. ქუთაისის მერის 1996  
წლის 16 თებერვლის №51 განკარგულებით პ. თ-ას გადაეცა სა-

დაცო მიწის ნაკვეთზე განთავსებული, ნახევრად დანგრეული შენობა პურის საცხობის მოსაწყობად. მთავარი არქიტექტორის მიერ შეთანხმდა მშენებლობის პროექტი. მხარეები სადაცოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ პ. თ-ა დღემდე სარგებლობს სა-დაცო მიწის ნაკვეთით, რომელზეც მის მიერ მოწყობილია პუ-რის საცხობი. მითითებული აქტები დღისათვის ძალაშია და ად-გილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სადაცოდ არ გა-უხდიათ პ. თ-ას მიერ აღნიშნული უძრავი ქონების ფლობის ფაქ-ტი. ამასთან, საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ, რომლის კომპეტენციაშიც შედის თვითნებურად და კავებულ მი-წის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, დადასტურდა, რომ პ. თ-ას სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება არ განე-კუთვნება თვითნებურად დაკავებულ კატეგორიას და მისი და-კანონება კომისიის უფლებამოსილებას სცილდება. ასევე და-დასტურებულია, რომ პ. თ-ა სწორედ მის მიერ დაკავებულ 500 კვ.მ. მიწაზე იხდის გადასახადს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციუ-ლი ორგანოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მითითებული დო-კუმენტაცია ადასტურებდა არა მიწის, არამედ შენობის მარ-თლზომიერი ფლობის ფაქტს. აღნიშნულთან დაკავშირებით სა-კასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფ-ლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედე-ბამდე მოქმედი „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იუ-რიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სა-მეურნეო დანიშნულები მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადე-ბის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 28 ოქტომბრის კანონის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ამ კანონის ამოქმე-დების შემდეგ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის განკარგვა ხდება იმ მიწის ნაკვეთთან ერთად, რო-მელზედაც ის არსებული წესით არის დამაგრებული საქართვე-ლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადაცო მიწის ნაკ-ვეთზე არსებულ შენობაზე უფლების მოპოვებით, უფლება ვრცელდება მასზე დამაგრებულ მიწის ნაკვეთზეც, რომლის არ-სებით შემადგენელ ნაწილსაც ნარმოადგენს იგი და უსაფუძ-ვლო მითითება, რომ შენობის მართლზომიერი მფლობელობის მიუხედავად, სადაცო შენობაზე დამაგრებული მიწის ფლობის მართლზომიერება მიწაზე სათანადო დოკუმენტაციის არსებო-ბის გარეშე.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული წარმოებისას სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის მასალები, სათანადოდ არ შეაფას მხარის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, უფრო მეტიც, ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხერის მიზნით განცხადებლის მიერ დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის მიუხედავად, სათანადო რეაგირება არ მოუხდენია და არ გამოუცია შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ პ. თ-ას საჩივრის განხილვისას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა საჩივრის ავტორს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტად. ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება არ შეიცავს დასაბუთებას რატომ არ დასტურდებოდა პ. თ-ას მიერ წარდგენილი დოკუმენტებით მინის მართლზომიერად ფლობის ფაქტი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომელიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. აღნიშნულ მუხლში მოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სავალდებულო წინაპირობები, რომელიც მათი რეალიზების თვალსაზრისით, ამ მუხლში არა კუმულაციური, არამედ, ალტერნატიული სახით არის წარმოდგენილი. ამასთან, არსებით დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საჩივრი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული

უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელებას ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს აქვს ორი ძირითადი ფუნქცია: 1. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც უფლების დაცვის საშუალება; 2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თვითკონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც უფლების დაცვის საშუალება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს გააჩნია უპირატესობა, კერძოდ, ადმინისტრაციულ საჩივარზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოწმდება გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა და კანონიერება, მაშინ როდესაც სასამართლო იფარგლება აქტის მხოლოდ კანონიერების შემოწმებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალების სრული მასშტაბით გამოყენებას, მხარისთვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებას, რომელიც თავის თავში მოიცავს აქტის, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კანონიერების გადამოწმებას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, როგორც საჩივრის განმხილველ ორგანოს, გასაჩივრებული აქტების კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების ვალდებულება წარმოეშვება მაღალი ხარისხით. აღნიშნული კი გულისხმობს იმას, რომ საჯარო რეესტრის მიერ გამოკვლეული უნდა ყოფილიყო საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და აღნიშნულის საფუძველზე მიღებული უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილების ან საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები. კერძოდ, იმ პირო-

ბებში, როდესაც განცხადებლის მიერ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ აქტის გამოცემის შემდეგ წარდგენილი იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, რაზეც ადმინისტრაციულ ორგანოს რეაგირება არ მოუხდენია და არ შეუფასებია ისინი, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, ისე უთხრა უარი განმცხადებელს საჩივრის დაქმაყოფილებაზე, რომ ფაქტობრივად არც გამოუკვლევია საქმეში არსებული მტკიცებულებები, დამატებით არ შეუფასებია საქმის ფაქტობრივი გარემოებები. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც კანონი საჯარო რეესტრს აძლევს სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შესაძლებლობას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 18 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მატერიალურ-საპროცესო სამართლებრივი საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, იმისათვის, რომ შესრულდეს კანონის მოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს კანონშესაბამისი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მნიშვნელოვანი და სავალდებული წინაპირობაა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გაანალიზება, შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება ამ გარემოებათა შეფასების შედეგად, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ადმინისტრაციული ორგანოს დაუსაბუთებელი დასკვნის გაკეთება.

საკასაციო სასამართლო მიუთიერებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გადაწყვიტოს სადავო საკითხი, ვინაიდან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული უძრავი ნივთის საკუთრებად რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს მარეგისტრირებელი ორგანოს უფლებამოსილებას, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს ფაქტობრივად ადმინისტრაციული წარმოება არ ჩაუტარებია, მან მხოლოდ მართლზომიერი ფლობის ფაქტის დამადასტურებელი დამატებითი დოკუმენტების წარდგენა დაავალა განცხადდებელს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს ი ს :**

1. პ. თ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. პ. თ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 18 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება პ. თ-ას ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
5. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 22 სექტემბრის №... ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ და ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა რეგისტრაციის თაობაზე;

6. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურს პ. თ-ას სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ პ. თ-ას სახელით პა. თ-ას მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 550 ლარის (100-150-300) გადახდა;

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩიტოდება.

## მინის ნაკვეთის საკუთრების უფლებით რეგისტრაცია

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-434-429(კ-12)

20 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ქმედების განხორციელების დავალება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 3 მაისს ე. ხ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მესტიის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მას დაპა მესტიაში გააჩნია მინის ნაკვეთი, რომელზეც საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში 2009 წლის 4 ნოემბერს აქვს დარეგისტრირებული. აღნიშნული მინის ნაკვეთი წლების განმავლობაში მისი ოჯახის მართლზომიერ მფლობელობაშია.

მოსარჩელემ მინის ნაკვეთის ელექტრონული ვერსიით დარეგისტრირების მიზნით განცხადებით მიმართა მესტიის სარეგისტრაციო სამსახურს, სადაც ნარადგინა საკადასტრო აზომვითი ნახაზი შესრულებული სახელმწიფო გეოდეზიურ კოორ-

დინატთა სისტემაში, კერძოდ, WGS 84 კოორდინატთა სისტემაში, UTM პროექციაში და SHP ფორმატის ფაილის სახით. თავდაპირველად სარეგისტრაციო სამსახურმა განცხადების მიღებაზე ზეპირი ფორმით უარი განაცხადა, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, მოსარჩევე მესტიის სარეგისტრაციო სამსახურს განცხადება 2011 წლის 8 თებერვალს წარუდგინა. მოსარჩევის მითითებით, განცხადების მიღების ბარათში არ იყო აღნიშნული მის მიერ მიტანილი დოკუმენტების სრული ჩამონათვალი, კერძოდ, საკადასტრო აზომვითი ნახაზი და SHP ფორმატის ფაილი. სარეგისტრაციო სამსახურის თანამშრომლის სიტყვიერი განმარტებით, აღნიშნული საბუთები კომპიუტერში იყო ჩატვირთული და განცხადების მიღების ბარათში მათი ჩატვირთვა არ იყო აუცილებელი.

2011 წლი 14 თებერვალს მოსარჩევე მ სარეგისტრაციო სამსახურიდან მიიღო გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, სადაც აღნიშნული იყო, რომ მან სარეგისტრაციო სამსახურში არ წარადგინა საკადასტრო აზომვითი ნახაზი და SHP ფორმატის ფაილი. სარეგისტრაციო სამსახურში აღნიშნული საკითხის გარკვევისას აღმოჩნდა, რომ მითითებული დოკუმენტები ჩატვირთული იყო კომპიუტერში, თუმცა, ამის მიუხედავად, სარეგისტრაციო სამსახურში ვერ ახსნეს სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების მიზეზი.

მოსარჩევე მ სარეგისტრაციო სამსახურს ხელმეორედ წარუდგინა მოთხოვნილი დოკუმენტები, რის შემდეგაც, მესტიის სარეგისტრაციო სამსახურმა 2012 წლის 25 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. უარის თქმის საფუძვლად მითითებული იყო „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი. მოსარჩევის განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას; ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მოსარჩევის მტკიცებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტზე მითითება ხაზს უსვამს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უკანონობას. ეს ნორმა ბლანკეტური სა-

ხისაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული“ საფუძვლის მითითება, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

აღნიშნული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით მოსარჩევემ 2011 წლის 7 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიმართა, რაზეც მათი მხრიდან რეაგირება არ მომხდარა.

ამდენად, მოსარჩევემ სიიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მესტიის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 25 თებერვლის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მესტიის სარეგისტრაციო სამსახურისათვის დაბა ... (...) მდებარე ე. ხ-ის სახელზე დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრირებული უძრავი ქონების (მინის ნაკვეთის) დაზუსტებული მონაცემებით რეგისტრაციის განხორციელების დავალდებულება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 10 მაისის განჩინებით ე. ხ-ის სარჩევი განსახილებად გადაეგზავნა განსჯად – მესტიის რაიონულ სასამართლოს.

მესტიის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებით ე. ხ-ის სარჩევი არ დაკმაყოფილდა.

მესტიის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ხ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩევის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 5 დეკემბრის განჩინებით ე. ხ-ის შუამდგომლობა ექსპერტიზის დანიშნის თაობაზე დაკმაყოფილდა; საქმეზე – ე. ხ-ის სარჩელისა გამო სიიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მესტიის სარეგისტრაციო სამსახურისა და სიიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და სარეგისტრაციო მოქმედების განხორციელების შესახებ – დაინიშნა ექსპერტიზა; საქმის ნარმოება შეჩერდა ექსპერტიზის დასრულებამდე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 თებერვლის განჩინებით განახლდა განსახილები საქმის წარმოება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 12 მარტის განჩინებით არ დაკმა-

ყოფილდა ე. ხ-ის სააპელაციო საჩივარი; უცვლელად დარჩა მესტიის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2009 წლის 5 ნოემბრიდან, უძრავი ქონება (22789 კვ.მ. მიწის ნაკვეთი), მდებარე დაბა ... ( ...) საკადასტრო კოდით ..., რეგისტრირებულია ე. ხ-ის საკუთრებად. უფლების დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტად მითითებულის საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს მესტიის არქივის მიერ გაცემული საკომლო წიგნის ამონანერი №24; 28.04.2009 წელი. გადაწყვეტილება აღნიშნული რეგისტრაციის განხორციელების მიზნით მესტიის სარეგისტრაციო სამსახურს მიღებული აქვს 2009 წლის 6 ნოემბერს.

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს მესტიის არქივის ცნობით ე. ხ-ის საკუთრებაშია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სათიბი) მიწის ნაკვეთი 22 789 კვ.მ. მდებარე „....“.

2011 წლის 8 თებერვალს განცხადებით ე. ხ-მა რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია მოითხოვა. 2011 წლის 14 თებერვლის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო ნარმოება შეჩერდა იმ საფუძვლით, რომ განცხადებაზე დართული დოკუმენტები/ინფორმაცია არ იყო წარდგენილი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და წესით, კერძოდ, მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი წარსადგენი იყო სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემაში სახელდობრ WGS 84 კოორდინატთა სისტემაში, UTM პროექციაში და SHP ფორმატის ფაილის სახით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. ხ-მა სარეგისტრაციო სამსახურს წარუდგინა მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი იმ სახით, რაც მოითხოვა სარეგისტრაციო სამსახურმა №... 14.02.2011წ. გადაწყვეტილებით. 2011 წლის 25 თებერვლის №... გადაწყვეტილებით ე. ხ-ს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 1.1 მუხლით, ეს კანონი განსაზღვრავს საჯარო რეესტრის წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს, საჯარო რეესტრის მწარმოებელი ორგანოს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ –

სააგენტო) უფლება-მოვალეობებს. კანონის მე-2 მუხლის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით, „სარეგისტრაციო დოკუმენტი“ განმარტებულია, როგორც სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს ამ კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას, ხოლო „სარეგისტრაციო დოკუმენტაციას“ წარმოადგენს რეგისტრაციის მიზნით მარეგისტრირებელ ორგანოში წარსადგენი სარეგისტრაციო და სხვა დოკუმენტები. კანონის მე-8 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. განცხადებას უნდა ერთოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ურთიერთშეჯრების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეზე სადაც გადაწყვეტილებით ე. ხ-ს რეგისტრაციაზე უარი ეთქვა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თუმცა იმავე გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ სარეგისტრაციო წარმოებაზე უარი მიღებულია (ზოგადად) 23-ე მუხლის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების განმავლობაში მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, თუ: ა) უფლების, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის წარმოშობა, მათში ცვლილება და მათი შეწყვეტა, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობა არ ექვემდებარება რეგისტრაციას; ბ) რეგისტრირებული უფლება, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულება, მათში ცვლილება და მათი შეწყვეტა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა ან საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა გამორიცხავს იმავე უძრავ ნივთზე სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი უფლების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის ან საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციას; გ) სარეგისტრაციო დოკუმენტი გამოცემული, მიღებული ან შედგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ; დ) დადგენილი წესით გახდა ცნობილი სარეგისტრაციო დოკუმენტის გაუქმების ფაქტი; ე) წარმოდგენილია სასა-

მართლოს (არბიტრაჟის) კანონიერ ძალაში შესული აქტი, რომელიც ითვალისწინებს რეგისტრაციაზე უარის თქმას; ვ) რეგისტრაციის მოთხოვნის დროისათვის საკუთრების უფლება გადასულია ახალ მესაკუთრებზე; ვ1) სარეგისტრაციო მოთხოვნა რეგისტრირებული მონაცემების იდენტურია; ზ) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნა, რომ მარეგისტრირებელი ორგანოს ნარმომადგენელმა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე განმარტა, რომ ე. ხ-ს მიწის ნაკვეთის დაზუსტებული მონაცემებით რეგისტრაციაზე უარი ეთქვა იმის გამო, რომ დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისა და დაზუსტებული მონაცემებით სარეგისტრაციოდ ნარდგენილ აზომვით ნახაზში (ელექტრონულ ვერსიაში) აღნიშნული ნაკვეთის კონფიგურაცია არ იყო იდენტური, რის გამოც შეუძლებელი იყო უძრავი ქრონების იდენტიფიცირება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით, რეგისტრაციის მიზნებისთვის უძრავი ნივთის დაზუსტებული საკადასტრო მონაცემები ნიშნავს ამ ინსტრუქციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილ, საჯარო რეესტრში დაცულ საკადასტრო ინფორმაციას. სხვა შემთხვევაში უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემები მიიჩნევა დაუზუსტებლად. 14.1 მუხლით, რეგისტრაციის მიზნებისათვის მიწის ნაკვეთი არის გეომეტრიული ერთიანობის მქონე ტერიტორია (დაზუსტებული ან დაუზუსტებელი), რომელიც მოქცეულია საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ერთიან უფლებრივ სივრცეში ან არსებობს მასზე უფლების ამგვარად რეგისტრაციის მოთხოვნის საფუძველი. 14.4 მუხლით, თუ საკადასტრო აღწერის შედეგებით მიწის ნაკვეთის ფართობი, კონფიგურაციის მიუხედავად, სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებულ ფართობზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებულ ან ტექნიკური აღრიცხვის არქივის სააღრიცხვო ბარათში დაფიქსირებულ დაუზუსტებელ ფართობზე მეტია (5 ჰა-მდე ან 50000 კვ.მ-მდე არა უმეტეს 1 პროცენტისა, ხოლო 5 ჰა-ზე ან 50000 კვ.მ-ზე ზევით – არა უმეტეს 0.5 პროცენტისა) ან ნაკლებია, რეგისტრაცია წარმოებს ბოლო საკადასტრო აღწერის შედეგად დადგენილი ფართობის შესაბამისად. 31.4 მუხლით, თუ საჯარო რეესტრში უფლებარეგისტრირებული უძრავი ნივთის მონაცემებში მიწის ფართი მითითებული

ლია როგორც დაზუსტებული და ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში დაცულია რეგისტრაციის დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი საკადასტრო აგეგმვითი ნახაზი, ამასთან, მარეგისტრირებელ ორგანოში არ არის წარმოდგენილი ამ ინსტრუქციის შესაბამისი საკადასტრო ინფორმაცია, საკადასტრო მონაცემები მიზნევა დაუზუსტებლად, ხოლო მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში შეასწოროს რეგისტრირებული მონაცემები, გასცეს შესაბამისი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მითითებული ნორმების შინაარსი ადასტურებს სარეგისტრაციო სამსახურის ვალდებულებას – განახორციელოს რეგისტრაცია ბოლო საკადასტრო აღწერის საფუძველზე. საკადასტრო აღწერის შედეგია საკადასტრო აზომვითი ნახაზი. საკადასტრო მონაცემების ცნება კი განსაზღვრულია „ინსტრუქციის“ 25-ე მუხლით, სადაც აღნიშნულია, რომ საკადასტრო მონაცემები არის ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით ასახული, მინის ნაკვეთის საზღვრის კონფიგურაციისა და ადგილმდებარების, მასზე არსებული ნაგებობების, მათ შორის ხაზოვანი ნაგებობების, ასევე სერვიტუტის ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის ფარგლების შესახებ გრაფიკულად და ტექსტურად გამოსახული ზუსტი ინფორმაცია (25.1 მუხლი). საკადასტრო აზომვითი ნახაზი არის ამ ინსტრუქციის მოთხოვნათა დაცვით შესრულებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების ამსახველი დოკუმენტი (25.2 მუხლი). ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახური ვალდებულია დაეყრდნოს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიერ შესრულებულ საკადასტრო აზომვით ნახაზს, თუ იგი აკმაყოფილებს ამ ინსტრუქციითა და საქართველოს კანონმდებლობით საკადასტრო აზომვითი ნახაზისათვის დადგენილ აუცილებელ მოთხოვნებს (25.3 მუხლი).

ამასთან, „ინსტრუქციის“ 26-ე მუხლის შესაბამისად, საკადასტრო აღწერის შედეგი (საკადასტრო აზომვითი ნახაზი) წარმოდგენილ უნდა იქნეს სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემაში, კერძოდ WGS 84 კოორდინატთა სისტემასა და UTM პროექციაში. საკადასტრო აღწერისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ობიექტების აზომვისა და გამოსახვის სიზუსტე 0.15 მ-ისა. აზომვის ზედდება დასაშვებია რეგისტრირებულ მონაცემებთან 0.3 მ-ით. საკადასტრო აზომვით ნახაზზე, ამ ინსტრუქციის მოთხოვნების გათვალისწინებით, წამოდგენილ უნდა იქნეს ობიექტთა შემდეგი ტიპები: ა) მინის ნაკვეთი; ბ) შენო-

ბა-ნაგებობა; გ) ცალკე უფლების ობიექტი; დ) უფლებრივი შეზღუდვის ან/და დატვირთვის საზღვრები; ე) წერტილოვანი ობიექტი; ვ) სხვა ტოპოგრაფიული ელემენტები. საკადასტრო აზომვით ნახაზს თან უნდა ერთვოდეს წერილობითი ინფორმაცია საკადასტრო აღწერის უფლებამოსილი პირის, უძრავი ნივთის და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების აღწერილობის და დაინტერესებული პირის შესახებ. დამსწრეთა და უძრავი ნივთის მოსაზღვრე უძრავი ნივთის (ნივთების) მართლზომიერი მფლობელის ან მესაკუთრის არსებობის შესახებ. საკადასტრო აზომვითი ნახაზი დამოწმებული უნდა იყოს საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სარეგისტრაციო სამსახურს არ გააჩნდა რა საკადასტრო მონაცემები, რომელიც შეიცავდა სარეგისტრაციო უძრავი ქონების ადგილმდებარეობისა და საზღვრების კონფიგურაციის შესახებ გრაფიკულად და ტექსტურად გამოსახულ ზუსტი ინფორმაციას, რის გარეშეც შეუძლებელი იყო უძრავი ნივთის (მინის ნაკვეთის) საკუთრების უფლების დაზუსტებული მონაცემებით რეგისტრაცია, მან მართებულად თქვა უარი ასეთი რეგისტრაციის განხორციელებაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 12 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ხ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოთხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები და უხეშად დაარღვია მისი საპროცესო უფლებები. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ დავაში მტკიცების ტვირთ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება. კასატორის მითითებით, არც ადმინისტრაციული ორგანოს და არც ქვედა ინსტანციის სასამართლოების უარი მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე არ არის დასაბუთებული.

კასატორის განმარტებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მხედველობაში არ მიიღეს და შეფასების გარეშე დატოვეს ის გარემოება, რომ მინის ნაკვეთის დაზუსტებისას არ დაფიქ-სირებულა ზედდება, რადგან მის მიერ ნარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტები და აზომვითი ნახაზი მხოლოდ მის საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის მიჯნებშია მოქცეული.

კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს სარეგისტრაციო სამსახურის უარს იმ არგუმენტით, რომ თითქოსდა შეცვლილია კონ-

ფიგურაცია; თუმცა სარეგისტრაციო სამსახურმა არ განმარტა რამი მდგომარეობს კონფიგურაციის არ დამთხვევა.

კასატორის მითითებით, საინტერესოა ის გარემოება, რომ სპეციალური ცოდნის არ ქონის მიზეზთ სასამართლომ დანიშნა შესაბამისი ექსპერტიზა და მისი ჩატარება ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დაავალა, რომელმაც რთული კლიმატური პირობების გამო ვერ მოახერხა ექსპერტიზის ჩატარება. აღნიშნულის შემდეგ კი სასამართლომ, მიუხედავად სპეციალური ცოდნის არქონისა, თავად შეაფასა სადაც საკითხი და მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად ნარმოებაში იქნა მიღებული ე. ხ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 19 სექტემბრის განჩინებით ე. ხ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2012 წლის 14 ნოემბერს 13:00 საათზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ხ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არ-სებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2009 წლის 5 ნოემბრიდან უძრავი ქონება (22789 კვ.მ. მიწის ნაკვეთი), მდებარე დაბა ... (...) საკადასტრო კოდით ..., რეგისტრირებულია ე. ხ-ის საკუთრებად. გადაწყვეტილება აღნიშნული რეგისტრაციის განხორციელების მიზნით მესტიის სარეგისტრაციო სამსახურს მიღებული აქვს 2009 წლის 6 ნოემბერს. სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს მესტიის არქივის ცხობით ე. ხ-ის საკუთრებაშია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სათიბი) მიწის ნაკვეთი 22 789 კვ.მ. მდებარე „...“.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2011 წლის 8 თებერვალს ე. ხ-მა განცხადებით მიმართა მესტიის სარეგისტრა-

ციონ სამსახურს და რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია მოითხოვა. 2011 წლის 14 თებერვლის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა იმ საფუძვლით, რომ განცხადებაზე დართული დოკუმენტები/ინფორმაცია არ იყო წარდგენილი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და წესით. საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ე. ხ-მა სარეგისტრაციო სამსახურს წარუდგინა მინის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი იმ სახით, რაც სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 14 თებერვლის №... გადაწყვეტილებით იქნა მოთხოვნილი. 2011 წლის 25 თებერვლის №... გადაწყვეტილებით ე. ხ-ს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

შესაბამისად, ე. ხ-ი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მესტიის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 25 თებერვლის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და მესტიის სარეგისტრაციო სამსახურისათვის დაბა ... (...) მდებარე მის სახელზე დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრირებული უძრავი ქონების (მინის ნაკვეთის) დაზუსტებული მონაცემებით რეგისტრაციის განხორციელების დავალდებულებას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 12 მარტის განჩინება არ არის დასაბუთებული არც პროცესუალური და არც მატერიალური თვალსაზრისით. სააპელაციო სასამართლო არასწორი და მიუდგა სადავო საკითხს და არასათანადო სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს; სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკენები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ისე მიიღეს გადაწყვეტილება განსახილველ საქმეზე, რომ ვერ დაასაბუთეს ე. ხ-ის მოთხოვნის უსაფუძვლობა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას გასაჩივრებული აქტის კანონიერების თაობაზე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოები, ასევე, ქვედა ინსტანციის სასამართლოები განსახილველ საკითხს ფორმალურად მიუდგნენ და სადავო სამართალურთიერთობის შეფასებისას ყურადღება არ გამახვილებულა მოცემული დავის სწორად გადაწყვეტილისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, სარეგისტრაციო სამსახურის მხრიდან ე. ხ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უა-

რის თქმის მოტივად ის გარემოება იქცა, რომ უტყუარად ვერ დგინდებოდა უკვე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისა და სარეგისტრაციოდ წარდგენილი მიწის ნაკვეთის ზუსტი იდენტიფიკაცია, ვინაიდან, წარდგენილი დოკუმენტაციით შეცვლილი იყო მიწის ნაკვეთის ფართობი და კონფიგურაცია. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლობმა გასაჩივრებული აქტის კანონიერის დასაბუთებისას სრულად გაიზიარეს სარეგისტრაციო სამსახურის აღნიშნული არგუმენტაციი და მათი მსჯელობის საგნად არ ქცეულა მოსარჩელის არგუმენტები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის მტკიცებით, მის სახელზე რეგისტრირებული და დაზუსტებული მონაცემებით სარეგისტრაციოდ წარდგენილი მიწის ნაკვეთის მოსაზღვრე მიწის ნაკვეთების მესაკუთრეები ემთხვევა ერთმანეთს. აღნიშნულის სანინაალმდეგო მოსაზრება კი საქმეზე არ დადასტურებულა. მოსარჩელის აღნიშნული არგუმენტი არც ადმინისტრაციულ ორგანოს და არც სასამართლოს არ შეუფასებია.

სასამართლოს მოსარჩელის არც იმ არგუმენტზე უმსჯელია, განსახილველ შემთხვევაში სახეზეა თუ არა სარეგისტრაციო სამსახურის მხრიდან ე. ხ-ის მიმართ არაიდენტური მოპყრობა, ვინაიდან, მოსარჩელის მტკიცებით, იგივე ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პირობებში დაბა ... (...) რეგისტრირდება მიწის ნაკვეთები.

საქმის გარემოებების სათანადოდ დაუდგენლობას ადასტურებს სადავო მიწის ნაკვეთის იდენტიფიციაციის დადგენის მიზნით ექსპერტიზის ჩატარების საჭიროება. სააპელაციო სასამართლომ კი ექსპერტიზის დასკვნის არარსებობის პირობებში, ისე, რომ საქმეზე დადგენილი არ იყო ფაქტობრივი გარემოებები, მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას ე. ხ-ის სახელზე რეგისტრირებული და დაზუსტებული მონაცემებით სარეგისტრაციოდ მოთხოვნილი სადაცო მიწის ნაკვეთის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შესახებ. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ე. ხ-ის სახელზე 2009 წლის 5 ნოემბერს გაცემული საჯარო რეესტრის ამონანერი (მიუხედავად დაუზუსტებელი რეგისტრაციისა) შეიცავს მიზის ნაკვეთის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს, კერძოდ, სარეგისტრაციო ზონას და სექტორს კოდების მითითებით, ნაკვეთისა და კვარტლის ნომრებს, ფართობს, მისამართს. შესაბამისად, შესაძლებელია ე. ხ-ის სახელზე რეგისტრირებული მი-

ნის ნაკვეთის იდენტიფიკაცია და დაუსაბუთებელია როგორც სარეგისტრაციო სამსახურის პოზიცია, ასევე, ქვედა ინსტანციის სასამართლოების დასკვნა მიწის ნაკვეთის იდენტიფიკირების შეუძლებლობის შესახებ. ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ვერც სარეგისტრაციო სამსახური და ვერც სასამართლო ვერ უთითებს ე. ხ-ის მიერ სარეგისტრაციოდ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის რაიმე სხვა ადგილ-მდებარეობას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარეგისტრაციო სამსახურის მხრიდან მიწის ნაკვეთის იდენტიფიცირებისა და საქმის გარემოებების სათანადოდ დაუდგენლობა ვერ გახდება ე. ხ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. სარეგისტრაციო სამსახური სწორედ მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირების დაუდგენლობის მოტივით ეუბნება უარს მოსარჩევეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რაც მისი კვლევის საგანი უნდა ყოფილიყო. სარეგისტრაციო სამსახურს, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს, კანონი პირდაპირ ავალ-დებულებს გადაწყვეტილება მიიღოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე (სზაპ-ის 96.1 მუხლი).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მიწა საკუთრებაში შეიძლება არსებობდეს, როგორც დაზუსტებული, ასევე დაუზუსტებელი მონაცემებით; მიწის ნაკვეთზე არსებული დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრაციას არ აქვს მხოლოდ საცნობარო მნიშვნელობა. სააღრიცხვო მონაცემებს კი, იქნება ეს დაზუსტებული თუ დაზუსტებული მონაცემების სახით, იურიდიული მნიშვნელობა გააჩნია. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემის შეცვლა ტექნიკური საკითხია და მას არ უნდა ეწირებოდეს რეესტრში ასახული უფლებები, რეგისტრაციის ახალი სისტემის დანიშნულება საკუთრების უფლების უკეთესი დაცვის გარანტი უნდა იყოს და არა საკუთრების უფლების შეზღუდვის საფუძველი.

ამასთან, მართალია სარეგისტრაციო სამსახურის წარმომადგენლმა სასამართლო პროცესებზე დაადასტურა, რომ ისინი სადაცოდ არ ხდიან ე. ხ-ის საკუთრებას, მაგრამ სარეგისტრაციო სამსახურმა თავისი ქმედებით ფაქტობრივად ეჭვს ქვეშ დააყენა ე. ხ-ის საკუთრების უფლება. აღნიშნულის საპირისპიროდ კი საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ე. ხ-ი 2009 წლიდან სადაცო უძრავი ქონების მესაკუთრეა და მისი საკუთრების უფლება დღემდე ძალაშია და სადაცოდ არავის გაუხდია. ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგაშით აღნიშნავს, რომ ე. ხ-ს სადაცო მიწის ნაკვეთი (დაზუსტებული მონაცემებით)

იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აქვს რეგისტრირებული. კანონი კი ნებისმიერ შემთხვევაში იცავს მესაკუთრეს, ახალი წესით აქვს მას ქონება დარეგისტრირებული თუ ძველი წესით.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საჯარო რეესტრის უფყუარობისა და სისრულის პრეზუმაციიდან გამომდინარე ითვლება, რომ ე. ხ-ს საკუთრებაში გააჩნია უძრავი ქონება (22789 კვ.მ. მინის ნაკვეთი), მდებარე დაბა ... (...) საკადასტრო კოდით ....

ადმინისტრაციული ორგანო და ქვედა ინსტანციის სასამართლოები ერთის მხრივ აღიარებენ მინის ნაკვეთის მოსარჩელი-სადმი კუთვნილებას ფორმალურად (ე.ი. ეთანხმებიან რეესტრის ჩანაწერს), ხოლო მეორეს მხრივ მათ გამორიცხეს, ფაქტობრივად უარყოფს ე. ხ-ის საკუთრება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისთვის არსებითა მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოების დადგენას, ე. ხ-ის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია წარმოადგენდა თუ არა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების განხორციელების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ არც ადმინისტრაციულ ორგანოებს და არც სასამართლოს არ უმსჯელია და სათანადოდ არ შეუფასებია ის დოკუმენტაცია, რომელიც არსებობდა სადაც აქტის გამოცემამდე. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ე. ხ-ი თავის მხრივ შეეცადა დაედასტურებინა მისი მოთხოვნის საფუძლიანობა და სარეგისტრაციო სამსახურს მოთხოვნისამებრ წარუდგინა საკადასტრო აზომვითი ნახაზი შესრულებული სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემაში, კერძოდ, WGS 84 კოორდინატთა სისტემაში, UTM პროექციაში და SHP ფორმატის ფაილის სახით. ე. ხ-მა მესტიის სარეგისტრაციო სამსახურს განმეორებით ყველა ის დოკუმენტი წარუდგინა, რაც სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ მესტიის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 14 თებერვლის №... გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდა. აღნიშნულის მიუხედავად, სარეგისტრაციო სამსახურმა 2011 წლის 25 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ იმ მოტივით, რომ არსებობდა რეგისტრაციაზე უარის თქმის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძლები („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი). თუმცა სარეგისტრაციო სამსახურს განმცხადებლისთვის არ განუმარტავს და არ დაუსაბუთებია კონკრეტულად რა პირობე-

ბის არსებობის გამო ეთქვა მას უარი მოთხოვნის დაქმაყოფილებაზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას; ამასთან, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; ხოლო მე-5 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოუფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომელიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე მიიღო. სარეგისტრაციო სამსახურს სადაცო საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში არ მიუღია ის უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომ ე. ხ-ის საკუთრების დაზუსტებით და ახალი წესის შესაბამისად საკუთრების უფლების რეგისტრაციით არ ილახებოდა მოსაზღვრე მინის ნაკვეთების მესაკუთრების უფლებები; სახეზე არ იყო ინტერესთა კონფლიქტი. საქმეზე დადგენილად არის მიჩნეული, რომ ზედებას არ აქვს ადგილი. ამასთან, საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ე. ხ-ს დაუზუსტებელი მონაცემებით საკუთრებაში 22 789 კვ.მ. მინის ნაკვეთი აქვს რეგისტრირებული; ხოლო დაზუსტებული მონაცემებით იგი 19 274 კვ.მ. მინის ნაკვეთის რეგისტრაციას ითხოვს. აქვე საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ახალი წესით, დაზუსტებული მონაცემებით საკუთრების უფლების რეგისტრაცია თავისმხრივ იძლევა იმის ალბათობას, რომ უზუსტობა იყოს მინის ნაკვეთის ფართობებს შორის. საკუთრების უფლების დაზუსტებაც სწორედ იმ მიზანს ემსახურება, რომ უზუსტობა მინიმუმადე იქნეს დაყვანილი და განხორციელდეს დაუზუსტებელი მონაცემების დაზუსტება. აღნიშნულზე მიუთითებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს რეგისტრაციის წარმოებას ბოლო საკადასტრო აღწერის შედეგად დადგენილი ფართობის შესაბამისად, თუ საკადასტრო აღწერის შედეგებით

მიწის ნაკვეთის ფართობი, კონფიგურაციის მიუხედავად, სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებულ ფართობზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის რეგისტრირებულ ან ტექნიკური აღრიცხვის არქივის სააღრიცხვო პარატში დაფიქსირებულ დაუზუსტებელ ფართობზე მეტია (5 ჰა-მდე ან 50 000 კვ.მ-მდე არა უმეტეს 1 ჰარცენტისა, ხოლო 5 ჰა-ზე ან 50 000 კვ.მ-ზე ზევით – არა უმეტეს 0.5 ჰარცენტისა) ან ნაკლებია. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ნორმა მიწის ნაკვეთის ფართობის ნაკლებობასთან დაკავშირებით (განსხვავებით იმ შემთხვევისაგან), როცა მეტია მიწის ნაკვეთის ფართობი) არანაირ დათქმას არ ითვალისწინებს და შეზღუდვას არ აწესებს დაზუსტებული მონაცემებით საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის. თუმცა აღნიშნული ნორმა იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ საკუთრების უფლების დაზუსტება არ მოხდეს სხვათა საკუთრების უფლების შეზღუდვის ხარჯზე. განსახილველ შემთხვევაში კი უდავოა ის გარემოება, რომ ზედდება არ ფიქსირდება და სახეზე არ გვაქს ინტერესთა კონფლიქტი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, როგორც ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს გასაჩინორებული აქტის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების ვალდებულება წარმოეშვება მაღალი ხარისხით, მან არ განიხილა და რეაგირების გარეშე დატოვა ე. ხ-ის ადმინისტრაციული საჩივარი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ენინალმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. აღნიშნულ მუხლში მოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სავალდებულო წინაპირობები, რომლებიც მათი რეალიზების თვალსაზრისით, ამ მუხლში არა კუმულაციური, არამედ, ალტერნატიული სახით არის წარმოდგენილი. არსებით დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარე-

მოებათა გამოკვლევა, სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი აქტის გამოცემა დაავალოს.

ამდენად, საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს მესტიის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 25 თებერვლის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილითა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული მატერიალურ-საპროცესო სამართლებრივი საფუძვლები. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მესტიის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 25 თებერვლის №... გადაწყვეტილება და მესტიის სარეგისტრაციო სამსახურს უნდა დაევალოს საქმის გარემობათა გამოკვლევის შემდეგ, საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით, კანონით დადგენილ ვადაში, გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სადაც მინის ნაკვეთის რეგისტრაციის თაობაზე.

ამასთან, განსახილველ შემთხვევაში სარეგისტრაციო სამსახურმა გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ე. ხ-ი 2009 წლიდან დაბა ... (...) მდებარე 22789 კვ. მ. მინის ნაკვეთის (დაუზუსტებელი) მესაკუთრეა და აღნიშნულს სადაც არავინ ხდის. საქმის გარემოებების სათანადოდ დაუდგენლობამ კი (მინის ნაკვეთის იდენტიფიკაციის დაუდგენლობამ) არ შეიძლება შეზღუდოს პირის საკუთრების კონსტიტუციური უფლება და გახდეს მოსარჩევის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. ამასთან, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება,

რომ განსახილველ შემთხვევაში არ იკვეთება არც საჯარო და არც კერძო პირთა ინტერესების არსებობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გა-საჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ე. ხ-ის საკასაციო სა-ჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქარ-თველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხ-ლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მოპასუხეს – სსიპ საჯარო რე-ესტრის ეროვნული სააგენტოს მესტიის სარეგისტრაციო სამ-სახურს ე. ხ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა 550 ლარის ოდენობით (პირველი ინსტანციის სასამართლოში – 100 ლარის ოდენობით; სააპელა-ციო სასამართლოში – 150 ლარის ოდენობით; საკასაციო სასა-მართლოში – 300 ლარის ოდენობით; სულ – 550 ლარი).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრა-ციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხ-ლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ე. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობ-რივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 12 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ე. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნეს ცნო-ბილი რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რე-ესტრის ეროვნული სააგენტოს მესტიის სარეგისტრაციო სამ-სახურის 2011 წლის 25 თებერვლის №... გადაწყვეტილება და მესტიის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალოს საქმის გარე-მოებათა გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, გა-მოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებ-რივი აქტი სადაცვი მიზნის ნაკვეთის რეგისტრაციის თაობაზე;

5. მოპასუხეს – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-ტოს მესტიის სარეგისტრაციო სამსახურს ე. ხ-ის სასარგებლოდ

დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 550 ლარის (100+150+300) ანაზღაურება;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საპოლოოა და არ საჩივრდება.

## მინის ნაკვეთის რეგისტრაციის პარონიარება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-488-482(კ-12)

25 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მი-  
მართვის და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ნაწილობრივ ბათი-  
ლად ცნობა

#### აღნერილობითი ნაწილი:

შპს „...“ 2011 წლის 5 დეკემბერს სარჩელით მიმართა ახალ-  
ციხის რაიონულ სასამართლოს მოპასუხების ახალციხის მუ-  
ნიციპალიტეტის გამგეობისა და საჯარო რეესტრის ეროვნული  
სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და  
მოითხოვა ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი მიმართვა 477/  
4 (დამოწმების თარიღი 04/05/2010, ახალციხის მუნიციპალიტე-  
ტის გამგეობა) მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკ-  
ვეთის ნაწილში და საჯარო რეესტრის გადაწყვეტილება (სააღ-  
რიცხვო ბარათი) მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის  
ნაკვეთის რეგისტრაციის ნაწილში.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 31 იანვრის  
გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ მოცემულ საქმეზე  
დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ახალციხის მერიის 1998 წლის 31 ივლისის დადგენილებით  
შ. კ. ს. „...“ ქუჩაზე კინოთეატრ „...“ მახლობლად არქიტექტუ-  
რის განყოფილების მიერ შედგენილი სქემის მიხედვით გამოე-

ყო სარგებლობის უფლებით 150 მ<sup>2</sup> მიწის ფართობი მცირე გაბარიტიანი ავტობუსების სადგურის მოსაწყობად და ნება დაერთო ამავე ტერიტორიაზე ჩაედგა დროებითი ნაგებობის ტიპის მომსახურების სალარო. უძრავი ქონება მდებარე, ქუჩაზე, კინოთეატრ „...“ მიმდებარე ტერიტორიაზე: სარეგისტრაციო ზონა ..... კოდი...; სექტორი ... კოდი ..., კვარტალი №..., ნაკვეთი №... ფართობი 150 კვმ. 2007 წლის 23 ივლისს საქართველოს კანონის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრების გამოცხადების შესახებ“ თანახმად, საკუთრების უფლებით რეგისტრირებული იქნა შპს „...“. 2011 წლის 15 ივლისს მოსარჩევემ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა მათ საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე მდებარე ... ქუჩაზე, კინოთეატრ „...“ მიმდებარე ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილებების რეგისტრაცია. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ შპს „...“ უარი ეთქმა ცვლილებების რეგისტრაციაზე, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარდგენილ უფლების საგანზე რეგისტრირებულია სხვა უფლება, კერძოდ უძრავი ქონება რეგისტრირებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებად საკადასტრო კოდით ..... . 2011 წლის 27 ივლისს მოსარჩევემ მიმართა ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობას და მოითხოვა მათ საკუთრებად რეგისტრირებულ 8759 კვ.მ. მიწის ნაკვეთში განეხორციელებინათ ცვლილებების რეგისტრაცია და 150 კვ.მ მიწის ნაკვეთი ამორიცხათ ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკუთრებიდან.

2010 წლის 4 მაისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურს მიმართა ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა და ითხოვა „ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მერვე თავის 47-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალურ ქონებად დარეგისტრირება ქ. ახალციხეში ... ქუჩის მიმდებარედ ცენტრალური პარკის და ... ქუჩის მიმდებარედ სკვერის, წარდგენილი საკადასტრო ნახაზების საფუძველზე. უძრავი ქონება, რომლის მახასიათებლებია ზონა ..., სექტორი ქ. ...., კვარტალი ...., ნაკვეთი ..., დაზუსტებული ფართობი 8759.00 კვმ. მისამართი ქ. ახალციხე ... ქუჩის მიმდებარედ წარმოადგენს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებას. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირებული იქნა ... ქუჩის მიმდებარედ მდებარე ცენტრალური პარკი და ... ქუჩის მიმდებარე სკვერი. რაიონულმა სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტი-

სას იხელმძღვანელა საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა „ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლზე, რომლის თანახმად თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაშია თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დაწინულების მიწა (ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ქუჩები, ხეივნები, სკვერები და ა.შ.), გარდა კერძო საკუთრებაში არსებული, სახელმწიფო ქონებაზე დამაგრებული და სახელმწიფოს წილობრივი მონანილეობით არსებულ ქონებაზე დამაგრებული მიწებისა, აგრეთვე ის მიწები, რომლებიც ექვემდებარება დასახელებული კატეგორიის ქონებაზე (სახელმწიფო ქონება და სახელმწიფოს წილობრივი მონანილეობით არსებული საზოგადოების ქონება) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებას;

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მულის 1-ლ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. რაიონული სასამართლოს შეფასებით, მოსარჩევლის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი მტკიცებულება რაც დადასტურებდა მის სასარჩელო მოთხოვნებს და მის მიერ ცვლილებების რეგისტრაციისათვის წარდგენილი ელექტრონული ვერსია შეესაბამება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით შპს „....“ რეგისტრირებულ მონაცემებს, რადგან შპს „....“ საკუთრებას წარმოდგენს ... ქუჩაზე კინოთეატრ „....“ მიმდებარე ტერიტორიაზე: სარეგისტრაციო ზონა ... კოდი ...; სექტორი ... კოდი ..., კვარტალი №..., ნაკვეთი №... ფართობი 150 კვმ. მდებარე უძრავი ქონება, ხოლო მუნიციპალიტეტის ქონებას ქ. ახალციხეში ... ქუჩის მიმდებარედ ცენტრალური პარკი, რომლის მახასიათებლებია ზონა ..., სექტორი ქ. ...., კვარტალი ..., ნაკვეთი .... .

სასამართლომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლზე მითითებით განმარტა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდე-

გება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

მითითებული ფაქტობრივი გარემოების არსებობის პირობებში, სასამართლომ მიიჩნია, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის 2010 წლის 4 მაისის მიმართვა №477/4 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურისადმი, რომლის საფუძველზე ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირებული იქნა ... ქუჩის მიმდებარედ არსებული ცენტრალური პარკი და ... ქუჩის მიმდებარე სკვერი უძრავი ქონება, რომლის მახასიათებლებია ზონა ..., სექტორი ქ. ..., კვარტალი ..., ნაკვეთი ..., დაზუსტებული ფართობი 8759.00 კვმ. მისამართი ქ. ახალციხე ქუჩის მიმდებარე ცენტრალური პარკი, გამოცემულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მისი ბათილობის კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

რაიონულმა სასამართლომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად განმარტა, რომ სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ამასთან, ამავე კანონის 23-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების განმავლობაში მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, თუ: რეგისტრირებული უფლება, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულება, მათში ცვლილება და მათი შეწყვეტა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა ან საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა გამორიცხავს იმავე უძრავ ნივთზე სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი უფლების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის ან საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციას; ამავე კანონის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეგისტრაცია ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს, თუ ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად იქნა ცნობილი რეგისტრაციის საფუძვლად არსებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი; ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რეგისტრაცია ბათილად ან არარად უნდა გამოცხადდეს, თუ:

ა) ბათილად ან არარად იქნა ცნობილი რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება;

ბ) წარმოდგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული აქტი, რომელიც ადასტურებს რეგისტრაციის ბათილად ან

არარად ცნობის ფაქტს;

გ) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის 2010 წლის 4 მაისის მიმართვა №477/4 გამოცემულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს საქართველოს „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლით გათვალისწინებული რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი, ამიტომ შპს „...“ სასამართლო მოთხოვნა ნაწილობრივ ბათილად იქნას ცნობილი საჯარო რეესტრის გადაწყვეტილება (სააღრიცხვო ბარათი) მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის ნაწილში არის უსაფუძვლო და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მარტის განჩინებით შპს „...“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება;

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლო ამონტებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სააპელაციო პალატამ მოცემულ დავასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად მიიჩნია მიეთითებინა 2010 წლის 15 იანვრის საქართველოს იუსტიციის მინისტრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტა, რომ საკადასტრო გეგმა და საკადასტრო რუკა გაიცემა საჯარო რეესტრის მონაცემთა ბანკის საფუძველზე და ასახავს მისი მომზადების მომენტისათვის მიწის ნაკვეთის და ნაგებობების შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით საკადასტრო გეგმა არის მიწის ნაკვეთის საკადასტრო და გრაფიკული მონაცემების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის, მისი ფართობის, კონფიგურაციის, დანიშნულების, საკოორდინაციო ბადის, მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობებისა (მათ შორის, მშენებარე) და მათი სართულიანობის, ასევე ამ მიწის ნაკვეთზე იმ უფლებებისა და შეზღუდვების შესახებ, რომელთა საკადასტრო მონაცემებიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში (გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა). ამავე მუხლის მე-5 ნაწილით საკადასტრო რუკა არის დოკუმენტი, რომელიც ასახავს კონკრეტული ტერიტორიის საკადასტრო მონაცემებს, ინფორმაციას ამ ტერიტორიაზე უფლებარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების, ნაგებობების, მათი საკოორდინაციო ბადისა და საკადასტრო კოდის შესახებ, ასევე ამ მიწის ნაკვეთსა და ნაგებობებზე იმ უფლებებისა და შეზღუდვების შესახებ, რომელთა საკადასტრო მონაცემებიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სადაცო საკუთრების უფლების რეგისტრაცია (მდებარე, ზონა ..., სექტორი ქ. ..., კვარტალი ..., ნაკვეთი ..., დაუზუსტებელი ფართობი 8759.00 კვ.მ. მისამართი ქ. ახალციხე, ქუჩა ..., მიმდებარე (ცენტრალური პარკი)) განხორციელდა ახალციხის მუნიციპალიტეტების გამგეობის მიშარვისა და საკადასტრო ნახაზის საფუძველზე. საქმის მასალების მიხედვით პალატამ არ მიიჩნია დადასტურებულად ის გარემოება, რომ რეგისტრაციის მომენტისათვის, სადაცო მიწის ნაკვეთი (150 კვ.მ) წარმოადგენდა საჯარო რეესტრში, მოსარჩელის სახელზე დაუზუსტებელი მონაცემებით, რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, რაც გამორიცხავდა მარეგისტრირებელი ორგანოს მხრიდან ახალციხის მუნიციპალიტეტის სახელზე, საკუთრების უფლების რეგისტრაციას.

სააპელაციო პალატამ „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანო-

ნის 23-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე მითითებით განმარტა, რომ სარეგისტრაციო წარმოების განმავლობაში მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, თუ: რეგისტრირებული უფლება, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულება, მათში ცვლილება და მათი შეწყვეტა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა ან საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა, გამორიცხავს იმავე უძრავ ნივთზე სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი უფლების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის ან საგადასახადო გირავნობის/ იპოთეკის რეგისტრაცია.

დადგენილი გარემოებების ანალიზის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ განსახილველ შემთხვევაში დაადგინა, რომ სადაც რეგისტრაციის მომენტისათვის არ არსებობდა რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი; ახალციხის სარეგისტრაციო სამსახური უფლებამოსილი იყო წარდგენილი დოკუმენტაციისა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის საფუძველზე დაერეგისტრირებინა უძრავი ქონება ახალციხის მუნიციპალიტეტის სახელზე. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელის მიერ ვერც სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე იქნა წარმოდგენილი რამე მტკიცებულება, რაც შეიძლებოდა სადაც გადაწყვეტილების გაუქმების და სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი გამხდარიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია და იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონმება შეუძლებელია. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის ელექტრონული ვერსია არ შეესაბამება შპს „...“ სახელზე რეგისტრირებულ მონაცემებს, რადგან მოსარჩელის სარეგისტრაციო მონაცემები განსხვავებულია ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მონაცემებისაგან. კასატორი ასევე არ იზიარებს სასამართლოს მიტივაციას იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის მიერ ვერ დადასტურდა მოპასუხე – ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გადაფარვა, ვინაიდან აღნიშნულ

ფაქტობრივ გარემოებას კასატორის აზრით, ადასტურებენ მონინააღმდეგები მხარე საჯარო რეესტრის ახალციხის სარეგისტრაციო სამსახური შესავებელშიც და სასამართლო სხდომაზეც და ახალციხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობას არ გადაუფარავს მათი მინის ნაკვეთი, ასევე საჯარო რეესტრის გადაწყვეტილება რეგისტრაციის თაობაზე და მიმართვა, რომლითაც მოხდა მუნიციპალიტეტის გამგეობის საკუთრებად მინის ნაკვეთის რეგისტრაცია არ ეწინააღმდეგება კანონს და არ არსებობს მათი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი. კასატორის მითითებით, საქმის სააპელაციო წესით განხილვისას ახალციხის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით დადგენილება, რომლითაც გამოყოფილი სადავო მინის ნაკვეთი და შემდგომ ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოთხოვნით საჯარო რეესტრის ჩანაწერიც გაუქმდა სამართლებრივი ნორმების უგულვებელყოფით, დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის მოტივით და არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ დადგენილებით გათვალისწინებული პირობები ვერ შესრულდა მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციის გამო. აღნიშნული აქტები გასაჩივრებულია ახალციხის რაიონულ სასამართლოში. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლი, „ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ კანონის 47-ე მუხლი და „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 24 დეკემბრის განჩინებით შპს „...“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განისაზღვრა მისი განხილვა მხარეთა დასწრებით.

### **სამოტივაციო წანილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივარის მოტივების საფუძვლიანობის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვამდე, რომ შპს „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მარტის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნა-

წილობრივ; ბათილად იქნას ცნობილი ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2010 წლის 4 მაისის №477/4 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სადავოდ გამხდარი (150 კვ.მ) მიწის ნაკვეთის ნაწილში; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნას ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სადავოდ გამხდარი 150 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალოს სააგენტოს თანაბარწილად დაეკისროთ შპს „...“ მიერ სამივე ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 550 ლარის გადახდა, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების – საჯარო რეესტრის გადაწყვეტილების (სააღრიცხვო ბარათი) მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის ნაწილში ნაწილობრივ ბათილად ცნობა და მიმართვის №477/4-ის ნაწილობრივ ბათილად ცნობა (დამონმების თარიღი 04/05/2010, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობა) მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილში.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2-ე მუხლის საფუძველზე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: ახალციხის მერიის 1998 წლის 31 ივლისის დადგენილებით შპ.ს „...“ ქუჩაზე კინოთეატრ „...“ მახლობლად არქიტექტურის განყოფილების მიერ შედგენილი სქემის მიხედვით გამოეყო სარგებლობის უფლებით 150 გ<sup>2</sup> მიწის ფართობი მცირე გაბარიტიანი ავტობუსების სადგურის მოსაწყობად და ნება დაერთო ამავე ტერიტორიაზე ჩაედგა დროებითი ნაგებობის ტიპის მომსახურების სალარო. უძრავი ქონება მდებარე ... ქუჩაზე, კინოთეატრ „...“ მიმდებარე ტერიტორიაზე: სარეგისტრაციო ზონა ... კოდი ...; სექტორი ... კოდი ..., კვარტალი №..., ნაკვეთი №... ფართობი 150 კვმ. აღნიშნული მიწის ნაკვეთი 2007 წლის 23 ივლისს საქართველოს კანონის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის

კერძო საკუთრების გამოცხადების შესახებ“ თანახმად, საკუთრების უფლებით რეგისტრირებული იქნა შპს „...“. 2011 წლის 15 ივლისს მოსარჩელემ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა მათ საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე მდებარე ... ქუჩაზე, კინოთეატრ „...“ მიმდებარე ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილებების რეგისტრაცია. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ შპს „...“ უარი ეთქვა ცვლილებების რეგისტრაციაზე, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარდგენილ უფლების საგანზე რეგისტრირებულია სხვა უფლება, კერძოდ რეგისტრირებულია მუნიციპალიტეტის საკუთრება საკადასტრო კოდით ..., რომელიც გამორიცხავდა აღნიშნულ უძრავ ნივთზე წარმოდგენილი უფლების რეგისტრაციას. 2010 წლის 10 მაისის ამონანერით დასტურდება, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2010 წლის 4 მაისის №477/4 მიმართვის საფუძველზე, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირებულ იქნა ... ქუჩის მიმდებარე ცენტრალური პარკი (მინის საკადასტრო კოდი: .... ზონა ..., სექტორი ქ. ..., კვარტალი..., ნაკვეთი ..., არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 8759.00 კვ.მ დაზუსტებული ფართობი).

საკასაციო პალატა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლზე მითითებით განმარტავს, რომ საკუთრება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, საჯარო რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის და მასში ცვლილების შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. ამასთან საჯარო რეესტრში აღირიცხება უკვე მოპოვებული უფლება. უფლებათა რეგისტრაცია საჯარო რეესტრში აუცილებელია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და მას მნიშვნელობა აქვს ბრუნვის სტაბილურობის და მესამე პირთა ინტერესებისთვის. ამდენად, მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია საჯარო რეესტრში მისი რეგისტრაცია, რაც საქმის მასალებით დასტურდება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობის და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი

რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიც-დება მათი უზუსტობა. ამდენად, სახეზეა დროის სხვადასხვა მონაცემთში წარმოშობილი სხვადასხვა პირის საკუთრების უფლება. ერთ-ერთი მათგანის დაზუსტებული მონაცემების რეგისტრირებამ გამორიცხა შემდგომში მეორე პირის მიერ წარდგენილი დაზუსტებული მონაცემების დარეგისტრირება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“ რეგისტრირებული საკუთრების უფლება ხელყოფილ იქნა საჯარო რეესტრის ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართვის საფუძველზე, რომელმაც მიწის ნაკვეთზე ს/კ № (ფართობი – 8759 კვ.მ) ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკუთრების უფლება დაარეგისტრირა 2010 წლის 10 მაისს, იმ პირობებში როდესაც შპს „...“ რეგისტრირებული საკუთრების უფლება 2007 წელს უკვე არსებობდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლზე, რომელიც ადგენს თუ რა წარმოადგენს თვითმართველი ერთეულის საკუთრებას. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაშია: თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (ადგილობრივი მინიშვნელობის გზები, ქუჩები, ხეივნები, სკვერები და ა. შ.), გარდა კერძო საკუთრებაში არსებული, სახელმწიფო ქონებაზე დამაგრებული და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე დამაგრებული მიწებისა, აგრეთვე ის მიწები, რომელიც ექვემდებარება დასახელებული კატეგორიის ქონებაზე (სახელმწიფო ქონება და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საზოგადოების ქონება) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებას; საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას არ წარმოადგენს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. განცხადებას უნდა ერთვოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მარეგისტრირებული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებას-

თან დაკავშირებული წებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზებას, რომ საქმის მასალების მიხედვით არ დასტურდება ის გარემოება, რომ რეგისტრაციის მომენტისათვის სადაც მინის ნაკვეთი (150 კვ.მ) წარმოადგენდა საჯარო რეესტრში, მოსარჩელის სახელზე დაუზუსტებელი მონაცემებით, რეგისტრირებულ მინის ნაკვეთს, რაც გამორიცხავდა მარეგისტრირებელი ორგანოს მხრიდან ახალციხის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას. მოსარჩელის მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურში განცხადებასთან ერთად წარდგენილი იქნა ამონანერი საჯარო რეესტრიდან, ამონანერი მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან, წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი, ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტი და მინის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი, რაიონული სასამართლოს სხდომაზე მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის განმარტებით 2008 წლამდე ახალციხის რაიონში ელექტრონული ნახაზები არ არსებობდა (24.01.2012 სხდომის ოქმი) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახური ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართვის განხილვისას ვალდებული იყო გამოეკვლია ხდებოდა თუ არა მუნიციპალიტეტის სახელზე მინის ნაკვეთის რეგისტრაციისას სხვა პირის საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთის გადაფარვა. საქმეში არსებული აზომვითი ნახაზის ელექტრონული ვერსიით 18.07.2011 დასტურდება, რომ არსებობდა ზედდება რეგისტრირებულ მონაცემებთან.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლო სხდომაზე მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ წარდგენილ იქნა ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილება №... რეგისტრაციის შესახებ; სარეგისტრაციო ჩანანერის გაუქმების რეგისტრაცია, 2012 წლის 19 მარტის განცხადება, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 19 მარტის წერილი და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №16 განკარგულება ქალაქ ახალციხის მერიის 1998 წლის 31 ივლისის №7/70 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

საქმეში არსებული მტკიცებულებით – თბილისის სააპელა-

ციონ სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების თანახმად, შპს „...“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 19 მარტის №16 განკარგულება და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაევალა საქმის გარემოებათა გამოკვლევის და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი, გადაწყვეტილების ვანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის განმავლობაში. ასევე საქმეში დაცულია 2013 წლის 7 თებერვლის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი. შესაბამისად, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. კასატორისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლის განმარტებით, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სასამართლო გადაწყვეტილება არ აღსრულებულა.

ზემოაღნიშნული მტკაცებულებების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შპს „...“ საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი (ახალციხის მერიის 1998 წლის 31 ივლისის დადგენილება) დღევანდელი მდგომარეობით იურიდიული ძალის მქონეა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის განცხადებაზე, რომლის შესაბამისადაც მინის ნაკვეთი, რომლის რეგისტრაციასაც სადავოდ ხდის მოსაჩელე – №.... (ფართობი – 8 759) დღეის მდგომარეობით არ არსებობს, ხოლო ის ტერიტორია, რომლის რეგისტრაციასაც ითხოვდა მოსარჩელე ამჟამად მოხვედრილია (ზედღებაში) შემდეგი მინის ნაკვეთების საკადასტრო საზღვრებში: 1. №.....(ფართობი – 8094 კვ.მ, მესაკუთრე – ახალციხის მუნიციპალიტეტი) 2. №.....(682 კვ.მ, მესაკუთრე – ახალციხის მუნიციპალიტეტი) განცხადებას თან ერთვის განცხადებაში მითითებული ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაცია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ დაუშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდვას მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით, გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინის-

ტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ. საკასაციო პალატა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაუწყვეტილებას იღებს იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1. მუხლზე, რომლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო გალდებულია ადმინისტრაციული ნარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯვერების საფუძველზე. აგრეთვე, დაუმცვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. კონკრეტულ შემთხვევაში, მითითებული ნორმის მოთხოვნა მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას უგულვებელყოფილ იქნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ენინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლში მოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სავალდებულო წინაპირობები, რომლებიც მათი რეალიზების თვალსაზრისით, ამ მუხლში არა კუმულაციური, არამედ ალტერნატიული სახით არის წარმოდგენილი. ამასთან, არსებით დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ადმინისტრაციული ორგანოს მი-

ერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებას წარმოადგენს საქმეში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გამოკვლევა და სწორი სამართლებრივი შეფასება.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეში არსებული მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ მოსარჩელე შპს „...“ ახალციხის მერიის 1998 წლის 31 ივლისის დადგენილებით ქ. ახალციხეში, ... ქუჩაზე კინოთეატრ „...“ მახლობლად არქიტექტურის განყოფილების მიერ შედგენილი სქემის მიხედვით გამოეყო სარგებლობის უფლებით 150 მ<sup>2</sup> მიწის ფართობი. იმ პირობებში, როცა მიწის ნაკვეთზე პრეტენზიას აცხადებს ორივე მხარე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახური ვალდებულია განიხილოს განცხადება და საკითხის ხელახლა განხილვისას გამოიკვლიოს და იმსჯელოს, არის თუ არა მოსარჩელისთვის გამოყოფილი და მოპასუხის საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი იდენტური, კერძოდ ახალციხის მუნიციპალიტეტის სახელზე რეგისტრირებულ (ფართობი – 8 094) მიწის ნაკვეთში შედის თუ არა შპს „...“ საკუთრებაში არსებული 150 კვ. მ მიწის ნაკვეთი (მდებარე: ახალციხე, ... ქ. კინოთეატრ ... მიმდებარე ტერატორია) ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აღნიშნული საკითხის გარკვევისას იხელმძღვანელოს საკადასტრო აზომვითი ნახაზების ელექტრონული ვერსიებით, საიდანაც ცალსახად იკვეთება გადაფარვის ფაქტი. ამ კონკრეტული გარემოების შეფასება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამდენად, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გამოიკვლიოს და შეაფასოს საქმის გარემოებები, აღნიშნული გამოიწვევს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახური) დისკრეციულ უფლებამოსილებაში შეჭრას.

სასამართლო მიუთითებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმადაც სარეგისტრაციო წარმოების განმავლობაში მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, თუ სარეგისტრაციო წარმოდგენილი უფლების საგანზე რეგისტრირებულია სხვა უფლება. ად-

მინისტრაციული ორგანოს რეგისტრაციის მოთხოვნის პირობებში უნდა გადაემოწმებინა სარეგისტრაციოდ წარდგენილ მინაზე იყო თუ არა რეგისტრირებული სხვისი საკუთრების უფლება რაც არ შეასრულა.

ამდენად, ადმინისტრაციულ ორგანოს ექლევა შესაძლებლობა საქმისათვის არსებოთი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადო გამოკვლევის შედეგად მიიღოს კონკრეტული შემთხვევისათვის სათანადო გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მარტის განჩინების გაუქმებისა და შპს „...“ საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1. მუხლის საფუძველზე მოპასუხებს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს ახალციის სარეგისტრაციო სამსახურსა და ახალციის მუნიციპალიტეტის გამგეობას თანაბარწილად უნდა დაეკისროთ შპს „...“ სარგებლოდ მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 550 ლარის ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 411-ე, მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

- შპს „...“ საკასაციო საჩივრი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
- გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მარტის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
- შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
- ბათილად იქნას ცნობილი ახალციის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2010 წლის 4 მაისის №477/4 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სადაც გამხდარი (150 კვ.მ) მიწის ნაკვეთის ნაწილში;

5. სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნას ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სადავოდ გამხდარი 150 კვ-მ მიწის ნაკვეთის ნაწილში და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

6. ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურს თანაბარნილად დაეკისროთ შპს „...“ მიერ სამივე ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 550 ლარის გადახდა;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლებით რეგისტრაცია

### განხილვა

№ბს-898-880(კ-12)

9 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. ვაჩაძე  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა;

### აღნერილობითი ნაწილი:

2012 წლის 7 მარტს გ. კ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და აჭარის ა.რ. მთავრობის მიმართ,

რომლითაც მოითხოვა: აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2011 წლის 26 სექტემბრის №... მიმართვის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, გ. კ-ის მფლობელობაში არსებული მინის ნაკვეთის ნაწილში; გ. კ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ აჭარის ა.რ. მთავრობის 2012 წლის 27 მარტის №61 ბრძანების ბათილად ცნობა; სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 22 ნოემბრის №... გადაწყვეტილების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ 2011 წლის 30 დეკემბრის №... გადაწყვეტილებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 7 თებერვლის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩევე გ. კ-ის სარჩევი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და აჭარის ა.რ. მთავრობის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ, არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს ხელვაჩაურის ადგილობრივი არქივის 2011 წლის 14.09 ცნობით, მოსარჩევე გ. კ-ის (მცხოვრები ... 1-ლი შესახვევი, №3) კომლს 1994-2006 წლებში პირად სარგებლობაში ანერია 0.15 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. ... რაიონის სახელობის ბათუმის მეცხოველეობის სანაშენე სახელმწიფო მეურნეობის 1994 წლის 4 ივნისს ბრძანებით დაკმაყოფილდა მეურნეობის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსარჩევე გ. კ-ისა და მასთან ერთად სხვა ხუთი პიროვნების მოთხოვნა საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფა-დაკანონების შესახებ და გადაწყდა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1994 წლის 25 თებერვლის №41 გადაწყვეტილებით მეურნეობისათვის გამოყოფილი 20,2 ჰექტარი საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ფონდიდან გაფორმებოდა თითოეულს, 0,15 ჰექტარი მიწის ნაკვეთი.

დადგენილია და მოპასუხე მხარეს სადაცოდ არ გაუხდია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩევე გ. კ-ე ... დასახლება-

ში დღემდე ფლობს მიწის ნაკვეთს და სარგებლობს მისით.

აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2011 წლის 8 აპრილის №... მიმართვის საფუძველზე სახელმწიფოს საკუთრებად დარეგისტრირდა ... დასახლებაში მდებარე 417 441 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს პერიოდულად გაეგზავნა 12 აპრილის №..., 16 ივნისის №..., 26 სექტემბრის №..., 5 ოქტომბრის №... და 9 ნოემბრის №... მიმართვები, სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრირებული, ... დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთის შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაციის შესახებ, მიწის ნაკვეთის დაზუსტებული აზომვითი ნახაზის და ელექტრონული ვერსიის მიხედვით.

ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 2 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით დასრულებულ იქნა ... დასახლებაში მდებარე 398 710 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების დაზუსტების რეგისტრაცია.

გ. კ-ემ 2011 წლის 16 ნოემბერს განცხადებით და თანდართული დოკუმენტებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს და როგორც მართლზომიერმა მფლობელმა, მოითხოვა მის მფლობელობაში არსებულ ... დასახლებაში მდებარე 0,15 ჰექტარი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში რეგისტრაცია.

სარეგისტრაციო სამსახურმა 2011 წლის 22 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით გ. კ-ეს განცხადებაზე, ... დასახლებაში მდებარე 0,15 ჰექტარი მიწის ნაკვეთის საკუთრებაში რეგისტრაციის თაობაზე იმ საფუძვლით შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოება, რომ მის მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილი და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება, განცხადებას თანდართული საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით, წარდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები არ შეესაბამებოდა მომიჯნავე უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს და მიწის ნაკვეთის საზღვრები იჭრებოდა მომიჯნავე მის ნაკვეთის საზღვრებში, კერძოდ, ზედდება იყო მონაცემებთან: ... კოდზე. სარეგისტრაციო სამსახურმა მიიჩნია, რომ ამის შესაბამისად, წარსადგენი იყო კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი.

გ. კ-ემ 2011 წლის 30 ნოემბერს განცხადებით მიმართა აჭა-

რის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, საკითხის გა-  
სარკვევად, თუ რატომ იყო მისი მიწის ნაკვეთი ზედდებაში სა-  
ხელმწიფო საკუთრებასთან და მოითხოვა თავისი მიწის ნაკვე-  
თის ზედდების ნაწილში განხორციელებული რეგისტრაციის სა-  
ფუძვლის გაუქმება. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მი-  
ნისტრის პირველი მოადგილის 2012 წლის 20 იანვარს №... წერი-  
ლით გ. კ-ეს ეცნობა, რომ წარდგენილი დოკუმენტაციით ვერ  
დაგინდებოდა განცხადებით მოთხოვნილი მიწის ნაკვეთისა და  
საკადასტრო აზომვით წარადგილი მონაცემების იდენ-  
ტიფიცირება, რაც აუცილებელი იყო მოცემულ საკითხზე გა-  
დაწყვეტილების მისაღებად და აღნიშნულის გათვალისწინებით,  
არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი მოთხოვნის დაკ-  
მაყოფილებისათვის, რომ 0,15 ჰა საკარმიდამო მიწის ნაკვეთი  
სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირებული იქნა 2011 წლის  
26 სექტემბერს, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინის-  
ტროს №... მიმართვის საფუძველზე.

გ. კ-ემ 2012 წლის 28 თებერვალს ადმინისტრაციული საჩივ-  
რით მიმართა აჭარის ა.რ. მთავრობის აპარატს, რომლითაც მო-  
ითხოვა ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2011 წლის 26  
სექტემბრის №... მიმართვის ბათილად ცნობა. აღნიშნულ საჩი-  
ვართან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოე-  
ბა, 2012 წლის 19 მარტს საქმეზე გაიმართა ზეპირი ადმინის-  
ტრაციული მოსმენა, რომელსაც ესწრებოდნენ დაინტერესებუ-  
ლი მხარეები. საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების, მხარე-  
თა განმარტებებისა და ზეპირი მოსმენის ოქმის გამოკვლევის  
საფუძველზე, აჭარის ა.რ. მთავრობის 2012 წლის 27 მარტის №61  
ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაქმაყოფილდა.

ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 30 დეკემ-  
ბრის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება გ. კ-ის  
განცხადებასთან დაკავშირებით შეწყდა, იმ საფუძვლით, რომ  
სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებუ-  
ლი პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღ-  
მოხსერის დამადასტურებელი დოკუმენტი.

გ. კ-ემ 2012 წლის 2 თებერვალს ადმინისტრაციული საჩივ-  
რით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოით-  
ხოვა სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ ბაათუმის  
სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 30 დეკემბრის №... გა-  
დაწყვეტილების გაუქმება და მოთხოვნილ უძრავ ნივთზე მისი  
საკუთრების უფლების რეგისტრაცია. საჯარო რეესტრის ეროვ-  
ნული სააგენტოს 2012 წლის 7 თებერვლის №... გადაწყვეტილე-  
ბით გ. კ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაქმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას იხელმძღვანელა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დებულებით“, „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონით, „საჯარო რეგისტრის შესახებ“ კანონით, „აჭარის ა.რ. ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ა.რ. კანონით, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ა.რ. საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ კანონით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს“ დებულებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის მტკიცება, რომ აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს არ გააჩნდა სამართლებრივი უფლება და საფუძველი, ... დასახლებაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 398 710 კვ.მ. მინის ნაკვეთზე სახელმწიფოს საკუთრებაში დარეგისტრირება მოეთხოვა და რომ ამას ხელს უშლიდა ... დასახლებაში მდებარე 0,15 ჰექტარ მინის ნაკვეთზე მოსარჩელე გ. კ-ის საკუთრების უფლება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მიწა, რომელზედაც დადგენილი წესით არ არის რეგისტრირებული ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრება, წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. თუ საჯარო რეგისტრში არ არსებობს შესაბამისი ჩანაწერი, რომელიც დაადასტურებს კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე კერძო საკუთრების უფლების არსებობას, ეს მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას და საჯარო რეგისტრში სახელმწიფო საკუთრების უფლების რეგისტრაციის შედეგად ხდება უკვე არსებული უფლების რეალიზება და არა მიწის სამართლებრივი სტატუსის შეცვლა.

სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლ პუნქტზე, რომლის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვა, განკარგვა და სარგებლობაში გადაცემა ამ კანონით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში შეიძლება განახორციელონ სამინისტროს შესაბამისა სტრუქტურულმა ერთეულებმა. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკისა სამინისტროს დებულების“

დამტკიცების შესახებ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 1 მაისის №44 დადგენილებით დამტკიცებულ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დებულების“ მე-9 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის თანახმად, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის და პრივატიზაციის დეპარტამენტის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვა და მართვა.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სხვა სუბიექტებისაგან განსხვავებით, სახელმწიფოს თავისი უფლების რეგისტრაციისათვის, საგალდებულოდ არ მოეთხოვება საკუთრების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტის წარდგენა, რადგან სახელმწიფოს თავიდანვე გააჩნია საკუთრება მიწაზე, გარდა სხვა პირთა კერძო საკუთრებაში უკვე რეგისტრირებული მინებისა. თუ საჯარო რეესტრში არ არსებობს ჩანაწერი, რომლიც დაადასტურებდა კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე კერძო საკუთრების არსებობას, ეს მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და საჯარო რეესტრში რეგისტრაციით ხდება არსებული ფაქტის დაფიქსირება.

სასამართლომ შეუთითა სადაცო მიწის ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის პერიოდისათვის მოქმედი „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ე“ პუნქტზე, რომლის თანახმად, სარეგისტრაციო დოკუმენტს წარმოადგენდა სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს ამ კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას; აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელმა უძრავი ნივთის სახელმწიფოს სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის დროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურს წარუდგინა უფლების დამადასტრურებელი დოკუმენტი, სამინისტროს 2011 წლის 26 სექტემბრის №... მიმართვა და შესაბამისი საკადასტრო ნახაზი, რაც საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის კანონით გათვალისწინებულ საკმარის საფუძველს წარმოადგენდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩევე ... დასახლებაში ნამდვილად ფლობდა მიწის ნაკვეთს, თუმცა ის არ იყო საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული ამ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქმეში არსებული მასალებით არ დასტურდება, სად გამოყენება გ. კ-ეს 0.15 პა მიწის ნაკვეთი. მოიცავს, თუ არა სახელმწიფოს საკუთრებად დარე-

გისტრირებული მიწის ნაკვეთი მოსარჩელის მფლობელობაში არ-სებულ მიწის ნაკვეთს. საქმეში არ მოიპოვება და ვერც მოსარჩელის მიერ იქნა წარმოდგენილი მისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის მიზომვის, ან მიღება-ჩაბარების აქტი, რითაც მოხდებოდა ნაკვეთის საზღვრების დადგენა და მისი ამ გზით იდენტიფიცირება. მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება მის მიერ მითითებული იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ სწორედ სახელმწიფოს საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი ფარავს მისთვის თავის დროზე გამოყოფილ მიწის ნაკვეთს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის დროს წინააღმდეგობის დადგენა გ·კ-ის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემებსა და სარეგისტრაციოდ წარდგენილ მიწის ნაკვეთზე სახელმწიფოს საკუთრების დაზუსტებულ უფლებას შორის, შეუძლებელი იყო, რამდენადაც მოსარჩელის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები არსად არ ყოფილა აღრიცხული.

სასამართლომ მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, რეგისტრაცია წარმოებს, როგორც უშუალოდ სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტების, აგრეთვე ამ დოკუმენტაციის სათანადო ნესით შექმნილი ელექტრონული ასლების საფუძველზე.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფოს სახელზე უძრავი ნივთის საკუთრების უფლების რეგისტრაციის დროისათვის არ არსებობდა იმ დროს მოქმედი „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების და 23-ე მუხლით გათვალისწინებული რეგისტრაციაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძვლები.

სასამართლომ მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობს ინსტრუქციით განსაზღვრული ზედღება, ან მათში მოცემული უძრავი ნივთის ფართობი, გარდა ინსტრუქციით გათვალისწინებული შემთხვევებისა აღმატება უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულ უძრავი ნივთის ფარ-

თობს.

სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან გ. კ-ის განცხადებას თანადართული საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით, წარდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები არ შეესაბამებოდა მომიჯნავე უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს და მიწის ნაკვეთის საზღვრები იჭრებოდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში, კერძოდ, ზედდება იყო სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავი ქონების მონაცემებთან: ... კოდზე, ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურმა 2011 წლის 22 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით გ. კ-ის განცხადებაზე შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოება, შეჩერების მიზეზად კი მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება. სარეგისტრაციო სამსახურმა მიიჩნია, რომ ამის შესაბამისად წარსადგენი იყო კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი ინფორმაცია ან დოკუმენტი; კანონის მითითებული დანაწესის თანახმად, ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 30 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება გ. კ-ის განცხადებასთან დაკავშირებით შეწყდა, იმ საფუძვლით, რომ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 22 ნოემბრის და 2011 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებები, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებისა და შეწყვეტის თაობაზე და გ. კ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 7 თებერვლის №... გადაწყვეტილება, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად არის მიღებული.

სასამართლომ მიიჩნია, რომ აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ სრულყოფილად გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტი-

ლება გ. კ-ის მოთხოვნაზე უარის შესახებ ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიიღო. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გ. კ-ის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით ვერ დგინდებოდა მოთხოვნილი მიწის ნაკვეთისა და საკადასტრო აზომვით ნახაზზე დატანილი მონაცემების იდენტიფიცირება, სამინისტროს მიერ შეუძლებელი იყო გ. კ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილება და სახელმწიფოს საკუთრების უფლების მიმართ უკვე განხორციელებული რეგისტრაციის საფუძვლის გაუქმება, მოსარჩელის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ზედდების ნაწილში.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების წესის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

სასამართლომ მიიჩნია, რომ აჭარის ა.რ. მთავრობის მიერ სწორად იქნა შეფასებული საქმის გარემოებები და შესაბამისად სწორად ჩაითვალა, რომ აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2011 წლის 26 სექტემბრის №... მიმართვა კანონშესაბამის აქტს წარმოადგენდა, რის გამოც აჭარის ა.რ. მთავრობამ საქართველოს ზაკ-ის 201-ე მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული წესის მიხედვით, მიიღო 2012 წლის 27 მარტის №61 ბრძანება, გ. კ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თაობაზე, რაც ასევე კანონშესაბამის აქტს წარმოადგენს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. კ-ის სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა, რის გამოც სარჩელი არ დაქმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. კ-ებზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 სექტემბრის განჩინებით გ. კ-ის სააპელაციო საჩივრაზე არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი შეფასება მისცა წარმოდგენილ მტკიცებულებებს, სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი შეფასება მისცა სადაც სამართალურთიერთობას. ასევე აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ფაქტობრივად და სამართლებრივად დასაბუ-

თებულია სრულად, სააპელაციო საჩიგარში მოყვანილი გარე-მოებები არ შეიცავს საქართველოს სსკ-ის 393-ე, 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს, ამიტომ იგი დატოვა უცვლელად. შესაბა-მისად აპელანტს სააპელაციო საჩიგრის დაკმაყოფილებაზე ეთ-ქვა უარი უსაფუძვლობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 სექტემბრის განჩინება საკასა-ციო წესით გაასაჩივრა გ. კ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გან-ჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ არ გამოიყენა კა-ნონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და საქართველოს კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლო-ბელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთ-რების უფლების აღიარების შესახებ“.

კასატორის განმარტებით, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონო-მიკის სამინისტროს აქტი (№01-10-3617) უკანონოა და არსებობს მისი ბათილად ცნობის აბსოლუტური საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლის შესაბამი-სად, რადგან სამინისტრო აქტის გამოცემამდე ვალდებული იყო შეეგროვებინა დოკუმენტები, მოესმინა დაინტერესებული მხა-რისათვის, დაეთვალიერებინა დასარეგისტრირებელი მიწის ნაკ-ვეთი და გამოეყენებინა შესაბამის დაწესებულებებში (საარქი-ვო სამმართველოში) დაცული მონაცემები აღნიშნული საკით-ხის გასარკვევად. კასატორი მიიჩნევს, რომ სამინისტროს ზეკ-ის ზემოაღნიშნული ნორმით რომ ეხელმძღვანელა დაადგენდა, რომ მიწის ნაკვეთის უდიდესი ნაწილი, რომლის რეგისტრაციაც მიმართვის საფუძველზე განახორციელა ნარმოადგენდა მის სა-კარმიდამო მიწის ნაკვეთს, რომლის იდენტიფიკაციის შესაძ-ლებლობა არსებობს საარქივო სამმართველოში დაცული საკომ-ლო ამონანერით და თანდართული ბრძანებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 4 თებერვლის განჩინებით გ. კ-ის საკასაციო საჩივარი მიწნეულ იქნა დასაშვებად და განისაზღვრა მისი განხილვა მხარეთა დასწრებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწ-მა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულო-

ბა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ გ. კ-ის საკასაციო საჩივარი უწდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევით, არასრულყოფილადაა გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაც იძლევა განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით განსაზღვრულ საფუძველს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407.2 მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: გ. კ-ებ 2011 წლის 16 ნოემბერს განცხადებით მიმართა ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა მის მფლობელობაში არსებულ, ... დასახლებაში მდებარე 0,15 ჰექტარი არასასოფლო-სამურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთის ქ. ბათუმი დასახლება ... [ზონა: ბათუმი, სექტორი: 00]. საკუთრებაში რეგისტრაცია განმცხადებელმა სარეგისტრაციო განცხადებას თან დაურთო 1) დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; 2) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი; 3) აზომვითი ნახაზი და ელვერისა; 4) არქივის ცნობა.

გ. კ-ის სარეგისტრაციო განცხადებაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის №... (22.11.2011) გადაწყვეტილებით შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდნ სარეგისტრაციოდ წარდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებს შორის არსებობდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება, კერძოდ განცხადებას დართული საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით, წარდგენილი მინის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები არ შეესაბამება მომიჯნავე უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს და მინის ნაკვეთი იჭრება მომიჯნავე მინის ნაკვეთის საზღვრებში (კერძოდ ზედდებაა შეჩერებულ ... კოდზე) და წარსადგენი იყო კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი. განმცხადებელს ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 30 კალენდარული დღე და განემარტა, რომ აღნიშნულ ვადაში დოკუმენტის წარუდგენლობის შემთხვევაში სარეგისტრაციო წარმოება შეწყდებოდა. საქმეში დაცულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო

სამსახურის №... გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის თაობაზე, რაც უცვლელად დარჩა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოების დადგენას, გ. კ-ის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია წარმოადგენდა თუ არა მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის განხორციელების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანს წარმოადგენს მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფო საკუთრების მინაზე ფიზიკური, კერძო სამართლის იურიდიული პირების ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნების საკუთრების უფლების აღიარებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მინის ფონდის ათვისება და მინის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა. ამავე კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინას წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე, რომელზედაც (მინის ნაკვეთზე ან შენობა-ნაგებობაზე) ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს ან კანონით გათვალისწინებულ სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნეს მართლზომიერი მფლობელობის უფლება წარმოეშვა ამ კანონის ამოქმედებამდე, ასევე ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხული, 1994 წლამდე თვითნებურად დაკავებული მინა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის მე-4<sup>1</sup> მუხლის თანახმად, მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელიც აღნიშნულ

უფლებამოსილებას ახორციელებს კანონით დადგენილი წესით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარება ხორციელდება უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში მართლზომიერი მფლობელის (მოსარგებლის) საკუთრების უფლების რეგისტრაციით.

აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის დასადასტურებლად დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს: მინის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტი; მინის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი; საკუთრების უფლების აღიარების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტები; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

საკართველოს სამართლო აღნიშნავს, რომ „ფიზიკური და ეკრძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „გქვეყნებული შესაბამისად, მინის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტებია: ცნობა-დახასიათება თანდართული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საკომლო წიგნიდან ამონანერი, მებაღის წიგნაკი, „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილების შესაბამისად სოფლის (დაბის) ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით შექმნილ მინის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი და სოფლის (დაბის) ყრილობაზე (საერთო კრებაზე) დამტკიცებული მინების განაწილების სია თანდართული მინის გამოყოფის გეგმით ან მის გარეშე, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინით სარგებლობისათვის სარეგისტრაციო პერიოდში მოქმედი საგადასახადო სია, „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ სა-

ქართველოს კანონის ამოქმედებამდე, ხოლო სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში ასევე აღნიშნული კანონის ამოქმედების შემდეგ, დადგენილი წესით, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ გაცემული მინის ნაკვეთის მიმაგრების აქტი ან მინის ნაკვეთის გეგმა, სასამართლოს აქტი ან/და სხვა დოკუმენტი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მფლობელობა არის ფაქტი და მართლზომიერ მფლობელად ითვლება ყველა ის პირი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე ახორციელებს ნივთის მიმართ ფაქტობრივ ბატონობას.

ცალსახაა, რომ მართლზომიერი მფლობელობისათვის საჭიროა, რომ პირი მართლზომიერი საფუძვლით იყოს ნივთს დაუფლებული და მართლზომიერად განაგრძობდეს მის მფლობელობას (სარგებლობას).

საკასაციო სასამართლო არაარგუმენტირებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას კასატორის უფლებების ნაწილში, კერძოდ, იმის თაობაზე, რომ საჯარო რეესტრში არ არსებობდა შესაბამისი ჩანაწერი, რომელიც დაადასტურებდა კონკრეტულ სადავო მინის ნაკვეთზე კერძო საკუთრების უფლების არსებობას, რაც წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია გ. კ-ის მიერ სასამართლოში ვერ იქნა წარმოდგენილი სახელმწიფო მეურნეობის 1994 წლის 4 ივლისის ბრძანების ხელმოწერილი და სათანადო ბეჭდით დამოწმებული ეგზიმპლარი, თუმცა ასეთი დოკუმენტი ვერც სასამართლოს გამოთხვის შემდეგ ვერ იქნა წარმოდგენილი ხელვაჩაურის ადგილობრივი არქივის მიერ. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხელვაჩაურის ადგილობრივი არქივის მიერ 2012 წლის 7 მაისის წერილიდან ირკვევა, რომ არქივში არ არის დაცული ბრძანების გაგრძელებითი ფურცელი, სადაც ხელს აწერს დირექტორი და მტკიცდება ორგანიზაციის ბეჭდით. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ მტკიცებულების წარუდგენლობა ობიექტური გარემოებითაა განპირობებული. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული მინის ნაკვეთის რეალური მფლობელობის ფაქტი სადავოდ არ ქცეულა და მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ სადავო მინის ნაკვეთი ნამდვილად მოსარჩელის ფაქტობრივ მფლობელობაშია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გა-

დაწყვეტილება საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე მიიღო. კასატორი მიუთითებს, რომ არ მოხდა თავად სარეგისტრაციო სამსახურში დაცული დოკუმენტების მოძიება და ურთიერთშეფასება. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გ. კ-ეს ისე ეთქვა უარი მოთხოვნის დაქმაყოფილებაზე, რომ ადმინისტრაციულ ორგანოებს არ გამოუკვლიათ საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათ ობიექტური შეფასების საფუძველზე არ მიუღიათ გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ არც ადმინისტრაციულ ორგანოებს და არც სასამართლოს არ უმსჯელია და სათანადო არ შეუფასებია ის დოკუმენტაცია, რომელიც არსებობდა სადაც აქტების გამოცემამდე.

საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს შემდეგ გარემოებებს: 1) აჭარის ა.რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს ხელვაჩაურის ადგილობრივი არქივის 2011 წლის 14.09 ცნობით, გ. კ-ის (მცხოვრები ... 1-ლი შესახვევი, №3) კომლს 1994-2006 წლებში პირად სარგებლობაში აწერია 0,15 ჰექტარი მიწის ნაკვეთი; 2) მოსარჩელე საკომლო წიგნად არსებული ამონაწერით დასტურდება, რომ გ. კ-ეს პირად სარგებლობაში 1994-2006 წლებში აწერია 0,15 ჰექტარი მიწის ნაკვეთი; 3) ... რაიონის სახელობის ბათუმის სანაშენე სახელმწიფო მეურნეობის 1994 წლის 4 ივლისის ბრძანებით დაკამაყოფილდა მეურნეობის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსარჩელე გ. კ-ისა და მასთან ერთად სხვა ხუთი პიროვნების მოთხოვნა საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფადაკანონების შესახებ და გადაწყდა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1994 წლის 25 თებერვლის №41 გადაწყვეტილებით მეურნეობისთვის გამოყოფილი 20,2 ჰექტარი საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ფონდიდან გაფორმებოდა თითოეულს 0,15 ჰექტარი მიწის ნაკვეთი;

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გ. კ-ის უფლება სადაც მიწის ნაკვეთზე დასტურდება ზემოაღნიშნული მტკიცებულებებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ საქმეში არსებული მასალებით არ დასტურდება, თუ კონკრეტულად სად ჰქონდა გამოყოფილი გ. კ-ეს მიწის ნაკვეთი, რამდენადაც ამის შესახებ არ არის მითითებული ... რაიონის სახელობის ბათუმის მეცხოვე-

ლეობის სანაშენე სახელმწიფო მეურნეობის 1994 წლის 4 ივლის სის ბრძანებაში. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ზემოაღნიშნული ბრძანებიდან ცალსახად დგინდება, რომ აჭარის ა.რ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1994 წლის №41 გადაწყვეტილებით მეურნეობაზე გამოყოფილი 20,2 ჰა-დან 0,15 ჰექტარი გამოყოფილი გ. ს. ძე კ-ეს. ამდენად, მართალია კონკრეტულად არ არის მითითებული, თუმცა მოსარჩელის მიერ წარდგენილ სხვა საკუთრების უფლებადამდგენ დოკუმენტებთან ერთობლიობაში ანალიზის შედეგად (საკომლო ამონაწერი, საარქივო ცნობა) შესაძლებელია დადგენა კონკრეტულად სად გამოყოფილი გ. კ-ეს მინის ნაკვეთი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ გ-ის ქონებრივი მდგომარეობის განსაზღვრის სამართლებრივი დოკუმენტები იურიდიული ძალის მქონეა და არ გაუქმებულა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 1996 წლის „მინის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 7.1. მუხლის თანახმად, ყოველ რეგისტრაციულაში ინახება მინის და სხვა უძრავი ქონების სააღრიცხვო (საარეგისტრაციო) ბარათები და სარეგისტრაციო რეკვეში. სააღრიცხვო ბარათზე მოცემული ჩანაწერები არის ამ ქონებასთან დაკავშირებით სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის ძირითადი იურიდიული საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკლევა და სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების შსჯელობას გასაჩივრებული აქტების კანონიერების თაობაზე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ როგორც ადმინისტრაციული ორგანოები, ასევე, ქვედა ინსტანციის სასამართლოები განსახილებლ საკითხს ფორმალურად მიუდგნენ და არ იმსჯელეს მოსარჩელის არგუმენტებზე. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის წინააღმდეგობრივი, ის ერთის მხრივ აღიარებს მინის ნაკვეთის მოსარჩელისადმი კუთვნილებას ფორმალურად, ხოლო მეორეს მხრივ სასამართლო თავის გადაწყვეტილებით გამორიცხავს, ფაქტობრივად უარყოფს საკუთრებას, ვინაიდან არც სასამართლო და

არც საჯარო რეესტრის სამსახური არ უთითებს გ. კ-ის საკუთრებაში მყოფი ნაკვეთის რაიმე სხვა ადგილმდებარეობას. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გატარებული ზომების შედეგად პირის უძრავი ქონება გამოუყენებადი ხდება.

საკასაციო სასამართლოს სურს ყურადღება მიაქციოს კანონით დეკლარირებულ უფლებაზე და თვლის, რომ სარჩელის უარყოფის შემთხვევაში, ცალსახად უნდა გამოირიცხოს საკუთრების უფლების ხელყოფის შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო არასწორად მიუდგა სადავო საკითხს და არასათანადო სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმე განხილულია ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის გარეშე.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო რეგისტრაცია საჯარო რეესტრში განხორციელდა აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2011 წლის 26 სექტემბრის №... მიმართვის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენს. „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 8.1 მუხლის თანახმად, უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველი. მოსარჩელის სამართლებრივ ინტერესს რეგისტრაციის ბათილობასთან ერთად ბუნებრივია შეადგენს იმ საფუძვლის მოსპობა, რომელიც ქმნის ქონების რეგისტრაციის ერთადერთ სამართლებრივ პირობას და რომლითაც მოსარჩელის (კასატორის) მოსაზრებით შეილახა მისი, როგორც მესაკუთრის, უფლება. ქონების რეგისტრაციის რეგულირების სფეროში სხვადასხვა დროს მოქმედი კანონმდებლობა რეგისტრაციის ფაქტს უკავშირებს უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს, შესაბამისად აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, როგორც სამართლის სუბიექტი, ამ თვალსაზრისით გამონაკლისა არ ქმნის. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვა, განკარგვა და სარგებლობაში გადაცემა ამ კანონით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში შეიძლე-

ბა განახორციელონ სამინისტროს შესაბამისმა სტრუქტურულ-  
მა ერთეულებმა.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონო-  
მიკის სამინისტროს დეპულების“ დამტკიცების შესახებ, აჭა-  
რის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 1 მაი-  
სის №44 დადგენილებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიუ-  
რი რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დე-  
ბულების“ მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აჭარის ა.რ.  
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვისა და  
პრივატიზების დეპარტამენტის ძირითად ამოცანას წარმოად-  
გენს სახელმწიფოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სა-  
კუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვა და მართვა. მოცე-  
მულ შემთხვევაში აშკარაა, რომ გადაწყვეტილების მიღება, აჭა-  
რის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახელზე ქო-  
ნების აღრიცხვის თაობაზე მიმართვის წარდგენა, საჭიროებდა  
საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევას. სამინისტროს  
ჰქონდა შესაძლებლობა გაერკვია დაინტერესებული პირის ვი-  
ნაობა, რომლის სამართლებრივი მდგომარეობაც გაუარესდე-  
ბოდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-  
ტის გამოცემით. აღნიშნული შესაძლებელი იყო საარქივო ცნო-  
ბის მეშვეობით, საკომილო წიგნის ამონანერით, აგრეთვე ადგი-  
ლის დათვალიერებით, მეზობლების გამოკითხვით მიღებული  
ინფორმაციების შესავლით. ამდენად, ადმინისტრაციული ორ-  
განო ვალდებული იყო ეცნობებინა დაინტერესებული პირისათ-  
ვის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ (სზაკ 95.2 მუხ.). ად-  
მინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული პირის მონაწი-  
ლეობა აძლევს მას შესაძლებლობას დაიცვას თავისი უფლებე-  
ბი და პასუხობს პირის მოლოდინს, იმსათან დაკავშირებით, რომ  
მის მიმართ კანონიერი და დასაბუთებული აქტი გამოიცემა.  
სზაკ-ის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაცი-  
ული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება  
დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე  
ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შეს-  
წავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. საკასაციო სა-  
სამართლო თვლის, რომ ადმინისტრაციული წარმოებისას და-  
ცული არ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვ-  
ნები ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებასთან დაკავშირე-  
ბით. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაცი-  
ული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის  
მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარე-  
მოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე

(სზაკ-ის 96-ე მუხ.). ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის გადაწყვეტისას მტკიცებულებათა მოპოვების გზით უნდა დაედგინა საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი სამართლუროიერთობის შეფასებისას სააპელაციო სასამართლო ყურადღება არ გაამახვილა მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე და შემოიფარგლა იმაზე მითითებით, რომ რადგან საჯარო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული გ. კ-ის საკუთრების უფლება მაშასადამე სადაც მიწის ნაკვეთი სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგნდა.

საქმის ხელახლა არსებითად განხილვის პროცესში გამოკვლეული უნდა იყოს, რამდენად იძლევა საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტები სამართლებრივ საფუძველს, დადგინდეს გ. კ-ის მხრიდან მართლზომიერი მფლობელობის ფაქტი, რაც ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე შესაძლებელს გახდის რეგისტრაციას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკუთრება არის ფაქტი და დაუშვებელია ბუნებაში მისი ზოგადი, აბსტრაქტული სახით არსებობა იმ ძირითადი ელემენტების გარეშე, რაც საკუთრების უფლებას განასხვავებს სხვა სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფიქცია არა ის ქონება რომელსაც პირი რეგისტრაციის საფუძველზე ფლობს, არამედ ფიქცია თავად რეგისტრირებული მონაცემების უტყუარობა, შესძაბისად, დაუშვებელია რეგისტრირებული მონაცემები და ნამდვილი მდგომარეობა არ შევსაბამებოდეს ერთმანეთს.

საკასაციო პალატა დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებით მნიშვნელობას ანიჭებს საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილ გამოკვლევას და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს ფაქტი იმის თაობაზე, აქეს თუ არა ადგილი გ. კ-ისთვის გამოყოფილი და აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახელზე რეგისტრირებული საკადასტრო კოდი: ... მიწის ნაკვეთების იდენტურობას, უფლებამოსილი ორგანოს მიერ სხვადასხვა პერიოდში ერთი და იგივე მიწის ნაკვეთის განკარგვას და ასევე არსებობს თუ არა მათ შორის გადაფარვა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გამორკვევას მნიშვნელობა აქეს დავაზე სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის. გარდა აღნიშ-

ნულისა, სააპელაციო სასამართლომ კანონიერად მიიჩნია მონინააღმდეგე მხარის – აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახელზე განხორციელებული რეგისტრაცია იმდასაბუთებით, რომ მოსარჩევეს საკუთრებაში არ აღურიცხავს სადაც მიწის ნაკვეთი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით თუ საჯარო რეესტრში არ არსებობს შესაბამისი ჩანაწერი, რომელიც დაადასტურებს კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე კერძო საკუთრების უფლების არსებობას, ეს მიწის ნაკვეთი ნარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას და საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის შედეგად ხდება უკვე არსებული უფლების რეალიზება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩევე სწორედ იმაზე აპელირებს, რომ სადაც მიწა მის მართლზომიერ მფლობელობაშია და მას ერთმევა მისი საკუთრებად აღრიცხვის უფლება, რასაც „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონი ანიჭებს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ რეგისტრაცია განხორციელდა კანონიერად, უფლებისდამდგენი დოკუმენტების საფუძველზე და არ არსებობდა რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სარეგისტრაციო ნარმოების კანონიერების შემონმებისას სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა ურთიერთშესაბამისობაში იყო თუ არა მონინააღმდეგე მხარეთა მიერ სარეგისტრაციოდ ნარდგენილი დოკუმენტაცია. „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანო მართალია პასუხს არ აგებს ნარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, მაგრამ იგი პასუხისმგებელია რეგისტრირებული მონაცემებისა და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობაზე.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს საქმის განხილვისას უნდა გამოიერელია მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ სწორად განხორციელდა თუ არა რეგისტრაცია და ნარდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებდა თუ არა მათ უფლებას მიწის ნაკვეთის სადაც ნანილზე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გამორკვევას მნიშვნელობა აქვს დავაზე სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის,

რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 სექტემბრის განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სასამართლებრივი საფუძვლის შემოწმება შეუძლებელია (სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი), რაც სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქმნის გასაჩინოებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს. საკასაციო პალატა თვლის, რომ დავის გადაწყვეტა საჭიროებს მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევას, საქმის ხელახლა განმზნეველმა სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოარკვიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, სათანადო შეფასება მისცეს შეკრებილ მტკიცებულებებს და გამოიტანოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახალი სასამართლო განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მიწის ნაკვეთზე დაუზუსტებელი მონაცემების დაზუსტების შესაძლებლობა

### განხილვა

№პს-892-874(ქ-12)

16 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის ჩანაწერ-  
ში ცვლილების განხორციელების დავალება

#### აღნერილობითი ნაწილი:

6. მ-მა 2011 წლის 17 ოქტომბერს სასარჩელო განცხადებით  
მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიას მოპასუხებების – საჯარო რეესტრის ეროვ-  
ნული სააგენტოს ქობულების სარეგისტრაციო სამსახურის და  
6. ი-ის მიმართ და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქო-  
ბულების სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 24 აპრილის  
№... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე საჯარო რეეს-  
ტრის ჩანაწერში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, კერძოდ, აღ-  
ნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე საჯარო რეესტრის  
ერთიანი ელექტრონული ბაზის კოორდინატთა სისტემაში ქ. ქო-  
ბულებში, ... №...-ში მდებარე, ნ. ი-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის  
მიმართ განხორციელებული ცვლილებების გაუქმება მოითხო-  
ვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ გ. ბ-ისაგან შეიძინა ქ. ქობულეთ-  
ში, ... №...-ში მდებარე უძრავი ქონება, რომელიც გამიჯვნის შე-  
დეგად გ. ბ-ის სახელზე აღირიცხა შემდეგი მონაცემებით: მი-  
ნის ნაკვეთი №გ 111 კვ.მ. მასზე არსებული 120 კვ.მ. ფართის  
საცხოვრებელი სახლით. სარეგისტრაციო მონაცემების დაზუს-  
ტების მიზნით 2011 წლის 30 სექტემბერს წარდგენილ განცხა-  
დებაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულების  
სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილების შემდეგ ნ. მ-  
ისათვის ცნობილი გახდა, რომ ამავე მისამართზე არსებული უძ-  
რავი ქონების მესაკუთრის – ნ. ი-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის  
დაზუსტებული რეგისტრაცია (2009 წლის 24 აპრილის გადაწ-

ყველილება) დაეფუძნა შპს „...“ მიერ 2007 წლის 12 დეკემბერს შედგენილი მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზს. რეალურად ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით დარეგისტრირებული მონაცემები განსხვავდება შპს „...“ მიერ შესრულებულ ნახაზზე ასახული მონაცემებისაგან. აღნიშნული ხელს უშლის მოსარჩევეს დაზუსტებული მონაცემებით დაირეგისტრიროს მის ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი, რაც გამიჯვნის შემდეგ დაუზუსტებელი მონაცემებით აღრიცხული იყო ჯერ გ. ბ-ის, შემდეგ 6. მ-ის საკუთრებად.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით 6. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ.ქობულეთში, ... №...-ში მდებარე მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის მესაკუთრებას: 6. ი-ეს, გ. ბ-ეს და 6. ა-ეს შორის 2007 წლის 12 დეკემბერს გაფორმდა მიწის ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის გამიჯვნის შესახებ ხელშეკრულება. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობანი გაიყო ინდივიდუალურ წილებად ხელშეკრულების შე-3 მუხლის მიხედვით შპს „...“ მიერ მომზადებული აზომვითი ნახაზის შესაბამისად. აღნიშნული ხელშეკრულებისა და შპს „...“ მიერ შესრულებული აზომვითი ნახაზის საფუძველზე ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებით 2007 წლის 17 დეკემბერს 6. ი-ის საკუთრებად დარეგისტრირდა: ქ. ქობულეთში, ... №....-ში მდებარე დაუზუსტებელი 374 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი, საერთო სასარგებლო ფართობით - 102.2 კვ.მ (საკადასტრო კოდი ...); გ. ბ-ის საკუთრების უფლება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ფართობით 111.0 კვ.მ და მასზე განთავსებულ სახლზე, სასარგებლო ფართობით 120.25 კვ.მ (საკადასტრო კოდი ...). ეს უკანასკნელი უძრავი ქონება 2008 წლის 8 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, გ. ბ-ემ მიჰყიდა 6. მ-ს. თავის მხრივ შემძენმა 2008 წლის 22 ოქტომბერს საკუთრებად დაირეგისტრირა ქ.ქობულეთში ... №...-ში მდებარე დაუზუსტებელი 111 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და 120.25 კვ.მ შენობა-ნაგებობა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად სცნო ის გარემოება, რომ 6. ი-ის 2009 წლის 16 აპრილის განცხადების საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარე-

გისტრაციონ სამსახურის 2009 წლის 24 აპრილის №... გადაწყვეტილებით 6. ი-ის მოთხოვნა ფართობის დაზუსტების შესახებ დაკმაყოფილდა. საჯარო რეესტრში 6. ი-ის საკუთრებად დარეგისტრირდა დაზუსტებული ფართობი 373.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 102.2 კვ.მ. (საკადასტრო კოდი ...). თავის მხრივ 2011 წლის 30 სექტემბერს 6. მ-მა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურში ნარადგინა შპს „ა...“ მიერ შედგენილი მინის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი და მოითხოვა ქ.ქობულეთში .... ში მდებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 30 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო ნარმოება შეჩერდა, ხოლო 2011 წლის 31 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო ნარმოება შეწყდა დაინტერესებული პირის მიერ შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის (საჯარო რეესტრში 6. ი-ის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებსა და სარეგისტრაციო მონაცემებს შორის არსებული ზედდების გამო, კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის ელ-ერსის) ნარუდგენლობის გამო.

საქალაქო სასამართლომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 13 ოქტომბრის №... წერილითა და საქმეში ნარმოდგენილი ნახაზებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ სადავო აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 24 აპრილის №... გადაწყვეტილებით 6. ი-ის კუთვნილი მინის ნაკვეთის დაზუსტება მოხდა სწორედ შპს „...“ მიერ 2007 წლის 12 დეკემბერს მომზადებული იმ აზომვითი ნახაზის ელექტრონული ვერსიის მიხედვით, რომლითაც თავის დროზე განხორციელდა მინის ნაკვეთის გამიჯვნა მესაკუთრეებს – 6. ი-ეს, გ. ბერა და 6. ა-ეს შორის და რომლის სისწორე მოსარჩელე მხარეს სადაცოდ არ გაუხდია. ამასთან, მოწმის სახით დაკავშირდება „...“ საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირის განმარტებაზე დაყრდნობით საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ შპს „...“ მიერ მომზადებული აზომვითი ნახაზი არ შეესაბამება შპს „...“ მიერ 2007 წლის 12 დეკემბერს შედგენილ აზომვით ნახაზს.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას ბათუმის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრა-

ციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეგისტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-3 მუხლი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლი. ასევე, მიუთითა „საჯარო რეგისტრის შესახებ“ ინსტრუქციის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტზე და განმარტა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის, კერძოდ, 6. ი-ის საკუთრებად რეგისტრირებული მინის ნაკვეთის ფართობის დაზუსტების დროს დაყრდნობოდა მის მიერ წარდგენილ საკადასტრო აზომვით ნახახს, რომელიც აკმაყოფილებდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, არ არსებობდა საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 24 აპრილის №... გადაწყვეტილების უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევისა და მისი ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. შესაბამისად, უსაფუძვლო იყო მოთხოვნა ამავე გადაწყვეტილების საფუძველზე საჯარო რეგისტრის ერთიანი ელექტრონული ბაზის კოორდინატთა სისტემაში 6. ი-ის კუთვნილი მინის ნაკვეთის მიმართ განხორციელებული ცვლილებების გაუქმების თაობაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა 6. მ-მა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 სექტემბრის განჩინებით 6. მის სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები და აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტობრივად და იურიდიულად დასაბუთებულია სრულყოფილად. სააპელაციო საჩივრი არ შეიცავდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისათვის საფუძვლიან პრეტენზიას, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება უნდა დატოვებულიყო უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 სექტემბრის განჩინება 6. მ-მა საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებას. კასატორი აღნიშნავს, რომ 6.

ი-ის დაზუსტებული მონაცემებით ასახული საკადასტრო მონაცემების ურთიერთგამიჯვნის შედეგად დადგენილ საკადასტრო მონაცემებთან სხვაობა გამოწვეულია 6. ი-ის ნაკვეთის კონფი-გურაციის შეცვლით, კერძოდ აღნიშნულ ნაკვეთსა და მეზო-ბელ ნაკვეთს შორის მანამდე არარსებულ თავისუფალი სივ-რცე წარმოიშვა 6. ი-ის ნაკვეთის ფართობის შემცირების გარე-შე. აღნიშნული ცხადყოფს, რომ 6. ი-ის ნაკვეთის ფართობის შე-უმცირებლად დაზუსტებული მონაცემების რეგისტრაცია გან-ხორციელებულია 6. მ-ის ნაკვეთის ხარჯზე, რამაც მოიცვა მის საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილიც (აივანი და კიბე). კა-სატორი მიიჩნევს, რომ სწორედ შპს „...“ მიერ 2007 წლის 12 დე-კემბერს შედგენილი საკადასტრო ნახაზი ასახავდა ურთიერ-თგამიჯვნის შედეგად დადგენილ მიწის ნაკვეთების ზუსტ კონ-ფიგურაციას. შპს „...“ მიერ შესრულებული ნახაზის მიხედვით ნაკვეთების მიჯნა ემთხვეოდა თავად 6. ი-ის მიერ აღმართული სამეზობლო მიჯნას, რომლის მიღმა (6. მ-ის ნაკვეთის მხარეს) არის განთავსებული 6. მ-ის სახლის აივანი და კიბე. შესაბამი-სად, 6. მ-ს შპს „...“ ნახაზის სისწორე ეჭვეჭვეშ არ დაუყენებია. კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატას არ შეუ-ფასებია ის ფაქტი, რომ 6. ი-ის ნაკვეთის დაზუსტებული მონა-ცემებით რეგისტრაციამ ფაქტიურად შეამცირა 6. მ-ის საკუთ-რებაში არსებული მიწის ნაკვეთის მოცულობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 11 თებერვლის განჩინებით 6. მ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განისაზღვრა მისი განხილვა მხარეთა დასწრებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკა-საციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კა-ნონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ 6. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწი-ლობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასა-ხულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ.ქობულეთში, ... №....-ში მდებარე მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის მესაკუთ-რეებს: 6. ი-ეს, გ. ბ-ეს და 6. ა-ეს შორის 2007 წლის 12 დეკემბერს გაფორმდა მიწის ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის გამიჯ-ვნის შესახებ ხელშეკრულება. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავ-სებული შენობა-ნაგებობანი გაიყო ინდივიდუალურ წილებად

ხელშეკრულების მე-3 მუხლის მიხედვით შპს „...“ მიერ მომზადებული აზომვითი ნახაზის შესაბამისად. აღნიშნული ხელშეკრულებისა და შპს „...“ მიერ შესრულებული აზომვითი ნახაზის საფუძველზე ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებით 2007 წლის 17 დეკემბერს ნ. ი-ის საკუთრებად დარეგისტრირდა: ქ. ქობულეთში, ... №...-ში მდებარე დაზუსტებელი 374 კვ.მ არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი, საერთო სასარგებლო ფართობით – 102.2 კვ.მ (საკადასტრო კოდი ...); გ. ბ-ის საკუთრების უფლება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთზე ფართობით 111.0 კვ.მ და მასზე განთავსებულ სახლზე, სასარგებლო ფართობით 120.25 კვ.მ (საკადასტრო კოდი ...). ეს უკანასკნელი უძრავი ქონება 2008 წლის 8 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, გ. ბ-ემ მიჰყიდა ნ. მ-ს. შემძებნა 2008 წლის 22 ოქტომბერს საკუთრებად დაირეგისტრირა ქ. ქობულეთში, ... №...-ში მდებარე დაზუსტებელი 111 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მინის ნაკვეთი და 120.25 კვ.მ შენობა-ნაგებობა. ნ. ი-ის 2009 წლის 16 აპრილის განცხადების საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 24 აპრილის №... გადაწყვეტილებით ნ. ი-ის მოთხოვნა ფართობის დაზუსტების შესახებ დაკმაყოფილდა. საჯარო რეესტრში ნ. ი-ის საკუთრებად დარეგისტრირდა დაზუსტებული ფართობი 373.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 102.2 კვ.მ. (საკადასტრო კოდი ...). რეგისტრირებული მონაცემების დაზუსტებისას მარეგისტრირებელმა ორგანომ იხელმძღვანელა უძრავი ქონების გამიჯვნისას შპს „...“ მიერ შედგენილი აზომვითი ნახაზის ელექტრონული ვერსიით. 2011 წლის 30 სექტემბერს ნ. მ-მა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურში წარადგინა შპს „ა...“ მიერ შედგენილი მინის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი და მოითხოვა ქ.ქობულეთში ... ში მდებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 30 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა, ხოლო 2011 წლის 31 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა დაინტერესებული პირის მიერ შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის (საჯარო რეესტრში ნ. ი-ის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებსა და

სარეგისტრაციო მონაცემებს შორის არსებული ზედდების გამო, კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის ელ.ვერსიის) წარუდგენლობის გამო.

მოსარჩელე წარმოდგენილი სარჩელით ითხოვს დაზუსტებული მიწის ნაკვეთის ნ. ი-ის სახელზე განხორციელებული რეგისტრაციის ბათილად ცნობას იმ საფუძვლით, რომ შპს „...“ მიერ 2007 წლის 12 დეკემბერს შედგენილი აზომვითი ნახაზში ასახული მონაცემები არ ემთხვევა დაზუსტების შემდგომ დარეგისტრირებულ საკადასტრო მონაცემებს. სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების მოტივაცია ეფუძნება საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 13 ოქტომბრის №... წერილს, რომელშიც მითითებულია, რომ ნ. ი-ის კუთვნილი მინის ნაკვეთის დაზუსტება მოხდა სწორედ შპს „...“ მიერ 2007 წლის 12 დეკემბერს მომზადებული იმ აზომვითი ნახაზის და ელექტრონული ვერსიის მიხედვით. ასევე, სააპელაციო პალატა სააპელაციო საჩივრის დაუსაბუთებლობის დასადასტურებლად მიუთითებს საქმეში არსებულ აზომვით ნახაზებზე, თუმცა გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს მათი ერთმანეთთან შეუსაბამობის შეფასებას. აღსანიშნავია, რომ მოწინააღმდეგვე მხარე ნაკვეთების ზედდების ფაქტს ხსნიდა შპს „...“ მიერ შესრულებულ აზომვით ნახაზზე ნ. მ-ის ნაკვეთის ტროტუარის ხაზიდან სიღრმეში გადანაცვლებით, ხოლო თავის მხრივ ნ. მ-ი აღნიშნულ ფაქტს უკავშირებდა სარეგისტრაციო მონაცემების დაზუსტების შემდეგ ნ. ი-ის ნაკვეთსა და მეზობლად მდებარე ნაკვეთს შორის თავისუფალი სივრცის გაჩენას, რომელიც შპს „...“ მიერ 2007 წლის 12 დეკემბერს მომზადებული იმ აზომვითი ნახაზზე იმთავითვე არ არსებობდა. საქმეში წარმოდგენილია ნ. მ-ისა და მეზობლად მდებარე (გამიჯვნის შემდგომ ა-ს საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების ამსახველი ფოტომასალა, ასევე პირველი ინტანციაში მოწმედ დაკითხულმა პირმა აღნიშნა, რომ ერთიან ბაზაში არსებული მეზობელი ნაკვეთის ტროტუარის მხარეს არსებული წერტილის კოორდინატები არ ემთხვევა ამჟამად არსებულს. სასამართლოს მხრიდან შეფასების გარეშე დარჩა აღნიშნული ფაქტი იმ მიმართებით, ნაკვეთებს შორის არსებული 7 კვ.მ. ოდენობით ზედდება მართლაც შეეძლო თუ არა გამოეწვია შპს „...“ მიერ შესრულებულ ნახაზზე ნ. მ-ის ნაკვეთის ქუჩიდან სიღრმისაკენ მონაცვლებას თუ აღნიშნული გამოვეული იყო სხვა ფაქტორებით.

საკადაციო სასამართლო, ასევე, აღნიშნავს, რომ იუსტიციის მინისტრის 15.01.106. ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რე-

ესტრის შესახებ” ინსტრუქციის 8.7 მუხლი ითვალისწინებს დაუზუსტებელ რეგისტრაციას. ამდენად, მიწა შეიძლება არსებობდეს საკუთრებაში, როგორც დაზუსტებული, ასევე დაუზუსტებელი მონაცემებით. ამავე ინსტრუქციით დადგენილია შემდგომში მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების დაზუსტების შესაძლებლობა, რაც გულისხმობს ახლად წარმოდგენილი მონაცემების უკვე არსებულ ზოგად საკადასტრო მონაცემებთან დამთხვევას. მიუხედავად იმისა, რომ დაუზუსტებელი მონაცემების დაზუსტება იმთავითვე მოიაზრებს არსებული მონაცემების შეცვლას, თავისმხრივ ცვლილება უნდა ემყარებოდეს დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის, უკვე არსებულ საკადასტრო რუკასთან ურთიერთშეჯერებით დაზუსტებულ მონაცემებს. სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაფუძნება მხოლოდ საჯარო რეესტრის წერილში ასახულ ინფორმაციას, მაშინ, როცა მოსარჩელე სწორედ შპს „...“ მიერ 2007 წლის 12 დეკემბერს შედგენილი საკადასტრო ნახაზის დარღვევით დარეგისტრირებაზე მიუთითებდა. სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ შეცავს მსჯელობას იმის თაობაზე, ნ. ი-ის საკუთრებაში არსებული უზუსტობა, რაც ასახულია შპს „...“ მიერ 2007 წლის 12 დეკემბერს შედგენილი საკადასტრო ნახაზსა და დაზუსტების შემდგომ საკადასტრო რუკას შორის, ქმნიდა თუ არა იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ შპს „...“ მიერ 2007 წლის 12 დეკემბერს შედგენილი საკადასტრო ნახაზზე ასახული კოორდინატები ზუსტად იქნა ასახული საერთო საკადასტრო მონაცემებში. ამასთან, სააპელაციო პალატის განჩინებაში არ ასახულა მსჯელობა იმის თაობაზე, რომ შპს „...“ მიერ 2007 წლის 12 დეკემბერს შედგენილი საკადასტრო ნახაზისა და მის საფუძველზე რეგისტრირებული საკადასტრო გეგმის შედარება ქმნიდა თუ არა მათი იდენტურობის თაობაზე დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. ყოველივე აღნიშნული გარეშოებების შეუფასებლობა დაუსაბუთებელს ხდის გასაჩივრებულ განჩინებას.

საკადაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, სასამართლო საერთოდ არ იმსჯელა ძირითად არგუმენტებზე, რასაც ემყარებოდა სასარჩელო მოთხოვნა. სასამართლოს განჩინება არ შეიცავს დასაბუთებულ მსჯელობას მათი შეფასებისა და გაქართყლების შესახებ.

საქმეში წარმოდგენილია დამოუკიდებელი სასამართლო ექ-

სპერტის 2011 წლის 24 ნოემბერს დასკვნა, რომლის თანახმად, 2007 წლის 12 დეკემბრის ნახაზის მიხედვით გამიჯვნის შედეგად გ. ბ-ისათვის მიკუთვნებული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი ფართით 120 კვ.მ. მდებარეობდა ამავე დოკუმენტით გ. ბ-ისათვის მიკუთვნებულ 111 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე. ასევე შპს „...“ მიერ 2007 წლის 12 დეკემბერს მომზადებულ ნახაზზე გ. ბ-ისათვის მიკუთვნებული მიწის ნაკვეთი და შპს „ა...“ მიერ შედგენილ ნახაზზე ასახული ... №...-ში მდებარე 111 კვ.მ. მიწის ნაკვეთი არის ერთიდაიგივე. ამასთან, შპს „...“ მიერ 2007 წლის 12 დეკემბერს მომზადებულ ნახაზის მიხედვით მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრის ერთიან ბაზაში დარეგისტრირების შემთხვევაში არ მოვიდოდა შპს „ა...“ მიერ მომზადებულ მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზში მითითებულ ქ. ქობულეთში, ... №...-ში მდებარე 111 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთთან. ამავე ექსპერტის 2012 წლის 16 აგვისტოს დასკვნის თანახმად, რომელიც მხარემ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას წარადგინა, ქ. ქობულეთში, ... ქ. №...-ში მდებარე ნ. მ-ის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი, აიგნის ჩათვლით განაშენიანებულია 111 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, ხოლო აღნიშნული სახლის მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის ფართი აივნის შიერ დაკავებული მიწის ფართის გარეშე შეადგენს 95,10 კვ. მეტრს.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნებზე მსჯელობას, მათ შეფასებას საქმის სხვა მასალებთან მიმართებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის საკასაციო პრეტენზიას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტიზის დანიშვნა ხდება, როდესაც სპეციალური ცოდნის მქონე სპეციალისტების განმარტება და კვლევა მნიშვნელოვანია საქმის ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად. მით უფრო, როდესაც საკითხი ეხება მიწის ნაკვეთების გადაფარვას, აზომვას, გეგმარებით და სხვა ტექნიკურ საკითხებს, საექსპერტო კვლევა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქმის არსებითი გარემო-

ებების დადგენისათვის. ამასთან, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მინის ნაკვეთის გეგმების კანონიერება და მისი შესაბამისობა საპროექტო დოკუმენტაციასთან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის შესაბამისად, მართალია ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებულ უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ან განჩინებაში, რაც არ განხორციელებულა მოცემულ შემთხვევაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 სექტემბრის გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლის შემოწმება შეუძლებელია (სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი), რაც სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქმნის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს. საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოარყვის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით, სათანადო შეფასება მისცეს შეკრებილ მტკიცებულებებს და გამოიტანოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. 6. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახალი სასამართლო განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მინის ნაკვეთის საკუთრების უფლებით რეგისტრაცია

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელი

№ბს-618-606(კ-12)

16 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ადმინისტრაციულ-  
სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

#### აღნერილობითი ნაწილი:

სს „...“ 2012 წლის 28 მარტს სასარჩელო განცხადებით მიმარ-  
თა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიას, მოპასუხების – საქართველოს იუსტიციის სა-  
მინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯა-  
რო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო  
სამსახურის მიმართ და მოითხოვა: საჯარო რეესტრის ეროვნუ-  
ლი სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის  
8 ნოემბრის, ასევე 2011 წლის 14 დეკემბრის №... გადაწყვეტილე-  
ბების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-  
ტოს 2012 წლის 12 მარტის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნო-  
ბა, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის  
სარეგისტრაციო სამსახურისათვის სარეგისტრაციო წარმოების  
შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის ერთთვიანი ვადის აღდგე-  
ნის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრი-  
ვი აქტის გამოცემა და 14105 კვ.მ. მინის ნაკვეთზე (მოსარჩელის  
მიერ სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის შემთხვევაში) სა-  
კუთრების უფლების რეგისტრაციის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიას 2012 წლის 16 მაისის განჩინებით სს „...“ სარ-  
ჩელზე მოპასუხების – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს  
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეეს-  
ტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსა-  
ხურის მიმართ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბი-

ლისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 8 ნოემბრის №... ბათილად ცნობის ნაწილში შეწყდა საქმის ნარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით სს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2011 წლის 15 აპრილს სს „...“ დირექტორმა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 8 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო ნარმოება შეჩერდა კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტებისა და მომსახურების საფასურის დამადასტურებელი დოკუმენტის ნარდგენამდე. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 14 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო ნარმოება შეწყდა იმ საფუძვლით, რომ სარეგისტრაციო შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა ნარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხერის დამადასტურებელი დოკუმენტი/ინფორმაცია. 2012 წლის 1 მარტს სს „...“ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სარეგისტრაციო ნარმოების შეწყვეტის შესახებ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 14 დეკემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 12 მარტის №... გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივრის ნარმდგენ პირს უარი ეთქვა ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის დარღვევის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით; „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით; საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციით. სასამართლომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შინაარსიდან გამომდინარე მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სადაც ქცეული გადაწყვეტილებები ნარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის

მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დავის განხილვისას უნდა შემონმებულიყო სადაც ინდივიდუალური აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისობა საქართველოს ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის გამოცემის მომნესრიგებელ შესაბამის ნორმებთან, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დებულებებთან.

სასამართლომ მიუთითა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლით რეგლამენტირებული მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს მისი ოფიციალურად გაცნობიდან, ხოლო გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემთხვევაში – გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია ნებისმიერი დოკუმენტი მიიღოს, გამოსცეს ან გასცეს როგორც ქაღალდის მატარებელზე, ასევე ელექტრონული და მართვის ერთიანი ავტომატური სამუალებების გამოყენებით. ამავე მუხლის მე3 პუნქტით გათვალისწინებულია, რომ ელექტრონული სახით დოკუმენტი გაიცემა სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის – [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge) შესაბამისი ბმულის მეშვეობით და მისი ამონაბეჭდის მიმართ ასლის დედანთან სისწორის დამოწმებისათვის დადგენილი წესები არ გამოიყენება. ამ ამონაბეჭდს აქვს იგივე იურიდიული ძალა, რაც თავად ელექტრონული სახით გამოცემულ დოკუმენტს.

სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებელი მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლას (შესაბამისად, აქტის კანონიერ ძალაში შესვლას), თუ გადაწყვეტილება ქვეყნდება, უკავშირებს გამოქვეყნების მომენტს. მოცემულ შემთხვევაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 14 დეკემბრის №... სადაც გადაწყვეტილება, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განცხადებებისა და უფლებების რეგისტრაციის ელექტრონული წიგნით, ოფიციალურად გამოქვეყნებულია 2011 წლის 14 დეკემბერს. ამდენად, აღმინისტრაციული საჩივარი სადაც გადაწყვეტილების ბათოლად ცნობის თაობაზე უნდა წარდგენილიყო არაუგვიანეს 2012 წლის 13 იანვრისა.

საქმის მასალების მიხედვით საჯარო რეესტრის ეროვნული სა-აგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 14 დეკემბრის №... გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გასაჩივრებულ იქნა 2012 წლის 1 მარტს, ანუ კანონით დადგენილი 30-დღიანი ვადის დარღვევით. ამდენად, ად-მინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს საქართველოს ზო-გადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სწორად ეთქვა უარი ადმინის-ტრაციული საჩივრის განხილვაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მხრი-დან დაცული იყო ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უა-რის თქმის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექ-სის XIII თავით დადგენილი დანაწესი, რის გამოც არ არსებობდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგის-ტრაციო სამსახურის 2011 წლის 14 დეკემბრის №... გადაწყვე-ტილების ბათილად ცნობის კანონით გათვალისწინებული სა-ფუძველი.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ იგი არსებითად ვერ იმ-სჯელებდა სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ სა-ჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრა-ციო სამსახურის 2011 წლის 14 დეკემბრის №... გადაწყვეტილე-ბაზე, ვინაიდან სასამართლომ შეაფასა საჯარო რეესტრის ეროვ-ნული სააგენტოს 2012 წლის 12 მარტის №... გადაწყვეტილება და კანონიერად მიიჩნია ადმინისტრაციული ორგანოს უარი სს „...“ მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 14 დეკემბრის №... გა-დაწყვეტილებაზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქარ-თველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონდა, გა-საჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებ-რივ აქტებში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრი-გება შეესაბამებოდა მათი გამოცემის სამართლებრივ საფუძ-ვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა მოცემული ურთიერ-თობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 12 მარ-ტის №... გადაწყვეტილებისა და შესაბამისად, საჯარო რეეს-ტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსა-

ხურის 2011 წლის 14 დეკემბრის №... გადაწყვეტილების ბათი-ლად ცნობის სამართლებრივი საფუძველი. ამდენად საქალაქო სასამართლომ ჩათვალა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სა-აგენტოს მხრიდან კანონშესაბამისად იქნა მიღებული გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ გა-დაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე და შესაბა-მისად, უსაფუძვლო იყო მოსარჩელის მოთხოვნა საჯარო რეეს-ტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსა-ხურისათვის სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის ერთთვიანი ვადის აღდგენის შესახებ ინდივიდუ-ალურ აღმინისტრაციულ-სამართლებრივია აქტის გამოცემისა და 14105 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრა-ციის თაობაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივ-რა სს „....“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ივლისის განჩინებით სს „....“ საა-პელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბი-ლისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კო-ლეგიის 2012 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გაიზიარა პირ-ველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრი-ვი გარემოებები, სამართლებრივი დასკვნები, და დამატებით აღნიშნა: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რე-ესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამ-სახურის 2011 წლის 8 ნოემბრის სარეგისტრაციო წარმოების შე-ჩერების შესახებ №... გადაწყვეტილების თანახმად, თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა განცხადება (№...; 15 აპრ.2011; განმცხადებელი: სს „....“) განმცხადებით მოთხოვნი-ლი იყო საკუთრების უფლების რეგისტრაცია, მდებარე: ქ. თბი-ლისი, ... მე-4 შესახვევი №12 (ზონა: თბილისი, სექტორი: ...). გან-ცხადებაზე თანდართული იყო: წარმომადგენელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; მომსახურების საფა-სურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი; სარეგისტრაციო წარმოების პროცესში დადგენილ იქნა, რომ წარმოდგენილი დო-კუმენტაცია წარმოადგენდა მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწაზე საკუთრების აღიარების სა-ფუძველს, რისთვისაც „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართვე-ლოს კანონის 31.1.„გ“ მუხლის თანახმად, დაწესებული საფასუ-რი შეადგენს 300 ლარს. სარეგისტრაციო დოკუმენტაციის თა-ნახმად, დაინტერესებულ პირს წარდგენილი პქონდა მხოლოდ

50 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1.„ა“ მუხლის შესაბამისად, დამატებით წარსადგენი გახლდათ სააგენტოს მიერ განეული მომსახურების საფასურის – 250 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე წარსადგენი იყო მართლზომიერებისა და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება. განიმარტა შეჩერების ვადა (30 კალენდარული დღე), დოკუმენტის ან ინფორმაციის წარუდგენლობის შედეგები, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის, გასაჩივრების წესი, ვადა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველი დავის შემთხვევაში კანონიერ ძალაშია შესული წინამდებარე საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 16 მაისის განჩინება, რომლის თანახმადაც სს „...“ სარჩელზე მოპასუხების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 8 ნოემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებით დამტკიცებულ მართლზომიერ მფლობელობაში, ასევე თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების წესზე, კერძოდ დაინტერესებული პირებისათვის განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში (მფლობელობა, თვითნებურად დაკავება) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის დადგენილია განსხვავებული დოკუმენტების წარდგენის ვალდებულება. პალატამ ასევე მიუთითა მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნისას „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შესაბამის პროცედურულ ნორმებზე. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3. მუხ-

ლის მოთხოვნათა შესაბამისად, აპელანტის მიერ ვერ იქნა და-დასტურებული, რომ სადაცო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას ადგილი ჰქონდა კანონით დადგენილი ისეთი პროცედურული ნორმების არსებით დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში სადაცო საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლობის გამო არ გაიზიარა აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში გამოთქმული მოსაზრებები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ აპელანტ სს „...“ მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები არ ქმნიდნენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შემადგენლობას და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „...“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით თავისი სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ მოცემული დავის საგანი არ ყოფილა ის გარემოება, დაინტერესებულ პირს სარეგისტრაციო ორგანოში ჰქონდა თუ არა წარდგენილი მინის ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი. იგი სადაცოდ ხდიდა მხოლოდ მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მისი განცხადების განხილვისას დაშვებულ პროცედურულ დარღვევებს. კერძოდ, რეგისტრაციის მოთხოვნით წარდგენილ განცხადებაზე კანონით დადგენილი ვადის დარღვევით გამოტანილი გადაწყვეტილება მისთვის მარეგისტრირებელ ორგანოს კანონით დადგენილი წესით არ უცნობებია, არც სატელეფონო შეტყუბინება არ მიუღია. მას ასევე არ მიუღია პასუხი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსადმი 2011 წლის 10 ივნისს წარდგენილ საჩივარზე. ამდენად, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ 2012 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებით წარმოების შეჩერების შემდეგ 30-დღიანი დადგენილი ვადის გასვლის მოტივით სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტა, ხოლო ზემდგომი ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში წარუდგენლობის მოტივით მის განხილვაზე უარის თქმა კასატორს უკანონოდ მიაჩნია, ვინაიდან მისთვის მარეგისტრირებელ ორგანოს კანონის შესაბამისად ასევე არ უცნობებია 2011 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმო-

ების შეწყვეტის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 11 თებერვლის განჩინებით სს „...“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განსახილ-ველად ჩაინიშნა მხარეთა დასწრებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკა-საციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შესწავლის, მხა-რეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული გა-დაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სს „...“ საკასაციო საჩივა-რი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალა-ტის 2012 წლის 5 ივლისის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქ-ნეს ახალი გადაწყვეტილება; სს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქ-ნას ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბი-ლისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 14 დეკემბრის №... გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 12 მარტის №... გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სა-ჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ და მოპასუხე საჯა-რო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრა-ციონ სამსახურს დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელო-ბის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შესწავლის შედე-გად გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტები; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-ტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურსა და საჯარო რეეს-ტრის ეროვნული სააგენტოს სოლიდარულად დაეკისროთ სს „...“ სასარგებლოდ მის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 550 ლარის ანაზღაუ-რება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე და-ვის საგანს წარმოადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-ტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ სს „...“ მიმართ მიღებული სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის თაობაზე 2011 წლის 14 დეკემბრის №... გადაწყვეტილების, ასევე ადმი-ნისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ სა-ჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 12 მარტის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახური-სათვის სს „....“ სასარგებლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება, რომელიც სს „....“ მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული უძრავი ნივთის, მდებარე: ქ. თბილისი, ... მე-4 შესახვევი №12 (ზონა: თბილისი, სექტორი: ...) საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნას შეეხება.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2-ე მუხლის საფუძველზე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს 2011 წლის 15 აპრილს განცხადებით (№...) მიმართა სს „....“ და მოითხოვა საკუთრების უფლების რეგისტრაცია მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ უძრავ ნივთზე, მდებარე: ქ. თბილისი, ... მე-4 შესახვევი №12 (ზონა: თბილისი, სექტორი: ...). საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 8 ნოემბრის №... გადაწყვეტილების თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების პროცესში დადგენილ იქნა, რომ წარდგენილი დოკუმენტაცია წარმოადგენდა მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწაზე საკუთრების აღიარების საფუძველს, რისთვისაც „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 31.1.„გ“ მუხლის თანახმად, დაწესებული საფასური შეადგენს 300 ლარს. სარეგისტრაციო დოკუმენტაციის თანახმად, დაინტერესებულ პირს წარდგენილი ჰქონდა მხოლოდ 50 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1.„ა“ მუხლის შესაბამისად, დამატებით წარსადგენი იყო სააგენტოს მიერ განეული მომსახურების საფასურის – 250 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე წარსადგენი იყო მართლზომიერებისა და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება 30 კალენდარული დღით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 14 დეკემბრის სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ №... გადაწყვეტილების თანახმად, ვინაიდან, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტი/ინფორმაცია, „საჯარო რეესტრის შესა-

ხებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 12 მარტის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ №... გადაწყვეტილებით სს „...“ წარმომადგენლის ჟ. გ-ის ადმინისტრაციულ საჩივარს განხილვაზე ეთქვა უარი, ვინაიდან სარეგისტრაციო სამსახურის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით განსაზღვრული იყო „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29.1. მუხლის შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 14 დეკემბრის №... გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განცხადებებისა და უფლებების რეგისტრაციის ელექტრონული წიგნით, ოფიციალურად გამოქვეყნდა 2012 წლის 14 დეკემბერს. აღნიშნული გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში გასაჩივრდა 2012 წლის 1 მარტს ანუ გაშვებული იყო ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54.1 მუხლზე, რომლის თანახმად, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს. ამავე კოდექსის 55.1. მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოქვეყნდება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29.1 მუხლის თანახმად, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება გასასაჩივროს მისი ოფიციალურად გაცნობიდან, ხოლო გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემთხვევაში – გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია ნებისმიერი დოკუმენტი მიიღოს, გამოსცეს ან გასცეს როგორც ქალალდის მატარებელზე, ასევე ელექტრონული და მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების გამოყენებით. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ელექტრონული სახით დოკუმენტი გაიცემა სააგენტოს ოფიცი-

ალური ვებგვერდის – [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge) შესაბამისი ბმულის მეშვეობით და მისი ამონაბეჭდის მიმართ ასლის დედანთან სისწორის დამონშებისათვის დადგენილი წესები არ გამოიყენება. ამ ამონაბეჭდს აქვს იგივე იურიდიული ძალა, რაც თავად ელექტრონული სახით გამოცემულ დოკუმენტს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 100.1 მუხლის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ იღებს განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სს „...“ მიერ 2011 წლის 15 აპრილის განცხადებაზე თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო 2011 წლის 8 ნოემბერს კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის დარღვევით, ისე, რომ ვადის გაგრძელების თაობაზე დაინტერესებული პირისათვის არ უცნობებია. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების თაობაზე გამოქვეყნდა [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge) ვებგვერდის მეშვეობით. აღნიშნული დოკუმენტის მხარისათვის პირადად გადაცემის, ან ფოსტის მეშვეობით არ გაგზავნის დამადასტურებელი მტკიცებულება მარეგისტრირებელ ორგანოს არ წარმოუდგენია, რაც მან სასამართლოს მიერ დავის განხილვის ვერცერთ ეტაპზე ვერ წარმოადგინა. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციულმა ორგანომ თავად გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის დარღვევით, დაუშვებელი იყო ადმინისტრაციულ ორგანოს ვადის ათვლისათვის მხედველობაში მიეღო გასაჩივრებული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მარეგისტრირებელი ორგანოს ვებგვერდზე გამოქვეყნების თარიღი, ვინაიდან დაინტერესებული მხარე არ არის ვალდებული უსასრულოდ ჰქონდეს სარეგისტრაციო განცხადებაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ვებგვერდზე გამოქვეყნების მოლოდინი. მითუმეტეს, რომ სს „...“ 2011 წლის 15 აპრი-

ლის განცხადებაზე მარეგისტრირებელი ორგანოს მხრიდან უმოქმედობის ფაქტზე 2011 წლის 10 ივლისს წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი ზემდგომ ორგანოში და დაინტერესებულ პირს გააჩნდა ვარაუდი, რომ ამ უკანასკნელზე გამოტანილი გადაწყვეტილება გამოიწვევდა ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შესაძლო მოქმედებების განხორციელებას. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ არც ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს მოუხდენია დაინტერესებული პირის ინფორმირება საჩივრის თაობაზე მიღებული იქნა თუ არა რაიმე გადაწყვეტილება. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის ვალდებულება, დროულად გაეცნოს მის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენილ განცხადებაზე დამდგარ შედეგს, რათა კანონით დადგენილ ვადაში შეძლოს მისი გასაჩივრება, დაუშვებელია არ შეიზღუდოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებით კანონით დადგენილ ვადაში გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოს დაინტერესებული პირის სათანადოდ ინფორმირება – მიღებული გადაწყვეტილების უშუალოდ გაცნობა. ამდენად, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ 2011 წლის 14 დეკემბრის №... „გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტა სს „...“ 2011 წლის 15 აპრილს წარდგენილ განცხადებაზე, ეწინააღმდეგება საკანონმდებლო დანაწესს, რომელიც ემსახურება ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის ინტერესების დაცულობას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ წარმოების შეჩერების თაობაზე 2011 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილების, ასევე 2011 წლის 14 დეკემბრის სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ №... გადაწყვეტილების ვებგვერდზე გამოქვეყნება ვერ მიიჩნევა დაინტერესებული მხარისათვის ოფიციალურ გაცნობად. შესაბამისად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180.3 მუხლის მიხედვით, გასაჩივრების ვადა არ შეიძლება დადგინდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დარღვევის შემთხვევაში. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ორგანოს არ შეუფასებია ის ფაქტი, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ 2011 წლის 14 დეკემბრის №... გადაწყვეტილება გამოსცა სს „...“ მიერ 2011 წლის 15 აპრილს წარდგენილ განცხადებაზე კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის დარღვევით მიღებული სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების

შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 30-დღიანი ვადის გათვალისწინებით. შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვალდებული იყო დაედგინა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა უზრუნველყო თუ არა სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ 2011 წლის 14 დეკემბრის №... გადაწყვეტილების განმცხადებლისათვის ოფიციალურად გაცნობა, კერძოდ განცხადების წარდგენიდან მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემამდე გასული დროის მონაკვეთი შესაძლებელს ხდიდა თუ არა დაანთრერესებული პირის დავალდებულებას უწყვეტად ეკონტროლებინა ადმინისტრაციული ორგანოს ვებგვერდი მის განცხადებაზე მიღებული გადაწყვეტილების გაცნობის მიზნით. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ვებგვერდზე გამოქვეყნების შემდეგ სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ 2011 წლის 14 დეკემბრის №... გადაწყვეტილება მიღებულია კანონით დადგენილი ერთოვანი ვადის დაცვით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება უნდა შეფასებულიყო მთლიანობაში, განცხადების წარდგენიდან მასზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის ვადის დარღვევის გამო ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმა მოკლებულია სამართლებრივ საფუძვლს და ენინაალმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

საკასაციო პალატა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მინიჭებულების მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1. მუხლზე, რომლის შესაბამი-

სად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. აგრეთვე, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. კონკრეტულ შემთხვევაში, მითითებული ნორმის მოთხოვნა მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას უგულვებელყოფილი იქნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი წარმოების თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ენინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლში მოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საგალდებულო წინაპირობები, რომლებიც მათი რეალიზების თვალსაზრისით, ამ მუხლში არა კუმულაციური, არამედ ალტერნატიული სახით არის წარმოდგენილი. ამასთან, არსებით დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7<sup>4</sup> მუხლთან დაკავშირებით (2010 წლის 7 ოქტომბრის კანონი), რომელიც ამოქმედდა 2011 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს კერძო სამართლის იურიდიული პირის მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების ვადას, კერძოდ, დასახელებული მუხლით, 2012 წლის 1 იანვრიდან კერძო სამართლის იურიდიული პირი კარგავს მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, ასევე თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებას. აღნიშნული თარიღის შემდეგ საკუთრების უფლების მოპოვება შესაძლებელია სახელმწიფო ქრივატიზაციისათვის დადგენილი ზოგა-

დი წესის შესაბამისად.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს: საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სს „...“ არ შეიძლება გავრცელდეს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7<sup>4</sup> მუხლი, რადგან საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული, კანონს არ შეიძლება მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია, ან აუარესებს პირის მდგომარეობას. ნორმა, რომლისთვისაც კანონმდებელს უკუძალა არ მიუნიჭებია, ვრცელდება იმ სამართალუროთობაზე, რომელიც ამ კანონის ამოქმედების შემდეგ წარმოიშვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საერთო წესის თანახმად კანონის მოქმედების ძალა შემოფარგლულია კანონის გამოქვეყნებისა და გაუქმების პერიოდით. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი არ გამოიყენება: 1) იმ ფაქტების მიმართ, რომელიც განხორციელდა მის გამოცემამდე და 2) იმ ფაქტების მიმართ, რომელიც დადგა მისი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ; ორივე შემთხვევა წარმოადგენს უმაღლესი იურიდიული პრინციპის ორ მხარეს: განსახილველ ფაქტებთან დაკავშირებით დასაყრდნობია ის კანონი, რომლის მოქმედების პირობებში ფაქტებს ჰქონდა ადგილი.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახური ვალდებულია განიხილოს განცხადება და საკითხის ხელახლა განხილვისას გამოიკვლიოს და იმსჯელოს სს „...“ საჯარო რეეტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი აქვს თუ არა 2007 წლის 11 ივლისის საქართველოს კანონით „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 პრძანებულებით განსაზღვრული მიწის ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტები, აგრეთვე წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექვემდებარება თუ არა განცხადება, უძრავ ქონებაზე, მდებარე: თბილისი, ... მე-4 შესახევევი №12 (ზო-

ნა: თბილისი, სექტორი: ...) საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, დაკმაყოფილებას ან პირიქით დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

ამდენად, ადმინისტრაციულ ორგანოს ეძლევა შესაძლებლობა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადო გამოკვლევის შედეგად მიიღოს კონკრეტული შემთხვევისათვის სათანადო გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და სს „...“ საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1. მუხლის საფუძველზე მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სოლიდარულად უნდა დაეკისროთ სს „...“ სასარგებლოდ მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 550 ლარის ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 411-ე, მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. სს „...“ საკასაციო საჩივრი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნას ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 14 დეკემბრის №... გადაწყვეტილება სარეგისტრაციო ნარმობის შეწყვეტის შესახებ, ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული

სააგენტოს 2012 წლის 12 მარტის №... გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შესწავლის შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები;

5. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს სოლიდარულად დაევალოთ სს „...“ სასარგებლოდ მის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 550 ლარის ანაზღაურება;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საპოლოოა და არ საჩივრდება.

## მინის რეგისტრაციის კანონიერება

### განვითარება

№ პს-297-293(კ-12)

25 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

#### აღნერილობითი ნაწილი:

11.02.11 წ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა 6. მ-მა მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის და მესამე პირის ხ. 6-ას მიმართ, მოპასუხის 29.12.10 წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რომლითაც დაზუსტდა ხ. 6-ას საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრები.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ არის ქ.თბილისში, ... ტერიტორიაზე მდებარე 1100 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მესაკუთრე. აღნიშ-

ნულ ნაკვეთზე, რომელიც მეზობელი ნაკვეთისაგან კაპიტალური ღობით არის გამოყოფილი, ნ. მ-ის საქუთრების უფლების პირველადი რეგისტრაცია 11.04.036. განხორციელდა. მოსარჩევები აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ახალი სისტემის დანერგვასთან და გეოდეზიური კოორდინატების შემოღებასთან დაკავშირებით განხორციელდა მისი კუთვნილი და მეზობელი მიწის ნაკვეთების საკადასტრო გეგმების დამზადება, რომელთა მიხედვით დაფიქსრდა ცდომილება მიწის ნაკვეთების მდებარეობის ოვალსაზრისით, თითოეული ნაკვეთი განთავსებულია ზუსტი საზღვრებიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით. აღნიშნული უზუსატობის გასწორების მიზნით 09.02.116. მოსარჩევემ განცხადებით მიმართა მარეგისტრირებელ ორგანოს, რა დროსაც აღმოჩნდა, რომ მისი მიწის ნაკვეთის ნაწილი მოქცეულია მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში. მოსარჩევეს მიაჩნია, რომ ხ. ნ-ას სახელზე არსებული რეგისტრაცია უკანონოდ ზღუდავს მის კანონიერ უფლებასა და ინტერესს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.04.116. განჩინებით საქმეში მესამე პირებად ჩაეცნენ ქ. თბილისის მერია, პ. შ-ი, ლ. ა-ე, ნ. თ-ი, ი.ც-ე და მ. ხ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.05.116. განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაერთო მ. ფ-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.09.116. გადაწყვეტილებით ხ. მ-ის სარჩელი არ დაკავშირდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ხ. ნ-ას 23.12.106. განცხადების საფუძველზე, რომლითაც მოთხოვნილ იქნა ქ. თბილისში, ... მდებარე უძრავ ნივთზე ცვლილების რეგისტრაცია, თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში დაიწყო სარეგისტრაციო წარმოება. სასამართლომ მიუთითა, რომ უძრავ ქონებაზე როგორც რეგისტრაცია, ასევე მათში ცვლილების შეტანა წარმოებს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის, საკადასტრო მონაცემების და სხვა დოკუმენტაციის საფუძველზე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 15.01.106. ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის შესახებ ინსტუქციის 26-ე მუხლის თანახმად, საკადასტრო აღნერის შედეგი (საკადასტრო აზომვითი ნახაზი) წარმოდგენილ უნდა იქნეს სახელმწიფო – გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემაში, კერძოდ, WGS 84 კოორდინატთა სისტემასა და UTM პროექციაში. საქმეში დაცული სარეგისტრაციო წარმოების მასალებ-

ზე დაყრდნობით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ხ. 6-ას საქუთრების უფლება მის უძრავ ნივთზე რეგისტრირებული იყო უფლების დამდგენი დოკუმენტების და საკადასტრო რუკის საფუძველზე. შესაბამისად, სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მართლზომიერად განხორციელდა ხ. 6-ასთვის სასურველ კოორდინაციებში რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით (21-ე, 22-ე, 23-ე) კონკრეტულად არის განსაზღვრული სარეგისტრაციო სამსახურის მიერ რეგისტრაციაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძვლები. განსახილველ შემთხვევაში, ხ. 6-ას მიერ რეგისტრაციაში ცვლილების შეტანის შესახებ განცხადება წარდგენილ იქნა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. ამდენად, არ არსებობდა რეგისტრაციაზე უარის თქმის, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებისა და შეზყვეტის სამართლებრივი საფუძვლები.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საჯარო რეესტრი ვალდებული იყო თავად გამოეკვლია განცხადების განხილვისთვის საჭირო გარემოებები, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი უპირობოდ არ ავალდებულებს მარეგისტრირებელ ორგანოს, ყველა შემთხვევაში გამოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია. ორგანო, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვის საკითხს წყვეტს მისი საჭიროებიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე. სასამართლო მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ხ. 6-ას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია საქმარისი იყო რეგისტრაციაში ცვლილების განსახორციელებლად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.09.11ნ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ხ. მ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.12.11ნ. განჩინებით ხ. მ-ის სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. ამასთანავე, სააპელაციო პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ აპელანტის – ხ. მ-ის მიერ ვერ იქნა გაპათილებული რაიონული სასამართლოს მიერ დადგენი-

ლი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.12.11 წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა 6. მ-ის მიერ.

კასატორი თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით და გამოტანილია საპროცესო ნორმების არსებითი დარღვევით, კერძოდ, დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვან გარკვეულ საკითხებზე სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა, ხოლო რიგი გარემოებები არასწორად იქნა გამოკვლეული და შეფასებული.

კასატორი აღნიშნავს, რომ სადაცვო აქტებით ირღვევა მისი კანონშესაბამისად და კეთილინდისიერების სრული დაცვით მოპოვებული საკუთრების უფლება, რადგან რეგისტრაციას დაექვემდებარა ის უძრავი ქონება, რომელიც რეალურად კასატორის საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის ტერიტორიას მოიცავს. 6.მ-მა აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლიდან გამომდინარე, საჯარო რეესტრში მის სახელზე განხორციელებული რეგისტრაციის მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმაცია, რაც გულასხმობს იმას, რომ აღნიშნული უძრავი ნივთი ბრუნვაუნარიანი იბიექტია. კასატორს მიაჩნია, რომ სადაცვო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ძალაში დატოვების შემთხვევაში, მისი საკუთრება, მხოლოდ ფიქციის დონეზე განაგრძობს არსებობას და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას ეჭვევეშ დააყენებს, რადგან საჯარო რეესტრში საკუთრება ისეთ უძრავ ნივთზე იქნება რეგისტრირებული, რომელიც რეალურად არ იარსებებს. კასატორი მიიჩნევს, რომ მისი საკუთრების უფლების რეგისტრაცია განხორციელდა რეგისტრაციის დროს მოქმედი წესების სრული დაცვით და რეგისტრაციის ძველი სისტემის ახალი სისტემით შეცვლის სამართლებრივი შედეგები არ შეიძლება უარყოფით გავლენას ახდენდეს 6. მ-ის სამართლებრივ ინტერესზე. ამასთან, არც ერთი ნორმატიული აქტით არ დადგენილა ძველი რეგისტრაციების ახალ საკონტაქტო სისტემაში გადმოტანის სავალდებულობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.09.12წ. განჩინებით 6. მ-ის საკასაციო საჩივრი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული განჩი-

ნებისა და საკასაციო საჩივრის კანონიერების შემოწმების შე-დეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილ-დეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში დაცული მასალებით დასტურდება, რომ 08.04.03ნ. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 6. მ-ს გადაეცა ქ. თბილისში, ... ტერიტორიაზე მდებარე 1100 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. 11.04.03ნ. 6. მ-ის სახელზე განხორციელდა აღნიშნული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №...) პირველადი რეგისტრაცია. საქმეში დაცული მასალებით აგრეთვე დასტურდება, რომ ხ.ნ-ა 20.07.99 წ. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძნა 1200 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, საჯარო რეესტრში 1200 კვ.მ. ნაკვე-თი ხ.ნ-ას სახელზე რეგისტრირებულია 08.12.05ნ. განცხადების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 29.12.2010ნ. №... გადაწყვეტილებით 6.მ-ის საკუთრებაში არსე-ბული ნაკვეთის მოსაზღვრე, ხ. ხ-ას საკუთრებაში არსებულ მი-წის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: ...) განხორციელდა უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრა-ცია, კერძოდ, WGS საკოორდინატო სისტემაში და UTM პროექ-ციაში შესრულებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის საფუძ-ველზე დაზუსტდა მიწის ნაკვეთის საზღვრები. საკასაციო პა-ლატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას მითითებული რე-გისტრაციის არამართლზომიერების შესახებ და აღნიშნავს, რომ დაუზუსტებელი რეგისტრაცია გულისხმობს მისი დაზუსტების შესაძლებლობას. საქართველოს პრეზიდენტის 16.05.1999წ. №327 პრძანებულების თანახმად პირველადი რეგისტრაცია ით-ვალინინებდა რეგისტრირებული მონაცემების დაზუსტების შე-საძლებლობას მიწის აგეგმვის შედეგად შედგენილი საგეგმი - კარტოგრაფიული მასალების საფუძველზე (მე-5 პუნქტი). ამ-დენად, ხ. მ-ის სახელზე მიწის ნაკვეთის დაუზუსტებელი რე-გისტრაცია არ გამორიცხავდა შემდგომში ნაკვეთის საზღვრე-ბის კორექტირების შესაძლებლობას. უძრავ ნივთზე უფლება-თა რეგისტრაცია და მათში ცვლილებების შეტანა, მათ შორის პირველადი რეგისტრაციის კორექტირება, წარმოებს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი უფლების დამდგენი დოკუმენ-ტებისა და საკადასტრო მონაცემების საფუძველზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკადასტრო რუკა დგება შესაბამის კოორდინატთა სისტემაში განხორციელებული აგეგმვის საფუძ-ველზე და არა ნაკვეთის ფაქტობრივი საზღვრის ან ლობის გათ-ვალისწინებით, მით უფრო, რომ სადაცო ლობის ლეგალიზების თაობაზე თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ დადები-თი გადაწყვეტილება არ მიღებულა. კორექტირებას საფუძვლად

უდევს საკადასტრო მონაცემები, რომლებიც საქართველოს  
 იუსტიციის მინისტრის 15.01.10წ. №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 25-ე მუხლის თანახმად არის მინის ნაკვეთის საზღვრის კონფიგურაციის და ადგილმდებარეობის გრაფიკული და ტექსტურად გამოსახული ზუსტი ინფორმაცია, უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემის ამსახველი დოკუმენტი არის ინსტრუქციის მოთხოვნათა დაცვით შესრულებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი, რომელიც 26.1 მუხლის თანახმად დგება სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემაში, კერძოდ WGS 84 კოორდინატთა სისტემასა და UTM პროექციაში. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მინის ნაკვეთის საზღვრები დაზუსტდა WGS კოორდინატთა სისტემაში და UTM პროექციაში შესრულებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის საფუძველზე, რაც გახდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 29.12.10წ. №... გადაწყვეტილებით ხ. 6-ას საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის საფუძველი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სადავო რეგისტრაციით ნაკვეთის საზღვრების კორექტირების შედეგად ხ. მ-ის სახელზე რიცხული ნაკვეთის ოდენობა არ შემცირებულა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო რეგისტრაციის გაუქმება არ იწვევს რეგისტრაციამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას მოწინააღმდეგ მხარის – ხ. 6-ას სახელზე საკუთრებაში რიცხული ნაკვეთის ოდენობის შემცირების გარეშე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ხ. 6-ას სახელზე რიცხული ნაკვეთის კოორდინატებს კორექტირების შედეგად ხ. 6-ასა და მ. ფ-ეს მინის ნაკვეთებს შორის წარმოიქმნა თაგისუფალი სივრცე – 509 კვ.მ., რომელიც აღირიცხა ადგილობრივი თვითმმართველობის სახელზე. ხ. მ-მა, რომლის მოთხოვნა სადავო რეგისტრაციის გაუქმებაზე შედეგად იწვევს სადავო რეგისტრაციის განხორციელებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას, არათუ არ გაასაჩივრა კორექტირების შედეგად წარმოქნილი თვითმმართველობის სახელზე. აღმოჩენილი მინის ნაკვეთის ნაკვეთზე აღგილობრივი ორგანოს მიერ გამოცხადებულ აუქციონში, გაიმარჯვა და დაისაკუთრა ნივთი. მხედველობაშია მისალები აგრეთვე ის გარემოება, რომ საქმეში მესამე პირად ჩაბმული, მეზობლად მდებარე ხ. თ-ის სახელზე რიცხული 1300 კვ.მ. მინის ნაკვეთის რეგისტრაცია განხორციელებულია UTM კოორდინატთა სისტემაში შესრულებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის საფუძველზე. შესაბამისად, მოსარჩელის მი-

ერ მოთხოვნილი პირველადი რეგისტრაციის აღდგენა უკავშირდება 6. თ-ის დაზუსტებული რეგისტრაციის გაუქმებას, რომელიც სადავო არ გამხდარა და არ წარმოადგენს დავის საგანს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 6. ნ-ას მიერ სადავო რეგისტრაციის განხორციელებით შეილახა მისი კანონიერი უფლებები და ინტერესები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონიერი ინტერესის არსებობა გულისხმობს მხოლოდ მხარის რეალურ, პატივსადებ, კანონით დაცულ ინტერესს. სადავო რეგისტრაციით 6. მ-ის სახელზე რიცხული მიწის წაკვეთის ფართის ოდენობა არ შემცირებულა, დაზუსტებული რეგისტრაციის განხორციელებამდე და მისი განხორციელების შემდეგ 6. მ-ის სახელზე საკუთრებაში ირიცხება 1100 კვ.მ. მიწის წაკვეთი. ის გარემოება, რომ საზღვრების დაზუსტებამდე მოსარჩელეს შესაძლებლობა ჰქონდა მასზე რიცხულ ფართზე (1100 კვ.მ) მეტი ოდენობით ესარგებლა (ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 20.12.10ნ. №...), არ წარმოადგენს სადავო რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს, ვინაიდან არ დასტურდება დადგენილ ნორმაზე მეტი ფართის ფლობის რამე სამართლებრივი საფუძველი. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სადავო რეგისტრაციით არ შელახულა მოსარჩელის კანონიერი ინტერესი და საფრთხე არ შექმნია სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და საჯარო წესრიგს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 6. მ-მა სსკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, ვერ წარმოადგინა 6. ნ-ას სახელზე მიწის კორექტირებული რეგისტრაციის არამართლზომიერების დამადასტურებელი მტკიცებულებები. საქმის მასალებით დასტურდება, რომ 6. ნ-ამ რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განცხადება წარადგინა კანონის მოთხოვნათა დაცვით, მოსარჩელე თავისი უფლების დარღვევის დასადასტურებლად არც სარჩელში და არც საბაძლაციო და საკასაციო საჩივრებში ვერ უთითებს სადავო რეგისტრაციის დროს მოქმედი „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის ან მის საფუძველზე მიღებული ინსტრუქციის რომელიმე ნორმას, რომლის მოთხოვნებიც დარღვეულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 29.12.10ნ. სადავო გადაწყვეტილების მიღებით. ამდენად არ არსებობდა რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოებები, არ არსებობდა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, შეწყვეტის ან 6. ნ-ასგან დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის ვალდებულება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო

თველის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გან-  
ჩინება კანონიერია, სადაც აქტი, რომლითაც ხ.ნ-ას საკუთრე-  
ბაში მყოფ უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში სარე-  
გისტრაციო სამსახურის 29.12.10ნ. გადაწყვეტილებით მოხდა  
ცვლილების რეგისტრაცია კანონიერია, არ არსებობს სსკ-ის  
410-ე მუხლით გათვალისწინებული განჩინების გაუქმების სა-  
ფუძველი, რის გამოც ხ.მ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკ-  
მაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს 27.12.11 წ. სააპე-  
ლაციო სასამართლოს განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს  
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2  
ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის  
410-ე მუხლით და

### **დაადგინა:**

1. ხ.მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლე-  
ლად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-  
ტრაციულ საქმეთა პალატის 27.12.11 წ. განჩინება;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-  
ჩივრდება.

## მიწის ნაკვეთზე სერვისულის კანონიერება

### განხილვა

№ბს-761-745(ქ-12)

16 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

#### აღნერილობითი ნაწილი:

2012 წლის 24 თებერვალს მ. დ-მა სასარჩელო განცხადებით  
მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიას, მოპასუხების – სსიპ ქონების მართვის სა-  
აგნენტოს, ქ. თბილისის მერიისა და სსიპ თბილისის არქიტექტუ-  
რის სამსახურის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მან 2011 წლის 11 თებერვალს  
აუქციონის წესით სახელმწიფოსგან შეისყიდა 128 კვ.მ. მიწის  
ნაკვეთი მდებარე – ქ. თბილისი, ..., ..., მე-14 ქ. №35-ის მიმდე-  
ბარედ. აღნიშნული მიწის ნაკვეთის ყიდვა მოსარჩელის ინტე-  
რესებში იქიდან გამომდინარე შედიოდა, რომ იგი მოსარჩელის  
საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიმდებარეა და მისი  
ყიდვის შემდეგ მოსარჩელეს ყოველგვარი მშენებლობის გარე-  
შე ეზოს გაფართოება სურდა. მიწის ნაკვეთის შესყიდვის შემ-  
დეგ მოსარჩელემ მიწის ნაკვეთების საერთო ღობით გაერთია-  
ნება გადაწყვიტა და არქიტექტურის სამსახურს მიმართა, სა-  
დაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ აუქციონზე შეძენილი მიწის  
ნაკვეთი სერვიტუტით იყო დატვირთული. აუქციონის პირობებ-  
ში აღნიშნული შეზღუდვის თაობაზე არ იყო გაცხადებული; აუქ-  
ციონის პირობებში ჩადებული იყო მხოლოდ ერთი პირობა – „მშე-  
ნებლობის უფლების გარეშე“. მოსარჩელის მტკიცებით, შეზ-  
ღუდვა იმის თაობაზე, რომ აკრძალული იყო მიწის ნაკვეთის ღო-  
ბით შემოსაზღვრა, აუქციონის პირობებში არ ყოფილა. მოსარ-  
ჩელის მითითებით, აუქციონის პირობებში მიწის ნაკვეთის შე-  
ღობვის აკრძალვის თაობაზე რომ ყოფილიყო საუბარი და მის-  
თვის ცნობილი ყოფილიყო აღნიშნული გარემოება, იგი მიწის ნაკ-

ვეთს არ იყიდდა.

მოსარჩელის განმარტებით, იგი იძულებული გახდა მიერა-  
თა ქონების მართვის სააგენტოსთვის, რომლის 2011 წლის 3 ნო-  
ემბრის გადაწყვეტილებით მას უარი ეთქვა სადაც მიწის ნაკ-  
ვეთზე სერვიტუტის გაუქმებაზე იმ მოტივით, რომ ქონების  
მართვის სააგენტოს სერვიტუტის გაუქმება მიზანშეწონილად  
არ მიაჩნდა. თუმცა რატომ არ მიაჩნდათ მიზანშეწონილად სერ-  
ვიტუტის გაუქმება, ამაზე საუბარი არ ყოფილა. მოსარჩელის  
განმარტებით, ქონების მართვის სააგენტომ ისე უთხრა მას უა-  
რი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომ საერთოდ არ გამოუკ-  
ვლევია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოე-  
ბები; გაურკვეველია უარის თქმის მიზეზი და საფუძველი. გარ-  
და ამისა, მისთვის უცნობია თუ ვინ არის სერვიტუტის მეორე  
მხარე. ხოლო ქონების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილება  
იმდენად ბუნდოვანია, რომ მოსარჩელისათვის გაურკვეველია  
ვინ და რატომ ზღუდავს მის უფლებებს.

მოსარჩელის განმარტებით, ქონების მართვის სააგენტომ  
დაარღვია მისი როგორც კანონიერი მესაკუთრის უფლებები –  
დაუმალა მას საქმის ფაქტობრივი გარემოებები. მოსარჩელის  
მტკიცებით, უნდა გაუქმდეს სერვიტუტი, რათა მან შემოღო-  
ბოს სადაც მიწის ნაკვეთი და როგორც მესაკუთრებ ისე ისარ-  
გებლოს შეძენილი ქონებით.

ამასთან, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ქონების მართვის სა-  
აგენტოს გადაწყვეტილებაში მითითებულია გასაჩივრების წე-  
სი – „გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის მერთან“. მო-  
სარჩელე მიჰყვა აღნიშნულ წესს, თუმცა ქ. თბილისის მერიი-  
დან მიიღო პასუხი, რომ საჩივარი მათი განსახილველი არ იყო  
და მას სასამართლოსათვის უნდა მიემართა.

მოსარჩელემ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის  
3 ნოემბრის გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული საჩივრის  
განხილვაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მერიის 2012  
წლის 23 იანვრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ  
ქონების მართვის სააგენტოსა და სსიპ თბილისის არქიტექტუ-  
რის სამსახურისათვის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სა-  
მართლებრივი აქტების გამოცემის დავალება მოითხოვა.

მ. დ-მა 2012 წლის 9 მარტის განცხადებით დააზუსტა სასარ-  
ჩელო მოთხოვნა და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახუ-  
რის 2011 წლის 13 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების, სსიპ ქო-  
ნების მართვის სააგენტოს 2011 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტი-  
ლებისა და ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის  
თქმის შესახებ ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 23 იანვრის გა-

დაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელემ სსიპ ქონების მართვის სააგენტოსათვის სერვიტუტის გაუქმების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისი, ..., ..., მე-14 ქ. №35-ის მიმდებარედ მის საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის შემოლობაზე თანხმობის გაცემა მოითხოვა.

2012 წლის 18 მაისს გამართულ სასამართლო სხდომაზე სასამართლომ მ. დ-ს დააზუსტებინა სასარჩელო მოთხოვნა და მოსარჩელემ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ ქონების მართვის სააგენტოსათვის ქ. თბილისი, ..., ..., მე-14 ქუჩა №35-ის მიმდებარედ არსებულ მინის ნაკვეთზე სერვიტუტის გაუქმების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა; ხოლო არქიტექტურის სამსახურის მიმართ მოთხოვნის ნაწილში განუხილველი დარჩა სარჩელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 1 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით მ. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. დ-მა 2011 წლის 11 თებერვალს აუქციონის წესით შეიძინა 128 კვ.მ. მინის ნაკვეთი, მდებარე, თბილისის ..., ..., მე-14 ქუჩა №35-ის მიმდებარედ. აღნიშნულ უძრავ ნივთზე კომისიის მიერ დადგენილ იქნა აუქციონის პირობები: შეზღუდვა, მშენებლობის უფლების გარეშე. აუქციონზე გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი გაცემულ იქნა 2011 წლის 22 თებერვალს და უძრავი ნივთი მ. დ-ის სახელზე საჯარო რეესტრში 2011 წლის 30 მაისს აღირიცხა.

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 13 ოქტომბრის წერილით მ. დ-ს ეცნობა, რომ უძრავი ნივთი მდებარე თბილისის ..., ..., მე-14 ქუჩა, №35-ის მიმდებარედ შესაბამისი ვალდებულებით არის დატვირთული (სერვიტუტით) და დაუგებელია ნებისმიერი სამშენებლო სამუშაოების წარმოება.

მ. დ-მა განცხადებით მიმართა ქ. თბილისის ქონების მართვის სააგენტოს და უძრავ ნივთზე (მდებარე თბილისის ..., ..., მე-14 ქუჩა №35-ის მიმდებარედ) სერვიტუტის გაუქმება მოითხოვა. 2011 წლის 3 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით განმცხადებელს განემარტა, რომ ქონების მართვის სააგენტოს აღნიშნულ მინის ნაკვეთზე სერვიტუტის გაუქმება არ მიაჩნდა მიზანშეწონილად.

მ. დ-მა 2012 წლის 13 იანვარს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქ. თბილისის მერიას და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 3 ნოემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა. ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით მ. დ-ს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე და განემარტა, რომ ქ. თბილისის მთავრობისაგან უფლებამოსილების დელეგირების საფუძველზე, ადგილობრივ ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებულ საკითხებს ამზადებს ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო. განსახილვებ შემთხვევაში 2011 წლის 3 ნოემბრის ადმინისტრაციული აქტი წარმოადგენდა ქ. თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებას. ქ. თბილისის მთავრობას ქ. თბილისის მერიის სისტემაში არ ჰყავს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან თანამდებობის პირი და ამდენად, მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონანერით დასტურდებოდა, რომ უძრავი ნივთზე, მდებარე თბილისის ..., ..., მე-14 ქ. №35-ის მიმდებარედ რეგისტრირებულია შეზღუდვა – მშენებლობის უფლების გარეშე.

სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონანერით, საკადასტრო აზომვითი ნახაზით, ორთოფოტოთი დადასტურებულად მიიჩნია, რომ უძრავ ნივთზე მდებარე თბილისის ..., ..., მე-14 ქ. №35-ის მიმდებარედ რეგისტრირებულია შეზღუდვა – მშენებლობის უფლების გარეშე. ამდენად, სასამართლოს მითითებით, აღნიშნულ უძრავ ნივთზე მშენებლობის აკრძალვა ნიშნავს მასზე სერვიტუტის არსებობას.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 247-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის, ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ ამ მესაკუთრეს უფლება

ჰქონდეს ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აიყრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება ანდა გამოირიცხოს დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრის ზოგიერთი უფლების გამოყენება სხვა ნაკვეთის მიმართ.

სასამართლოს მითითებით, ქ. თბილისის მთავრობის „ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს შექმნისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ 2010 წლის 30 მარტის №08.32.412 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრა სააგენტოს ფუნქციების: ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის უძრავი ქონების აღრიცხვა, რეგისტრაციის უზრუნველყოფა; ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების რეალიზაციის მიზნით აუქციონის ორგანიზება, ჩატარება და შედეგების გაფორმება, უძრავი ქონების აზომვითი ნახაზის შესრულება და ა.შ. სასამართლომ აღნიშნა, რომ ქონების მართვის სააგენტოს უფლებამოსილებას არ წარმოადგენს მშენებლობის უფლების შეზღუდვა და თვითმმართველი ერთეულის ქონებაზე სერვიტუტის დადგენა. ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის №24.16.832 დადგენილების – „ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის შექმნისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ – მე-3 მუხლის თანახმად, არქიტექტურულ ქალაქ-მშენებლობის პროცესების მართვა ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებით დადგენილ ტერიტორიაზე წარმოადგენს „ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფლებამოსილებას. ამდენად, ქონების მართვის სააგენტო არ იყო უფლებამოსილი მიეღლო გადაწყვეტილება უძრავ ნივთზე მდებარე ქ. თბილისი ..., ... მე-14 ქუჩა №35-ის მიმდებარედ სერვიტუტის გაუქმების თაობაზე. სასამართლომ ასევე მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მ. დ-მა 2011 წლის 11 თებერვალს აუქციონის წესით შეიძინა 128 კვ.მ. მინის ნაკვეთი, მდებარე თბილისის ..., ... მე-14 ქ. №35-ის მიმდებარედ. აღნიშნულ უძრავ ნივთზე კომისიის მიერ დადგენილ იქნა აუქციონის პირობები: შეზღუდვა, მშენებლობის უფლების გარეშე და უძრავ ნივთზე შეზღუდვის არსებობის ფაქტი მოსარჩელისთვის იმთავითვე ცნობილი იყო. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ უსაფუძვლოა მოსარჩელის მოთხოვნა ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 3 ნოემბრის №... გადაწყვეტილება და დაევალოს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს გამოსცეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სერვიტუტის გაუქმების შესახებ, მინის ნაკვეთზე მდებარე ქ. თბილისი, ..., ... .

ქ. №14, №35-ის მიმდებარედ.

სასამართლოს მითითებით, მოსარჩეულე ასევე ითხოვდა ქ. თბილისის მერის 2012 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილების ბა-თათილად ცნობას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კო-დექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრა-ციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემ-თხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამარ-თლო.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმი-ნისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, თუ ამ თა-ვით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარ-თან დაკავშირებით ადმინისტრაციული ნარმოებისას გამოიყე-ნება მარტივი ადმინისტრაციული ნარმოების წესები. ამავე კო-დექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ადმინისტრაცი-ულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთეულთი შემდეგი გადაწყვეტილება: ა) ადმინისტრა-ციული საჩივრის დაკავმაყოფილების შესახებ; ბ) ადმინისტრაცი-ული საჩივრის დაკავმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე; გ) ად-მინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკავმაყოფილების შე-სახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კი ადმინისტრა-ციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივ აქტს, კანონიერებისა და მიზანშენილობის თვალ-საზრისით ამონტებს ადმინისტრაციული ორგანო. ადმინისტრა-ციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა ადმინისტრა-ციულ-სამართლებრივი აქტი კანონის იმ მოთხოვნას, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის ნარმდგენ პირს ანიჭებს რაიმე უფ-ლებას ან უპირატესობას.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო არ დაეთანხმა ადმი-ნისტრაციული ორგანოს პოზიციას სსიპ ქონების მართვის საა-გენტოს 2011 წლის 3 ნოემბრის №... გადაწყვეტილების გასაჩივ-რების წესთან დაკავშირებით და მიუთითა ქ. თბილისის მთავ-რობის 2010 წლის 30 მარტის №08.32.412 დადგენილებაზე „ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქო-ნების მართვის სააგენტოს შექმნისა და მისი წესდების დამტკი-ცების შესახებ“. აღნიშნული წესდების მე-11 მუხლის თანახმად, სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასა-ჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში. თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ იყო კანონის ისეთი დარ-ღვევა, რომლის არ არსებობის პირობებში სხვაგვარი გადაწყვე-

ტილების მიღება იქნებოდა შესაძლებელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. დ-ის სასარჩელო განცხადება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე უსაფუძვლო იყო, რამდენადაც მან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ვერ დაასაბუთა, თუ რატომ ეწინააღმდეგებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კანონს და კონკრეტულად რა გარემოება არ იქნა გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რომლის გამოკვლევისა და დადგენის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება. სასამართლოს მსჯელობით, ვინაიდან, უსაფუძვლო იყო მოსარჩელის მოთხოვნა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე, ასევე უსაფუძვლო იყო მისი მოთხოვნა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. დ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკამაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 6 სექტემბრის განჩინებით მ. დ-ის სააპელაციო საჩივრა არ დაკამაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 6 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. დ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკამაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, იგი ფაქტიურად მოტყუებული დარჩა ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან. არც აუქციონის პირობებიდან გამომდინარე და არც ადმინისტრაციულ ორგანოებში სიარულის დროს მისთვის არავის განუმარტავს, რომ მინის ნაკვეთი სერვიტუტით იყო დატვირთული და მას ვერ შემოლობავდა. მისთვის ცნობილი იყო მხოლოდ კონკრეტული შეზღუდვის შესახებ, რაც ითვალისწინებდა შეძენილ მინის ნაკვეთზე მშენებლობის აკრძალვას, რაც სრულიად მისალები იყო მისთვის, ვინაიდან, იგი არც აპირებდა რაიმე ნაგებობის აღმართვას; კასატორს მხოლოდ მისი ეზოს გაფართოება სურდა.

კასატორის განმარტებით, უტყუარად დადგენილია ის გარე-მოება, რომ სერვიტუტის რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ჩა-ნაწერებშიც არ არის აღნიშნული და არც თვითმმართველობის ორგანოს დაუყენებია საჯარო რეესტრის წინაშე სერვიტუტის რეგისტრაციის შესახებ საკითხი, როდესაც იგი მიზის ნაკვეთის მის სახელზე რეგისტრაციას ითხოვდა.

ამასთან, კასატორის მითითებით, მიუხედავად მისი არაერ-თგზისი მოთხოვნისა, მონინააღმდეგე მხარემ ვერ წარმოადგი-ნა შესაბამისი ორმხრივი ხელშეკრულება სერვიტუტის შესახებ; ვერ დაასახელა ხელშეკრულების მონაწილე მხარეები; ვის სა-სარგებლოდ არის სერვიტუტით დატვირთული ქონება; ვის შე-იძლება მოეთხოვოს შესაბამისი ანაზღაურება; სავალდებულოა თუ არა სერვიტუტი და ა.შ.

კასატორის მტკიცებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულია ადმინისტრაციული წარმოების წესები; ადმინის-ტრაციული ორგანოს მიერ არ არის გამოკვლეული საქმისათვის საჭირო გარემოებები; არ არის გამოცემული დასაბუთებული ად-მინისტრაციული აქტები. კასატორის მითითებით, განსახილველ შემთხვევაში დარღვეულია ინფორმაციის საჯაროობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 10 დეკემბრის განჩინებით, საქარ-თველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხ-ლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასასვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. დ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 იანვრის განჩინებით მ. დ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასასვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნა-წილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2013 წლის 4 აპრილს 13:30 საათზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხა-რეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივარის სა-ფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანო-ნიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. დ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწი-ლობრივ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული თბი-ლისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ არის დასაბუ-თებული არც პროცესუალური და არც მატერიალური თვალსაზ-

რისით. სააპელაციო სასამართლომ იმის ნაცვლად, რომ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში არსებითად განეხილა საქმე, დამატებით გამოეკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, სამართლებრივი შეფასება მიეცა სადაცო საკითხისათვის და მიეღო სათანადო გადაწყვეტილება, სრულად გაიზიარა და უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნების საფუძველს წარმოადგენს.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოები ფორმალურად მიუდგნენ სადაცო საკითხს და დავის საგანი არსებითი განხილვის გარეშე დატოვეს; იგნორირებულია დავის საგანი და მოსარჩელის ინტერესი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე მოსარჩელის მიზანია შეძენილი მინის ნაკვეთით ისარგებლოს ისე როგორც მესაკუთრემ, გააერთიანოს მისი კუთვნილი მინის ნაკვეთები საერთო ღობით და მოაქციოს შეძენილი მინის ნაკვეთი მისი უძრავი ქონების ფარგლებში. სწორედ ამ მიზნით მიმართა მოსარჩელემ არქიტექტურის სამსახურს და აღნიშნული მოტივით ითხოვს იგი ქონების მართვის სააგენტოსგან სერვიტუტის გაუქმებას. მოსარჩელის მხრიდან სერვიტუტის გაუქმების მოთხოვნა სწორედ იმ მიზანს ემსახურება, რომ მან მოიპოვოს შეძენილ მინის ნაკვეთზე ღობის მშენებლობის უფლება. შესაბამისად, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა მოსარჩელის იურიდიული ინტერესი – რა უფლების აღსადგენად მიმართა მან სასამართლოს, ის სამართლებრივი შედეგი, რისი დადგომაც სურს მას და ამ კუთხით ემსჯელა განსახილველი სამართლურთიერთობის მიმართ. ამასთან, საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიპყრობს იმ გარემოებაზე, შეძლებს თუ არა მოსარჩელე სასურველი შედეგის მიღწევას სერვიტუტის გაუქმების პირობებში.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელე სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 13 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილების ბათილობას, სსიპ ქონების მართვის სააგენტოსათვის სერვიტუტის გაუქმების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებასა და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისი, ..., ..., მე-14 ქუჩა №35-ის მიმდებარედ მის საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის შემოღობვაზე თანხმობის გაცემას მოითხოვდა, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, შესაბამისობაში იყო სარჩელის შინაარსსა და მოსარჩელის მიზანთან. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში 2012 წლის 18 მაისს გამართულ სასამართლო სხდომაზე სასამართლომ დააზუსტებინა მოსარჩელეს სარჩელი და არქიტექტურის სამსახურის მიმართ სასარჩელო მოთხოვნა განუხილველად დატოვა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს არქიტექტურის სამსახურის მიმართ მოთხოვნის ნაწილში. თუმცა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ იმ პირობებში, თუ სადავო ქონება განთავისუფლდება სერვიტუტისგან, მოსარჩელეს უფლება ექნება კვლავ მიმართოს არქიტექტურის სამსახურს, ვინაიდან, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 13 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი სწორედ სერვიტუტის არსებობის მოტივით ეთქვა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას გასაჩივრებული აქტების კანონიერების თაობაზე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასათანადო სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს; სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი სამართლურ-თიერთობის შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანა გარემოებრივი და არ იმსჯელა მოსარჩელის არგუმენტებზე.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს, რომ 2011 წლის 11 თებერვალს მოსარჩელე მ. დ-მა აუქციონის წესით შეიძინა 128 კვ.მ. მინის ნაკვეთი, მდებარე, ქ. თბილისი ..., ..., მე-14 ქ. №35-ის მიმდებარედ. აღნიშნულ უძრავ ნივთზე კომისიის მიერ დადგენილ იქნა აუქციონის პირობები: შეზღუდვა – მშენებლობის უფლების გარეშე. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აუქციონის პირობებში სერვიტუტის არსებობის თაობაზე მითითება არ ყოფილა. აღნიშნულს არც ადმინისტრაცი-

ული ორგანო უარყოფს. ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსარჩელეს სადაც უძრავი ქონების შექენისას მხოლოდ ის ინფორმაცია მიაწოდა, რომ მას მინის ნაკვეთზე მშენებლობა არ შეეძლო (რასაც ეთანხმებოდა კიდევაც მოსარჩელე). საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც ადმინისტრაციულმა ორგანომ მიაწოდა მ. დ-ს, მას არ შეეძლო ევარაუდა მინის ნაკვეთზე ვალდებულების – სერვიტუტის არსებობის თაობაზე და მას ასეთი ვარაუდის ვალდებულება არც ეკისრებოდა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საჯარო რეესტრის ამონანერში ვალდებულებითი გრაფა ცარიელია და იგი სერვიტუტის შესახებ მითითებას არ შეიცავს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ინფორმაციას უძრავი ნივთის შესახებ შეიცავს საჯარო რეესტრის ჩანაწერები, რომლის მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმუცია. საჯარო რეესტრის სისწორის ვარაუდი გულისხმობს იმას, რომ რეგისტრირებული უფლება იმ ფორმით და იმ მოცულობით არსებობს, რაც დაფიქსირებულია საჯარო რეესტრის მონაცემებში. საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმუციიდან გამომდინარე ითვლება, რომ ვალდებულება თუ ასეთი არსებობს უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, სავალდებულოა რეგისტრირებული იყოს საჯარო რეესტრის, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგულისხმება, რომ ვალდებულება არ არსებობს. შესაბამისად, მოსარჩელეს კანონიერი ნდობა იმ ინფორმაციის მიმართ წარმოეშვა, რაც მას ადმინისტრაციულმა ორგანომ მიაწოდა და რისი გაგების შესაძლებლობაც ჰქონდა მას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციული ორგანოს პოზიციას იმის შესახებ, რომ სერვიტუტი დაფიქსირებული იყო საკადასტრო გეგმაში და მოსარჩელეს შეეძლო გაეგო აღნიშნულის თაობაზე. საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს ადმინისტრაციული ორგანოს აღნიშნულ მოსაზრებას და მიუთითებს, რომ კასატორს, იმ პირობებში, როდესაც საჯარო რეესტრის ამონანერში ვალდებულებითი გრაფა ცარიელი იყო, არ წარმოეშვება ვალდებულება უძრავი ნივთის შესახებ ინფორმაცია ეძიოს სხვადასხვა დოკუმენტებში, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, ვალდებულია სამართლებრივი დახმარება გაუწიოს მხარეს. აქვე, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ სერვიტუტის შესახებ პირდაპირ მითითებას არც საკადასტრო გეგმა შეიცავს. საკადასტრო გეგმაში მითითებულია ზოგადად ვალდებულების არსებობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის“ 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ეს წესი შემუშავებულია „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესს. აღნიშნული წესის მე-11 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, ქონების პრივატიზაციის შემდეგ ქონების გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს მესაკუთრეს პრივატიზებულ ქონებაზე მასთან არსებული ინფორმაცია. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შეასრულა აღნიშნული ვალდებულება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩევლე საქმის განხილვის მთელს ეტაპზე საქმის გარემოებების სათანადოდ გამოკვლევაზე მიუთითებდა. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა და უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ მისთვის კანონით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში არ დაუდგენია, რომელმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, როდის, რა პირობებით, რა საჭიროებისათვის და რომელი სამართლებრივი აქტით დატვირთა სადაცო 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთი სერვიტუტით. მოსარჩევეს საფუძვლიანად აქვს იმის მოთხოვნის უფლება, რომ იცოდეს მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული სერვიტუტის შესახებ ინფორმაცია (სერვიტუტის არსებობის შემთხვევაში), მისი დადების საფუძვლები და პირობები.

საკასაციო სასამართლო, ასევე, ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას იმის თაობაზე, რომ აუქციონის პირობებში მითითებული შეზღუდვა – მშენებლობის უფლების გარეშე, სერვიტუტს გულისხმობს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩევეს აღნიშნულის ვარაუდის საფუძველი არ ჰქონდა. იგი ნამდვილად ვერ ივარაუდებდა, რომ შეზღუდვა – მშენებლობის უფლების გარეშე, სერვიტუტს გულისხმობდა. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შეზღუდვა – მშენებლობის უფლების გარეშე, ცალსახად სერვიტუტის არსებობის ფაქტზე არ მიუთითებს. საყურადღებოა თავად სერვიტუტის არსი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 247-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის, ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ ისე იქნეს გამოყე-

ნებული (დატვირთული), რომ ამ მესაკუთრეს უფლება ჰქონდეს ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აიკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება ანდა გამოირიცხოს დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრის ზოგიერთი უფლების გამოყენება სხვა ნაკვეთის მიმართ. ამდენად, სერვიტუტი მისი შინაარსიდან გამომდინარე თავისთავად მშენებლობის აკრძალვას არ გულისხმობს. შესაძლოა განსახილველ შემთხვევაში მშენებლობის აკრძალვა ქალაქების მარებითი ან სხვა ფაქტორების არსებობას ემსახურებოდეს. ამასთან, შესაძლოა სერვიტუტი კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ ამ საფუძვლით იყოს გამოყენებული, თუმცა, აღნიშნულს უნდა ითვალისწინებდეს მხარეთა შორის გაფორმებული დოკუმენტი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სერვიტუტის პირობები უნდა განისაზღვრებოდეს სათანადო დოკუმენტით. ზოგადად სერვიტუტის ინსტიტუტი თმენის ვალდებულებას წარმოადგენს, რომელიც სამოქალაქო ბრუნვის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულად შეიძლება განისაზღვროს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში ჩართული ადმინისტრაციული ორგანოები მიუთითებენ სერვიტუტის არსებობის ფაქტზე, თუმცა, თავად ადმინისტრაციული ორგანოები ვერ ასაბუთებენ როდის, რა აქტით და რა პირობებით დაიტვირთა სერტიტუტით მიწის ნაკვეთი. გაურკვეველია სერვიტუტის წარმომავლობა. აღნიშნული ინფორმაცია საკასაციო სასამართლოში გამართულ სხდომებზე ვერ დაადასტურა ვერც ერთი ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა. სასამართლოს არაერთგზისი მითითების მიუხედავად, მოზინააღმდეგე მხარემ ვერ შეძლო წარმოედგინა რაიმე დოკუმენტი, რაც დაადასტურებდა სადაც მიწის ნაკვეთზე სერვიტუტის დადების ფაქტს და სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას ემსჯელა სერვიტუტის გამოყენების პირობებზე წარდგენილი დოკუმენტაციის შინაარსიდან გამომდინარე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობით სსიპ ქონების მართვის სააგენტოს სერვიტუტის გაუქმების უფლებამოსილება არ გააჩნია; ხოლო საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარეობაზე, რომ თავად სსიპ ქონების მართვის სააგენტომ იმ საფუძვლით უთხრა უარი მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომ მას სადაც მიწის ნაკვეთზე სერვიტუტის გაუქმება არ მიაჩნდა მიზანშენონილად. თუმცა, რატომ არ მიაჩნდა მიზანშენონილად სერვიტუტის გაუქმება, ამაზე სა-

უბარი არ ყოფილა. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მიუთითებს, რომ მოსარჩელისათვის გაურკვეველია, ვინ და რატომ ზღუდვას მის უფლებებს.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაპროგობს იმ გარემოებაზე, თუ რამდენად გულისხმობს შეზღუდვა – მშენებლობის უფლების გარეშე, მოსარჩელისათვის ღობის შემოვლების აკრძალვას; ამასთან, გასათვალისწინებელია, რამდენად შეიძლება მივიჩნიოთ შემოღობვა მშენებლობად. აქვე საგულისხმოა ის გარემოება, განსახილველ შემთხვევაში საუბარია თუ არა კაპიტალურ ღობეზე და მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ღობის მშენებლობას ჭირდება თუ არა ნებართვა; თუ იგი, როგორც I კლასის ნაგებობა (რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და მოსარჩელეს მხოლოდ შესაბამისი ორგანოსთვის შეტყობინების ვალდებულება ეკისრება), ექცევა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების XIV თავის რეგულირების სფეროში, რომელიც I კლასის შენობა-ნაგებობების მახასიათებლებსა და მათი მშენებლობის მომწერიგებელ წესებს განსაზღვრავს.

დამატებით საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ მ. დ-ის მოსაზღვრედ არსებობდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 256 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელიც გაიყო შუაზე და აუქციონზე გასაყიდად 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გავიდა. შესაბამისად, სახელმწიფოს საკუთრებაში მეორე 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთი დარჩა. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მიუთითებს, რომ საყურადღებოა რა მიზანს ემსახურებოდა სადაც მიწის ნაკვეთზე სერვიტუტის დადება, იმ პირობებში, როდესაც მ. დ-ის მიერ შეძენილ მიწის ნაკვეთს თავისუფალი მიწის ნაკვეთი ესაზღვრება, რაც სახელმწიფოს საკუთარი შეხედულებისამებრ შეეძლო განეკარგა. ამასთან, საყურადრებოა ის გარემოება, რომ სადაც მიწის ნაკვეთი არ არის ცენტრალური გზა და ამასთან, იგი არც სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს. ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი თუ სადაც სერვიტუტის მოხსნა სახელმწიფოსათვის ზანის მომტანია, სახელმწიფოს ასეთ შემთხვევაში უფლება აქვს თავისუფლად განკარგოს მის საკუთრებაში დარჩენილი 128 კვ.მ. ნაკვეთი (რომელიც მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთის მოსაზღვრე) და იგი საკუთარი მიზნების შესაბამისად გამოიყენოს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარე-

მოებაზე, რომ მოსარჩელემ ინტერესი არ დაკარგოს სადავო მინის ნაკვეთის მიმართ. გასათვალისწინებელია, ის ფაქტი, რომ მ. დ-მა სადავო მინის ნაკვეთი სწორედ იმ მიზნით შეიძინა, რომ შეეღლობა და როგორც საკუთარით ისე ესარგებლა (მშენებლობის გარეშე). მოსარჩელის აღნიშნული მიზანი არც სახელმწიფოსთვის იყო უცნობი, ვინაიდან, ბუნებრივია მოსარჩელე 10 240 ლარს (1 კვ.მ. – 80 ლარი) უსარგებლო მინის ნაკვეთში არ გადაიხდიდა. მ. დ-ი მიუთითებს, რომ თუ იგი ღობეს ვერ შემოარტყამდა და ვერ გამოიყენებდა მინის ნაკვეთს, იგი არც იყოდა მას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ გამოიყვლია საქმის გარემოებები, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე თავისი ინიციატივით არ მოაპოვა მტკიცებულებები, ხოლო საქმეში არსებულ მტკიცებულებებს არ მისცა ობიექტური შეფასება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმე განხილულია ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისა და შეფასების გარეშე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა ანუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. ამასთან, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლომ თავის მხრივ საქმის ხელახლა განხილვისას საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით საქმეზე უნდა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

## **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. დ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 6 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სახელმწიფო ბაჟის საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საპირალი

მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია	
მიწის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის საფუძველი .....	3
მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის საფუძველი .....	27
ერთი მიწის ნაკვეთის მიმართ ორი	
ურთიერთსანინააღმდეგო ჩანაწერის დაუშვებლობა .....	46
მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია .....	65
საკუთრების უფლებით მიწის რეგისტრაციის საფუძველი .....	82
მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით რეგისტრაცია ..... 98; 131; 162	
მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის კანონიერება .....	115
მიწის ნაკვეთზე დაუზუსტებელი მონაცემების	
დაზუსტების შესაძლებლობა .....	152
მიწის რეგისტრაციის კანონიერება .....	178
მიწის ნაკვეთზე სერვიტუტის კანონიერება .....	186